გამოდის თვეში ერთხელ

№9 (273)

ქართული ტიტანიკა

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“
გიორგი ლეონიძე

ფასი 1 ლარი

4 — 10 მარტი 2015 წ.

ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი (www.tesau.edu.ge)
აირჩიეთ 071

რა საერთო აქვთ ვაზაგაშვილის, კიწმარიშვილისა და ნემცოვის მკვლელობებს

>>> მე-2-3 გვ.

სკოლა, სადაც ქილერებს ამზადებენ

ვინ არის, როგორ და რა ქონებას დაეპატრონა საქართველოში კრემლის „რუხი კარდინალი“

დავით თევზაძე: „ეს დემაგოგიაა!“

>>> მე-9 გვ.

რა გეგმები აქვს შპს „თბილსერვის ჯგუფის“ ტექნიკურ დირექტორ ლევან ნაროუშვილს

>>> მე-15-16 გვ.

თბილისში მყარი ნარჩენების ნაგავსაყრელი აშენდება!

გუგული მაღრაძე: „უნდა გვაცალონ!“

>>> მე-8 გვ.

ჟურნალისტური გამოძიება >>> მე-12-13 გვ.

როგორ ამარაგებენ პოლონეთის შრომის ბაზარს ქართველი მუშახელით

„ზაფხულამდე ძალიან ცუდ დღეში ვიქნებით“...

>>> მე-16-17 გვ.

ასტროლოგ ლია ბარათაშვილის შეფასებები და პროგნოზები

№ 9 (273) | 4-10 მარტი 2015
ქართული სიტყვა
ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

სკანდალური ექსკლუზივი

რა საერთო აქვთ ვაზაგაშვილის, კიწმარიშვილისა და ნემცოვის მკვლელობებს — სკოლა, სადაც ქილერებს ამზადებენ



„იცით, „ნაცმოძრაობა“ რუსეთის ხელისუფლებას რითი ჰგავდა? — ადამიანის უფლებების შეზღუდვით, ანუ საქართველოში დიქტატორული რეჟიმი დემოკრატიის საფარქვეშ იყო წარმოდგენილი. რუსეთში კი, ღია დიქტატურაა. ისიც უნდა აღვნიშნო, რომ „ნაცმოძრაობისგან“ განსხვავებით, რუსეთის ხელისუფლება მკვეთრად იმპერიალისტურია და რესურსებიც დიდი აქვს“.

3 მარტს, მოსკოვში რუსული პოლიტიკის ერთ-ერთი ყველაზე პროდასავლური წარმომადგენელი, ბორის ნემცოვი დაკრძალეს. მართალია, 27 თებერვლის ტრაგედია პუტინმა პირად კონტროლზე აიყვანა, მაგრამ გამოძიებაში, როგორც რუსული მედია იუწყება, ჯერჯერობით მნიშვნელოვანი სიახლე არაა. პროგრესული მსოფლიო თანხმდება, რომ შეიძლება, უშუალოდ რუსული სახელისუფლებო ვერტიკალის დავალებით არ მოკლეს, მაგრამ ნემცოვი იმ დიქტატურის მსხვერპლია, რომელსაც სათავეში ვლადიმერ ვლადიმერის ძე უდგას... ასევე, საგულისხმოა, რომ საქმეში ჩახედულები სპეცსამსახურების კვალზე ლაპარაკობენ. უშიშროების თადარიგის პოლკოვნიკი, უსაფრთხოების ექსპერტი კონსტანტინე ფორჩხიძე კი, იური ვაზაგაშვილის, ეროსი კიწმარიშვილისა და ბორის ნემცოვის მკვლელობებზე საუბრისას აქცენტს „გე-რე-უ“-სა და „ეფ-ეს-ბე“-ს ხელწერაზე აკეთებს. მეტიც, ფორჩხიძე „ქართული სიტყვის“ ექსკლუზიური ინტერვიუების ციკლში განმარტავს, რომ რუსეთში არსებობს ე.წ. ბალაშიხას სკოლა, სადაც პროფესიონალ ქილერებს ამზადებენ. მაშ ასე, როგორ იგეგმება პოლიტიკური მკვლელობები, რას ემსახურებოდა თბილისსა და ფოთში რუსული სანომრენიშნიანი სამხედრო მანქანების გამოჩენა, ვინ არის და რა ქონებას დაეპატრონა საქართველოში კრემლის „რუხი კარდინალი“? — „ქართული სიტყვა“ გთავაზობთ 52-ე ინტერვიუს კონსტანტინე ფორჩხიძესთან.

ვინ არის, როგორ და რა ქონებას დაეპატრონა საქართველოში კრემლის „რუხი კარდინალი“

— ბატონო კოტე, ბორის ნემცოვის მკვლელობა რუსულ პოლიტიკაში რას შეცვლის?

— არაფერს.

— რატომ?

— მართალია, ერთ-ერთი ცნობადი სახე და პროდასავლური ორიენტაციის პოლიტიკოსი იყო, მაგრამ ნემცოვს რუსულ პოლიტიკაზე დიდი გავლენა არ ჰქონდა. საერთოდ, ამას პოლიტიკური მკვლელობის სუნი ასდის.

— მაშასადამე, არ იზიარებთ მოსაზრებას, რომ ნემცოვის მკვლელობა პუტინის რეჟიმის დასასრულის დასაწყისია?

— პუტინის რეჟიმი, ასი წელი, გულზე არ მეხატება, მაგრამ ნემცოვის მკვლელობის ასეთი შეფასება გადაჭარბებული მგონია. რუსეთში მხოლოდ ახლა კი არა, ბოლო 200 წლის განმავლობაში, რასაც ქართული ცნობიერება უკავშირდება, დიქტატორული რეჟიმია. რუსეთის, როგორც იმპერიის ტრანსფორმაცია აბსოლუტურად წარმოუდგენელია, რადგან დემოკრატია, პრაქტიკულად, რუსეთის დაქუცმაცებას ნიშნავს. კრემლმა კარგად იცის, დემოკრატიული პროცესები რასაც მოიტანს. ამიტომ, თავისუფალი აზრის ჩაქოლვა, ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიული ინსტიტუტების სხვა ატრიბუტების ხელყოფა მისი მიზანმიმართული პოლიტიკაა.

რუსეთის სახელისუფლებო ელიტამ იცის, მისი სახელმწიფოებრიობისთვის საფრთხეს რაც წარმოადგენს და პოლიტიკური მოწინააღმდეგეებისგან თავის დაღწევას სხვადასხვა მეთოდით ცდილობს.

— პოლიტიკური მკვლელობები მხოლოდ დიქტატორული რეჟიმებისთვისაა დამახასიათებელი?

— არა. პოლიტიკური მკვლელობები დემოკრატიულ სახელმწიფოებშიც ხდება, მაგალითისთვის შეგვიძლია, იტალიაში ალდო მოროს მკვლელობა გავიხსენოთ. შვედეთი დემოკრატიული სახელმწიფოა, მაგრამ იქ თავის დროზე პრემიერი ულოფ პალმე მოკლეს. დემოკრატიულ ქვეყნებში მკვლელობების უკან, როგორც წესი, მაფია დგას. რუსეთში კი, მაფია თვითონ სახელმწიფოა.

იცით, „ნაცმოძრაობა“ რუსეთის ხელისუფლებას რითი ჰგავდა? — ადამიანის უფლებების შეზღუდვით, ანუ საქართველოში დიქტატორული რეჟიმი დემოკრატიის საფარქვეშ იყო წარმოდგენილი. რუსეთში კი, ღია დიქტატურაა. ისიც უნდა აღვნიშნო, რომ „ნაცმოძრაობისგან“ განსხვავებით, რუსეთის ხელისუფლება მკვეთრად იმპერიალისტურია და რესურსებიც დიდი აქვს.

— სხვათა შორის, ნემცოვის მკვლელობას რომ გამოეხმაურა, მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რამდენიმე დღის წინ, ნემცოვს ვეხუმრე, ციხის კი არა, ღვინიანი „ბოკალის“ უნდა გეშინოდესო... თავის დროზე, კოტე ბატონო, იური ვაზაგაშვილის მკვლელობაც პოლიტიკურ ტერაქტად მონათლეთ. შეიძლება ითქვას, რომ მოსკოვსა და ყარაფილაში დატრიალებული ტრაგედიების კვალი სპეცსამსახურებამდე მიდის?

— ნემცოვის თავისუფლების ხარისხი, ფინანსებიდან გამომდინარე, დიდი იყო. ხელისუფლებაზეც სწორედ ეს თავისუფლების ხარისხი ზემოქმედებდა. საერთოდ, რუსეთში თავისუფალ ადამიანებს ვერ იტანენ — იქ ყველა და ყველაფერი ფედერალური, მათ შორის, სპეცსამსახურების — „ეფ-ეს-ბე“-ს, „გე-რე-უ“-სა თუ „ეს-ვე-ერ“-ის კონტროლს ექვემდებარება. ისინი, რომლებიც კონტროლიდან გადიან, მხოლოდ კარიერას კი არა, სიცოცხლესაც ამთავრებენ, თან გაურკვეველ ვითარებაში. ამის ნათელი მაგალითია ლიტვინენკოსა თუ ჟურნალისტ ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობა...

— რუსეთში სერიული მკვლელობები 20 წლის წინ, ლისტევის მკვლელობით დაიწყო...

— მკვლელობების სერია 20 წლის წინ კი არა, საბჭოთა კავშირის დროს დაიწყო — არასასურველ პირებს მაშინაც იცილებდნენ. გავიხსენოთ, თუნდაც, ბერიას ლიკვიდაცია ან, სულაც, გენერალური შტაბის უფროსის ე.წ. თვითმკვლელობა...

— საგულისხმოა, რომ აწ განსვენებულმა ნემცოვმა, უდალცევ-თარგამაძის ფარული ჩანაწერის გავრცელების შემდეგ, გივი თარგამაძეს ლოთი, მატყუარა უწოდა და ყველაფერში კრემლი დაადანაშაულა... მაშასადამე, ნემცოვს „ნაციონალებთან“, მინიმუმ, ცუდი ურთიერთობა ჰქონდა. მაშინ, სიკვდილის წინ უკრაინაში სააკაშვილს რატომღა შეხვდა?

— მართალია, უდალცევ-ნემცოვს შორის გარკვეული შეუთანხმებლობა არსებობდა, მაგრამ საბოლოო ჯამში, ორივე დემოკრატიულ ფრონტს წარმოადგენდა... როცა პოლიტიკის სამზარეულო იცი, ხვდები, ვინ ვინაა. რაც შეეხება გივი თარგამაძეს, მის რუსულ კავშირებზე წინა ინტერვიუებში ვისაუბრე და ახლა აღარ ჩავუღრმავდები, თუმცა ადრე თუ გვიან, დრო ყველაფერს ისევე გამოაჩენს, როგორც ირაკლი ოქრუაშვილის შემთხვევაში გამოჩნდა.

— რას გულისხმობთ?

— იმ ფარულ ჩანაწერს, რომელიც რამდენიმე დღის წინ გავრცელდა და რომელშიც დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლებიც ფიგურირებენ.

— უკაცრავად, ვერ ვხვდები, ამ ჩანაწერზე აქცენტს რატომ აკეთებთ?

— ეს ნათელი დასტურია, რომ რუსეთი, თავისი გავლენიანი აგენტურის მეშვეობით, ქართულ პოლიტიკაში სიტუაციას ყოველთვის ფლობდა და აკონტროლებდა, თუმცა ამჯერად საქმე სხვა რამესთან გვაქვს.

— რასთან?

— ყველაფერს კადრები წყვეტენ და პოლიტიკასაც განაპირობებენ. თუკი სააკაშვილის ხელისუფლების პერსონალიებს ამ კუთხით განვიხილავთ, ვნახავთ, რომ მათი უმეტესობა, 90 პროცენტი, რუსეთზე იყო მიბმული, რაც იმას ნიშნავს, რომ კრემლი „ნაცმოძრაობას“ მხოლოდ კი არ აკონტროლებდა, თავისი ინტერესებისთვისაც იყენებდა. ამის ნათელი დასტურია 2008 წლის აგვისტოს ომი და, ასევე, სხვა არაერთი მოვლენა, მათ შორის, ქართულ ეკონომიკაში რუსული სახელმწიფო კაპიტალის დაბანდება. არ მინდა, ვინმეზე ვთქვა, გავლენის აგენტია-მეთქი, მაგრამ ყველაფერი ეს რუსეთთან კავშირზე მყოფი „ტიპებით“ კეთდებოდა და კეთდება.

რაც შეეხება ბოლო დროს რუსული ფრთის გააქტიურებას, ამას ერთი ახსნა აქვს — უნდათ, რომ ალასანიას, როგორც ოპოზიციურ სპექტრში დასავლურ ძალას, დარტყმა მიაყენონ. იმ შემთხვევაში, თუკი „თავისუფალი დემოკრატების“ გარშემო სხვა დასავლური ძალებიც გაერთიანდებიან, ეს ალასანიასთვის ხელისუფლებაში მოსვლის მყარი დასაყრდენი იქნება. რუსეთში დეგენერატები არ არიან... მოკლედ, ყველაფერი, რაც დღეს საქართველოში ხდება, ჩვეულებრივი ოპერატიული კომბინაციაა. სხვათა შორის, ალასანიაზე შეტევა ხელს „ნაციონალებსაც“ აძლევთ, რადგან მას კონკურენტად თვლიან, თუმცა ის, ვინც ამ კომბინაციებს გეგმავს, ვერ ხვდება, რომ წაგებულ თამაშს თამაშობს...

— რა ამის პასუხია და, ახლა გამახსენდა: როცა ეროსი კიწმარიშვილი გარდაიცვალა, თქვით, რომ რუსულ კვალს ხედავდით. გამორიცხული, რასაკვირველია, არაფერია, მაგრამ ის, რომ რუსულ სპეცსამსახურებს ნემცოვი მოეკლათ, ზოგს არარეალურად ეჩვენება...

— რატომ? ნემცოვის მკვლელობით პროდასავლური პოლიტიკის დასაყრდენის მოცილება მოხდა.

— თქვენს მსჯელობაში ლოგიკა არის, მაგრამ მოცილება სხვა ფორმითაც შეიძლებოდა, მაგალითად, თვითმკვლელობის ან, სულაც, ავტოკატასტროფის იმიტაციით. არ მეთანხმებით?

— იცით, საქმე რაშია? — რუსული სპეცსამსახურები ასეთ რაღაცებს არ ერიდებიან, რადგან თავიანთი ხალხის ეთნოფსიქოლოგია კარგად იციან.

— ეს რა შუაშია?

— მკვლელობამ შეიძლება, ქართველები არ დაგვთრგუნოს და პირიქით, ბრძოლის სურვილი, ჟინი გაგვიღვივოს, მაგრამ რუსებს მკვლელობაზე ასეთი პასუხი არ აქვთ. გახსოვთ, გიორგი სანაიას მკვლელობამ ხალხი როგორ გააერთიანა და ერთ მუშტად შეკრა? ასეთი ბევრი მაგალითის დასახელება შეიძლება. მოკლედ, რუს ხალხში ძლიერი ხელის მოთხოვნა არსებობს. არ მინდა, ვინმემ ჰომოფობიასა და ქსენოფობიაში ჩამითვალოს, მაგრამ ამ ეთნოსში იმპერიული ზრახვები საუკუნეების განმავლობაშია გამჯდარი და, შესაბამისად, მისი დემოკრატიული ტრანსფორმაცია ერთბ-

გაგრძელება მე-3 გვ.

ᲮᲘᲠᲮᲘᲡᲞᲘᲠᲘ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

4- 10 ᲛᲐᲠᲢᲘ 2015

№ 9 (273)

3

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲘᲓᲔᲐ

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲗᲐᲗᲕᲘᲡ. ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ. ᲒᲔᲝᲠᲒᲘᲐ. ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

სკანდალური ექსკლუზივი

მე-2 გვერდიდან

აშად შეუძლებელია. ამის შესახებ ამერიკელებმაც იციან და ევროპელებმაც...

— ბატონო კონსტანტინე, სპეცსამსახურებში ე.წ. მკვლელობების დეპარტამენტი მართლა არსებობს?

— ქართულში არა, მაგრამ რუსეთისა და, თქვენ წარმოიდგინეთ, საფრანგეთისა და აშშ-ის სპეცსამსახურებში მსგავსი სამსახური არსებობს.

— „მსგავსი“, ანუ ისეთი სამსახური, რომელიც მკვლელობებს გეგმავს და მკვლელებს ზრდის?

— რუსებს ე.წ. ქილერების სკოლა ჰქონდათ, რომელსაც „ბალაშიხას“ 101-ე სკოლას ეძახდნენ. იქ სწორედ ასეთი კატეგორიის ხალხს ამზადებდნენ.

— ესე იგი, ის, ვინც „ბალაშიხას“ სკოლას ამთავრებდა, მკვლელის „ატესტატს“ იღებდა?

— შეიძლება, ასეც ითქვას...

— მოდით, დეტალებზე ვისაუბროთ: ასეთ სკოლებში მკვლელობის დაგეგმვა ისწავლება თუ უშუალოდ მკვლელობის ტექნიკა?

— ყველაფერი — მკვლელობის დაგეგმვიდან დაწყებული კვალის წაშლით დამთავრებული... ეს პროფესიონალი ქილერების სასწავლებელია!

— როგორც მახსოვს, ადრე მითხარით, რომ „ბალაშიხას“ სკოლაში ქართველებიც სწავლობდნენ...

— დიახ...

— ის ქართველები, რომელთაც „ბალაშიხას“, ანუ ქილერების რუსული სკოლა აქვთ დამთავრებული, დღეს საზოგადოებრივ ასპარეზზე არიან?

— დიახ, არიან და ეს ინფორმაცია, წესით, ქართულ კონტრდაზვერვას უნდა ჰქონდეს...

ვანო, ისე არ გაიგოთ, რომ „ბალაშიხას“ სკოლა პირდაპირ მკვლელების სამჭედლოა. ეს სპეცსამსახურის ჩვეულებრივი სკოლაა, სადაც ყველაფერს ასწავლიან, მათ შორის, მკვლელობასა და ტერორისტული აქტის მოწყობასაც.

— მკვლელობა და ტერაქტი, ასე ვთქვათ, სპეცსამსახურული დავალებების კულმინაციაა?

— რა თქმა უნდა... მათ, ვისაც ეს სკოლა აქვთ დამთავრებული, პირდაპირ მკვლელს ვერ ვუწოდებ, მაგრამ საქართველოში არის ხალხის კატეგორია, რომელსაც „გე-რე-უ“-სთან ღია კონტაქტი ჰქონდა. ისინი მხოლოდ სამოქალაქო სექტორში კი არა, ძალოვან სტრუქტურებშიც არიან!

— ადამიანი ქილერად რომ ჩამოაყალიბონ, აუცილებლად კრიმინალური მიდრეკილება უნდა ჰქონდეს?

— სპეცსამსახურები მკვლელებს ბავშვობის ასაკიდან არჩევენ.

— რის მიხედვით?

— ძირითადი აქცენტი რთულ ოჯახებზე კეთდება. ასევე, სპეცსამსახურების თვალთახედვის არეში ის ბავშვებიც ხვდებიან, რომლებიც ძალადობრივ გარემოში იზრდებიან...

„გე-რე-უ“-ს სხვა მიმართულებაც ჰქონდა.

— ანუ?

— სათანამშრომლოდ ინტელექტუალებსაც არჩევდა.

— როგორც ვხედავ, მკვლელობებს სწორედ ეს ინტელექტუალები გეგმავენ, არა?

— ასე გამოდის.

— ბატონო კოტე, არსებობს, ასე ვთქვათ, ქრესტომათიული სახელმძღვანელო, რომლითაც მკვლელობების დაგეგმვისას ხელმძღვანელობენ?

— მკვლელობას მხოლოდ ერთი ადამიანი ვერ დაგეგმავს. მკვლელობას, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, სპეცსამსახური გეგმავს და ამ გეგმას შესაბამის უზრუნველყოფასაც უკეთებს.

— „შესაბამისი უზრუნველყოფა“ რას ნიშნავს?

— მარტივად რომ გითხრათ, — ასეთი აქტის საიდუმლოების დაცვას.

— თუ მკვლელი ჩავარდება, ასეთ დროს სპეცსამსახური როგორ იქცევა?

— ასეთ დროს, სპეცსამსახურმა მკვლელი შეიძლება, თვითონვე მოიცილოს. საერთოდ, „გე-რე-უ“-ს ისეთი სისტემა აქვს, დავალების გამცემის ჩაწყვეტა ადვილად შეიძლება.

— „ჩაწყვეტა“ რას ნიშნავს?

— დავალების მიმცემი თამაშიდან გამოიყვანონ.

— როგორ?

— მოკლან!..

— ქილერს მასთან, ვის ინტერესშიც მკვლელობა შედის, უშუალო შეხება აქვს?

— არა... ქილერს კონტაქტი იმ ჯგუფის, ასე ვთქვათ, უფროსთან აქვს, რომლის დავალებასაც ასრულებს. რაღაც რომ იგეგმება, ე.წ. დამატებითი ვარიანტებიც ითვლება, თუმცა ამის შესახებ შემსრულებელმა არ იცის. დამატებითი ვარიანტები, როგორც წესი, კვალის გაქრობისთვისაა საჭირო...

— სპეცსამსახურები იმ რისკზე მიდიან, რომ მკვლელობა შემთხვევით ადამიანს „შეუკვეთონ“?

— იშვიათად... შემთხვევითი ადამიანი მკვლელი რომ გახდეს, საამისოდ მუდმივი ოპერატიული დამუშავებაა საჭირო. ასეთ დროს კი, რისკი დიდია.

— მაინც?

— შეიძლება, გაცემის მომენტი დადგეს...

— „ოპერატიული დამუშავების“ მთავარი კოზირი რა არის?

— ფსიქოლოგიური მეთოდები, მამხილებელი მასალები... ამ თემის ჩაღრმავება არ მინდა...

— ბატონო კოტე, როგორც ამბობენ, „ნაცმოძრაობას“ მკვლელების არმია ჰყავდა. ესე იგი, მკვლელების მომზადების მეტს არაფერს აკეთებდა?

— არა, არა... საერთოდ, „ნაციონალთა“ დანაშაულობების გახსნას არაფერი უნდა, მით უმეტეს, თუკი დანაშაულში სპეცსამსახურის თანამშრომლები არიან ეჭვმიტანილები. იმასაც გეტყვით, რომ ამ დანაშაულთა უმეტესობა არაპროფესიულადაა ჩადენილი.

— „პროფესიული დანაშაულიც“ არსებობს?

— რაღა შორს წავიდე, კოტარიაზე გეტყვით: ბიჭი სტუდენტი იყო, მოიყვანეს და ოტო-ს, ანუ ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტის უფროსად დასვეს. წლების განმავლობაში ჩაწერებს სწორედ ის აწარმოებდა, თუმცა ამის გამო პასუხი დღემდე არ უგია!

— ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში სააკაშვილმა განაცხადა, პირადი ცხოვრების გამოაშკარავება ჩემთვის ამაზრზენიაო. ამით იმაზე ხომ არ მიანიშნა, ჩაწერა-თვალთვალის შესახებ არაფერი ვიცოდიო?

— ყველაფერს სპეცსამსახურებს ნუ დააბრალებთ! თუკი უმაღლესი ხელისუფლების პოლიტიკური ნება არაა, სპეცსამსახური თავისი ინიციატივით პირადი ცხოვრების ამსახველი მასალების შეგროვებას ვერ გაბედავს!

— სხვათა შორის, ზემოხსენებულ ჩანაწერში, ოქრუაშვილი ახალაიას ახსენებს, თითქოს ის მზადაა, „ამბოხებულების“ მხარეს გადავიდეს...

— ეს იმაზე მეტყველებს, რომ „ნაცმოძრაობაში“ არსებული ბზარის გაღვივებას ცდილობენ.

საერთოდ, როცა ბაჩო ახალაიაზე ვლაპარაკობთ, არ დაგვავიწყდეს, რომ მისი სიდედრის ბინაში რუსი დიპლომატი ცხოვრობდა.

— მერე რა?

— ეს რუსულ სპეცსამსახურებთან გარკვეულ კავშირზე მიუთითებს... ვანო მერაბიშვილისა და მისი დეპარტამენტის უფროსების რუსულ კავშირებზე წინა ინტერვიუებში ვილაპარაკეთ... ასევე, ოქრუაშვილის კავშირებზეც გითხარით. ყველაფერი ეს კი იმას ადასტურებს, რომ ხელისუფლება, რომელსაც პროდასავლური იმიჯი ჰქონდა, სინამდვილეში, კრემლთან იყო კავშირში. ირაკლი ოქრუაშვილი ერთადერთი იყო, რომელიც მიშასთან კარზე ფეხის დარტყმით შედიოდა და მის კარზე უდიდესი გავლენით სარგებლობდა.

რაც შეეხება „კანტორას“, ეს საბჭოთა ტერმინია და რუსული სპეცსამსახურების, ასე ვთქვათ, სინონიმია...

— თუკი სააკაშვილი და ოქრუაშვილი რუსების იყვნენ, აბა, ეს უკანასკნელი ოპოზიციაში რატომღა გადავიდა?

— ოქრუაშვილმა თავისი დავალება შეასრულა.

— სახელდობრ?

— ავიღოთ, მაგალითად, კოდორის მოვლენები — თუკი ოქრუაშვილს რუსეთთან კონტაქტი არ ჰქონდა, 2006 წელს რუსები ამხელა შეიარაღებით კოდორამდე არ ჩაუშვებდნენ. ვერ გეტყვით, ოქრუაშვილი ვინ, როგორ და სად გადაიბირა, თუმცა შეიძლება, „ინიციატივნიკია“. „ინიციატივნიკები“ ისინი არიან, რომლებიც სპეცსამსახურებს, პოლიტიკური დივიდენდები რომ მიიღონ, თვითონ „ეტენებიან“. მართალია, „ინიციატივნიკებიც“ აგენტები არიან, მაგრამ მათ ნაკლებად ენდობიან... ჩემი დაკვირვებით, ოქრუაშვილი უფრო „ინიციატივნიკს“ ჰგავს, რომელსაც „კანტორასთან“ პირდაპირი კავშირი არ ჰქონდა და შუამავალი ჰყავდა...

— „ოცნებამ“ ოქრუაშვილი არ დაიჭირა...

— ადრეც მითქვამს და ახლაც ვიმეორებ, რომ ასეთი კატეგორიის ხალხი მხოლოდ ძველ ხელისუფლებაში კი არ იყო, არამედ, ახალშიცაა. თავდაცვის სამინისტროში ახლა ერთი-ორი ისეთი პიროვნება მიიყვანეს, რომელიც რუსეთის პირდაპირ თუ ირიბ კონტაქტშია მხილებული. რუსეთთან შეიძლება, კარგი ურთიერთობა გქონდეს, მაგრამ ხომ იცით, არსებობს ორი მეგობარი ქვეყანა, მაგრამ არ არსებობს ორი მეგობარი სპეცსამსახური!

— ბატონო კონსტანტინე, აფხაზეთის შემოვლით რკინიგზაზე გააქტიურებული ლაპარაკი ორი „მეგობარი“ ქვეყნის ურთიერთობაში ჯდება თუ ორი სპეცსამსახურის „მეგობრობაში“?

— რუსული ინტერნეტსაიტები ღიად წერენ, რომ ამ რკინიგზის გამო, საქართველო დიდ ფულს კარგავს და თუ ამუშავდება, წელიწადში, 300 მილიონამდე მოგებას მოგვიტანს.

— საინტერესო მინიშნებაა, მით უმეტეს, იმ ფონზე, როცა ლარი დევალვაციას განიცდის, ექსპერტები ქართული ეკონომიკის გადარჩენას ინვესტიციებში ხედავენ. ჰოდა, 300 მილიონი პატარა თანხა არაა და ვიღაცებმა შეიძლება, თქვან, აფხაზეთის შემოვლითი რკინიგზა უნდა ამუშავდესო. ერთი სიტყვით, რუსული სცენარი სახეზეა?

— რა თქმა უნდა — ქართული ეკონომიკა ხომ რუსეთზეა მიბმული?! საერთოდ, რუსეთს ძალიან ბევრი ბერკეტი აქვს, რომ ქართულ ეკონომიკასა და ეროვნულ ვალუტაზე ზემოქმედება მოახდინოს. ჯერ კიდევ ზაფხულში ვთქვი, კრემლი საქართველოზე პირდაპირ აგრესიას აღარ განახორციელებს და პოლიტიკურ ცვლილებებს ეკონომიკური ბერკეტებით მიაღწევს-მეთქი. რუსეთი ამ სქემას გეგმაზომიერად მიჰყვება, თუმცა ჩვენი ხელისუფლება ამ გამოწვევას ადექვატურად ვერ პასუხობს, თორემ „როსნეფტის“ საქართველოში შემოსვლა რას მივაწეროთ, რომლის ხელმძღვანელი იგორ სეჩინიც უშუალოდ პუტინთანაა დაკავშირებული.

— ახალს არაფერს ამბობთ, ბატონო კოტე, რადგან ყველამ ვიცით, რომ „როსნეფტი“ რუსული სახელმწიფო კომპანიაა.

— კი ბატონო, მაგრამ იცოდით, სეჩინი თავის დროზე პუტინის ადმინისტრაციაში მდივნად რომ მუშაობდა და კრემლის „რუხ კარდინალს“ ეძახდნენ?! სხვათა შორის, ამას წინათ, პუტინმა სეჩინის ვაჟი, 25 წლის ივანი, სამშობლოს წინაშე დამსახურებისთვის, სპეციალური ორდენით დააჯილდოვა. ივანიც „როსნეფტში“ მუშაობს — კომპანიის შავი და კარიის ზღვების საქმიანობებს კურირებს. შავი და კარიის ზღვები კი, რუსეთის გეოსტრატეგიული ინტერესია.

არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ იგორ სეჩინი პირველი იყო, რომელმაც ხადარკოვსკის კომპანიაზე დარტყმა მიიტანა. მოკლედ, ფოთის პორტში „როსნეფტის“ შემოსვლით, პრაქტიკულად, კრემლი შემოვიდა! ამ გარიგებაში კი, როგორც ადრე გითხარით, „ნაცმოძრაობის“ კასირი, დავით კეზერაშვილი და დავით იაკობაშვილი მონაწილეობდნენ. რა, იაკობაშვილს არ შეეძლო, ფოთის პორტის აქციები რომელიმე არასახელმწიფო რუსული კომპანიისთვის მიეყიდა? — რა თქმა უნდა, შეეძლო. ეს ფაქტები საერთო სურათს ქმნიან და ამავე კონტექსტში ჯდება რკინიგზისა და სომხეთთან დამაკავშირებელი ჩრდილოეთის გაზსადენის ქართული მონაკვეთის გაყიდვა-გასხვისება.

— ეკონომისტთა ნაწილი თვლის, რომ რკინიგზის შესაძლო გაყიდვაში საგანგაშო არაფერია...

— ეკონომისტები ყველაფერს თავიანთი გადასახედიდან უყურებენ, მე კი, ქვეყნის უსაფრთხოების გადასახედიდან ვლაპარაკობ. ეკონომიკა სახელმწიფოს ბაზისია, პოლიტიკა კი, — ზედნაშენი. თუკი ეკონომიკურ ბერკეტებს იმ ქვეყანას გადასცემ, რომელსაც არ ეპიტნავება, რომ დამოუკიდებელი იყო, ცხადია, შენს ეკონომიკურ ექსპანსიას განახორციელებს. როცა რუსეთს ეკონომიკური სადავეები ხელში სრულად ჩაუვარდება, ძალიან მარტივად შეძლებს, რომ პოლიტიკა დააფინანსოს და ხელისუფლებაში ის პოლიტიკური ძალები მოიყვანოს, რომელიც მისთვის მისაღებია. ამას ახლა „ჰობრიდულ ომს“ ეძახიან...

— რამდენიმე დღის წინ, თბილისსა და, თუ არ ვცდები, ფოთშიც რუსული სანომრენიშნიანი სამხედრო მანქანები გამოჩნდნენ...

— ესეც ფსიქოლოგიური ზეწოლაა, ანუ საზოგადოებას აჩვევენ — ერთ მშვენიერ დღეს, საქართველოში, შეიძლება, რუსული ტანკი გადაადგილდეს.

— მანქანების მფლობელმა თქვა, ავტოები „დაშლილებში“ უნდა ჩავაბარო და პანიკაში ტყუილად ხართო. დავიჯერო, რუსეთის არმიიდან ტექნიკა ასე იოლად იყიდება?

— რუსეთის არმიის გადაიარაღება მიმდინარეობს. ეს ძველი, ჩამოწერილი მანქანებია — იაფი ღირს, თუმცა იმის თქმა, რომ „დაშლილებში“ უნდა ჩაებარებინათ, სწორი არაა, რადგან ეს ბიზნესი არცთუ მომგებიანია. შეიძლება, მანქანები უნდა გაეყიდათ, მაგრამ ვიმეორებ: როცა შენს ტერიტორიაზე ის საბტვირთო ავტომობილები გადაადგილდებიან, რომლებიც ოკუპანტი ქვეყნის სამხედრო ძალასთან ასოცირდებიან, ეს მოსახლეობაზე დამთრგუნველად მოქმედებს! აქ ესაა მთავარი და მეტი არაფერი!

— ...ბატონო კოტე, ლარის დევალვაციამ „ოცნების“ აჭარული სკანდალი გადაფარა. იცით, მმართველ კოალიციაში რა ხდება?

— თუ ეს ტემპი გაგრძელდა, „ოცნება“ 2016 წლის არჩევნებს წააგებს...

— ეროვნული ბანკის პრეზიდენტის დაჭერას გამორიცხავთ?

— ქადაგიძეს დასავლეთში შესაბამისი აღიარება აქვს და მისი დაჭერა პირდაპირ პოლიტიკურ დევნად შეფასდება, რითიც „ნაციონალებს“ უფრო მეტი საყვირალი მიეცემათ. ქადაგიძე შეიძლება, გადააყენონ, მაგრამ თუ საქმე დაჭერაზე მიდგება, უნდა დაუმტკიცონ, რომ საბოტაჟი მოაწყო.

— „ოცნების“ სუსტი რგოლი მაინცდამაინც აჭარა რატომ აღმოჩნდა?

— მხოლოდ აჭარა კი არა, სამეგრელო და ჯავახეთიც სუსტი რგოლებია.

— რატომ?

— არაფერი კეთდება...

— ეს ზოგადი შეფასებაა...

— ივანიშვილს ბევრმა უღალატა. კიდევ ბევრი მოღალატე გამოჩნდება, მათ შორის, ისეთებიც, რომლებიც ივანიშვილმა შექმნა! ყველაზე ცუდი და მიუღებელი სწორედ ესაა. ქართული სახელმწიფოებრიობისა და ეროვნულობისთვის კი, ყველაზე დიდი ღალატი ისაა, რომ ვიღაცები ადამიანებს თავს რუსეთს ახვევენ და ეს მაშინ, როცა მოსახლეობის 80 პროცენტზე მეტი ასე არ ფიქრობს... რაც უნდა მოხდეს, საქართველოში ყოველთვის ვიქნებით ადამიანები, რომლებიც ჩვენს მრწამსს არ ვუღალატებთ! დიახ, ჩემს ევროპულ ორიენტაციას არასოდეს შევიცვლი და ვთვლი, რომ სწორედ დასავლეთია ჩვენი მომავალი! რუსული იმპერიის ჩექმის ქვეშ ცხოვრება არ მინდა!

ესაუბრა ᲕᲐᲜᲝ ᲞᲐᲕᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

(თემის გაგრძელება იქნება)

№ 9 (273)
4- 10 მარტი 2015
ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

საინფორმაციო მხარდაჭერა

თბილისის საკრებულო ლიტერატურისა და ხელოვნების პრემიის სახელწოდებაზე კონკურსს აცხადებს

კონკურსის მიზანი:

კონკურსის მიზანია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეგიდით ლიტერატურისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგში გამოცხადებული კონკურსისთვის სახელწოდების შერჩევა.

კონკურსში მონაწილეები:

ნებისმიერი პიროვნება ასაკობრივი შეზღუდვის გარეშე.

კონკურსში მონაწილეობის პირობები:

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა შეივსოს ელექტრონული განაცხადი.

კონკურსში მონაწილეობის ვადები:

2015 წლის 15 თებერვლიდან 8 მარტის 18:00 საათამდე.

საპრიზო ფონდი:

საპრიზო ფონდი შეადგენს 500 ლარს.

დამატებითი ინფორმაცია:

კონკურსის შესახებ დამატებითი კითხვების შესახებ დაგვიკავშირდით ელექტრონულ მისამართზე: konkursi@sakrebulo.ge

დედა

დედის გარეშე
სადმე ვინ წავა,
ეს მიწა შენი
დედა-მიწაა!
ვითარ რუსთველი,
ვითარ თამარი,
დედა-სამშობლო
არის მთავარი.
მიღმა დედისა
ქარიც არა ქრის,
სულში ზის შენი
დედა-ქალაქი!
ვითარ რუსთველის
ლექსის **დედანი,**
დედა-ბოძია
ქართვლის დედაი.
ან **დედა-ენა,**
სხვაგან ვის უთქვამს? –
ზის **დედა-ენა**
მარად მზის გულთან.
დედას ამქვეყნად
ვერვინ გასცლია,
დედა, კაცივით,
დედა-კაცია!
დედაზე კარგი
ქვეყნად ვის ახსოვს?
შენ გაიხარე,
დედავ, ძვირფასო!

ჯანსუღ ჩარკვიანი

სტოპკადრი

პრეზიდენტმა 8 პატიმარი ქალი შეიწყალა

დედის დღესთან დაკავშირებით, საქართველოს პრეზიდენტმა 8 პატიმარი ქალი შეიწყალა. შეწყალების კომისიის თავმჯდომარის, ზვიად ქორიძის თქმით, აქედან 4 სრულად გათავისუფლდება, 4-ს კი, დარჩენილი საპატიმრო სასჯელი გაუნახევრდა.

მსჯავრდებული ქალები სასჯელაღსრულების მე-5 დაწესებულებაში იხდიან სასჯელს.

ზვიად ქორიძის თქმით, დედის დღესთან დაკავშირებით შეწყალება არ ნიშნავს, რომ სხვა მსჯავრდებულების შეწყალების აქტი დაიგვიანებს, უახლოეს დღეებში გამოცხადდება შეწყალება იმ მსჯავრდებულებზეც, რომელზეც შეწყალების კომისიამ დადებითი რეკომენდაცია გასცა.

„ინტერპრესნიუსი“

ნემცოვისა და პოლიტკოვსკაიას მკვლელობების საერთო დეტალები

რუსმა გამომძიებლებმა ჟურნალისტ ანა პოლიტკოვსკაიას და რუსი ოპოზიციონერის ბორის ნემცოვის მკვლელობაში რამდენიმე საერთო დეტალი აღმოაჩინეს.

გამოცემა „კომერსანტის“ ცნობით, ორივე შემთხვევაში მკვლელობა სპეციალურ თარიღს ემთხვევა. ბორის ნემცოვის მკვლელობა მოსკოვში 1 მარტს დაგეგმილ ანტიკრიზისულ მარშს, ხოლო პოლიტკოვსკაია ვლადიმერ პუტინის დაბადების დღეს.

გარდა ამის, როგორც ნემცოვს, ასევე პოლიტკოვსკაიას მკვლელი დიდი ხნის განმავლობაში აკვირდებოდა და მკვლელობისთვის სასურველ ადგილს არჩევდა.

ამასთან, რუსეთის საგამოძიებო სამსახურის წარმომადგენელი, ბალისტიკური ექსპერტიზის შედეგებიდან გამომდინარე, აცხადებს, რომ ნემცოვი შესაძლოა, არაპროფესიონალმა მკვლელმა მოკლა.

რუს ოპოზიციონერს მკვლელმა 6 ტყვია ესროლა, აქედან, — ორი ააცილა. ოთხი კი ზურგის არეში მოხვდა, რის შედეგადაც ნემცოვი ადგილზევე გარდაიცვალა.

დამნაშავემ 9 მილიმეტრიანი კალიბრის ტყვიები გამოიყენა, ყველა მათგანი სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ქარხანაში იყო დამზადებული. ოთხი ტყვია 1986 წელს, ხოლო ორი 1992 წელს იყო გამოშვებული. ექსპერტების განცხადებით, ეს არის სამხილი, რომ მკვლელს იარაღისა და ტყვიების შოვნაზე პრობლემა შეექმნა.

ბორის ნემცოვი მოსკოვის ცენტრში 27 თებერვალს, გვიან ღამით მოკლეს. რუსი ოპოზიციონერი 3 მარტს, მოსკოვში, ტროეკუროვსკოეს სასაფლაოზე დაკრძალეს.

„ინტერპრესნიუსი“

გაერო-ს ცნობით, აღმოსავლეთ უკრაინაში დაღუპულთა რაოდენობამ 6 000-ს

აღმოსავლეთ უკრაინაში საბრძოლო მოქმედებების შედეგად დაღუპულთა რაოდენობამ 6 000-ს მიაღწია, — ამის შესახებ გაერო-ს ადამიანის უფლებათა უმაღლესმა კომისარმა ზეიდ რაად ალ-ჰუსეინმა განაცხადა.

გაერო-ს ექსპერტების თქმით, მათ მიერ გამოქვეყნებული მსხვერპლთა საერთო რაოდენობა დონეცკში მალაიზიური „ბოინგის“ ჩამოგდების შედეგად დაღუპულთა რიცხვსაც მოიცავს. დონბასში პრორუს მებრძოლებსა და უკრაინის არმიას შორის დაპირისპირება გასული წლის აპრილის შემდეგ მიმდინარეობს. ამასთან, 1-ელ მარტს ძალაში შევიდა შესაბამისი ბრძანება, რომელიც უკრაინის პრემიერ-მინისტრმა, არსენი იაცენიუკმა გამოსცა და რომლის თანახმადაც, რუსეთის მოქალაქეებს უკრაინაში საერთაშორისო პასპორტის გარეშე შესვლის უფლება აღარ აქვთ. აღნიშნული გადაწყვეტილება უკრაინის მინისტრთა კაბინეტმა დაახლოებით 1 თვის წინ მიიღო.

ამ დრომდე რუსეთის მოქალაქეებს უკრაინის საზღვრის გადაკვეთა მხოლოდ ეროვნული პირადობის დამადასტურებელი მოწმობის გამოყენებით შეეძლოთ.

„ინტერპრესნიუსი“

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

4-10 მარტი 2015 № 9 (273)

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!"

ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა

პოეზია

აკაკი წერეთელი

თორნიკე ერისთავი

ისტორიული პოემა

ვინ დასთვალოს ზღვაში ქვიშა
და ან ცაზე ვარსკვლავები?
ვინ შეამკოს ღირსეულად
ქართველ გმირთა მხარ-მკლავები?
ვინ მოგვითხრას მათი საქმე,
უთვალავი, საგმირონი,
და ან მათზე გადმოსული
მადლი ღვთისა და მირონი?
ნაშთი ძველის დიდებისა
არ გამქრალა ჯერაც ყველა
დღესაც მისის შარავანდით
ნიშანს გვაძლევს ცისარტყელა!
შვიდ სამთავროს მოგვაგონებს
მოელვარე ის შვიდფერი
და გვამღერებს: „არ მომკვდარა,
გაიღვიძებს ისევ ერი!"
ამ იმედით ფრთა შესხმული
ჩვენი გული სიამით სძგერს
და ოცნებაც ლაჟვარდ ფერად
წარმოგვიდგენს ქართლისა ერს,
წარსულ-ნერგზედ ახალ-ნამყნის
ველოდებით შეხორცებას!
მით ვიქარვებთ აწმყო ნაღველს
და ვეძლევით აღტაცებას.

კარი პირველი

I

მეფე დავითს, კურაპალატს,
ჰქონდა ერთხელ წვეულება:
მშვიდობის დროს ჩვენს მეფეებს
ჰქონიათ ეს ჩვეულება.
საქართველოს ყოველ კუთხით
მოეყარა თავი ერსა;
ილხენდენ და გაჰკიოდენ
ერთხმად „მრავალჟამიერსა".
და მართლადაც რომ ჰშვენოდათ
მაშინ იმათ ეს მოლხენა,
რადგან იმ დროს გადმოსული
იყო ქართლზე მადლი ზენა:
გარე მტერი დათრგუნვილი
შუღლს მათ ვეღარ უბედავდა
და შინაგან მშვიდობასაც,
ვინ იყო, რომ ვერ ჰხედავდა?
ამით გული უხაროდათ
ბატონს და ყმას, ყველას ერთად,
კაცსა კაცად აფასებდენ,
ადიდებდენ ღმერთსა ღმერთად;
საქმის დროზე მუშაობდენ,
უქმე-დღეზე მოილხენდენ,
მეფე ხალხს და ხალხი მეფეს
სიამესა გულს მოჰფენდენ.
მთვრალობა და „სადღეგრძელო"
სათვითოო არ იცოდენ;
ჩვენი ლხინი რომ ენახათ,
სირცხვილითაც დაიწვოდენ.
პირველ სმაზე ახსენებდენ
საქართველოს და უფალსა,
დღეგრძელობით თაყვანს სცემდენ
მეფესა და დედოფალსა;
ბოლოს გმირებს იგონებდენ,
მამულისთვის ომებში მკვდარს,
და მღვდელმთავრის კურთხევითა
ჰსვამდენ იმათ შესანდობარს
სულ ამითი თავდებოდა
მაშინდელი სადღეგრძელო,
თუმცა მათში მეტი იყო
საქები და სასახელო.
ამგვარივე იყო იმ დღეს
ზომიერი ჭამა და სმა
მოილხინეს, გაშაირდენ
და ერთმანეთს სტყორცნეს მათ ზმა.
ორაზროვან სიტყვებისა
გაიმართა გამოცანა
ყველას მეფის ხუმარა სჯობს,
არვინ არის იმისთანა.
მაგრამ ბოლოს ორბელიძე
მოსწრებულად, გალექსულად
ცალფეხ ზმების საპასუხოდ
ეუბნება ორლესულად:
„მაღლით წვიმა მოდიოდა,
ნაბადმა ვერ დამფარაო,
დამასველა მან, თავიდან
ფეხებამდე მასხა რაო!"
ხუმარამ სთქვა: „გიჯობნია,
თითს მოვკაკვავ მორჩილადო,
მაგრამ ერთს კი მოგახსენებ
მოწიწებით და ფრთხილადო:
ხუმარადაც ვარგებულხარ,
ვაჟკაცობით პირველიო,
მაგრამ ვერ იქმ თორნიკობას,
თუმც მის ადგილს სულ ელიო!"
აქ თორნიკეს ხსენებაზე
მეფე შეკრთა და ეს ბრძანა:
„სთქვი, ხუმარავ, თუ რას ნიშნავს
ეგე შენი გამოცანა?
რა არის, რომ დღეს ჩემ გვერდით
დიდ თორნიკეს ვერ ვხედავო?
მომიკვდა, თუ დასნეულდა?
სთქვი! ტყუილს ნუ მიბედავო!"
მოახსენა: „არ მომკვდარა,
არც სენი რამ აწუხებსო,
მაგრამ ქვეყნის სამსახურზე
დღეიდან კი ხელს იღებსო.
თვით ვერ ბედავს მოხსენებას,
მოციქულობს ვერცა სხვაო,
რადგანც უნდათ აიცილონ
თქვენი წყრომა და რისხვაო.
აწ გავბედე მოხსენება
ზმებითა და გადაკვრითო
და ნუ მრისხავ კადნიერსა,
გევედრები ცრემლის ღვრითო!"
მეფემ ბრძანა: „არ გიწყრები,
გმადლობ, ვფიცავ ჩემსა მზესო,
მაგრამ ვნახავ ერისთავსა,
გამოვკითხავ მას მიზეზსო!"
სახლთუხუცესს დაუძახა:
„ხვალ თორნიკე მომგვარეთო,
მომინახეთ, სადაც იყოს,
შინ დაგიხვდესთ, თუ გარეთო!"
ეს ბრძანა და ზე წამოდგა,
ნადიმიცა მით გათავდა
და ხვალისთვის დაიბარა
სადარბაზოდ, ვინც იქ ჰყავდა.

II

გამართულია დარბაზი,
ერიც სამსჯავროდ შეყრილი
წინ სდგას თორნიკე პირნათლად,
წარბიც არა აქვს შეხრილი.
თავი ჩაიგდო სამსჯავროდ,
მიჰყვა საერო ნებასა,
ჯერ ელის მისგან ბრალდებას
და მერე განჩინებასა.
აბრძანდა მეფე ბრალმდებლად,
ამას კანონი ითხოვდა,
და თაყვანი სცა კრებულსაც,
სანამდი სიტყვას იტყოდა.
თვალამღვრეულად შეხედა
თორნიკეს მრავალწლიანსა;
სიტყვები ყელში ეჩრება,
უმისოდ სიტყვაწყლიანსა.
ბრძანებს და მისსა სიტყვასა
ყურს უგდებს მთელი კრებული;
კრძალვით მოისმენს თორნიკეც,
სხვაგვარად ჩაფიქრებული.
ამბობს: „მბრუნავი ქვეყანა,
ვიცით, რომ ცვალებადია;
ვისაც მიინდობს, გასწირავს,
მისთვის მახე და ბადეა.
მოყვარეს გადაამტერებს,
მტერსა გაუხდის მოყვრადა,
დღევანდელს ლხენა-სიცილსა
ხვალ გადაუქცევს ოხვრადა.
კაცობრიობის დიდება
მას მიაჩნია ჩალადა
და შევუქმნივართ ჩვენ მხოლოდ
ამ სოფლის მაჩანჩალადა!
შემცდარი არის, ვინც ჰფიქრობს
მედიდურ უეჭველობით!
ან ერთი რა ვართ ამ სოფლად
უსუსურ ჭიანჭველობით?
თუმცა ესე სჭრის გონება,
რომელიც უტყუარია,
მაგრამ ადამის სისხლმა კი
ჩვენი ცხოვრება არია.
გული, მეურჩე თავისა,
ცხოვრების წინამძღვარია
და ამის გამო ჩვენ საქმეს
და სიტყვას შუა ზღვარია!
ხშირად მონურად ვასრულებთ
დღეს, რაც რიგი და წესია
და იმას ვიმკით კანონად,
რაც ძველ დროს დაუთესია!
მეცა ადამის შვილი ვარ,
თქვენსავით შვილი ქართლისა,
თავდადებული ქვეყნისთვის,
მაძიებელი მართლისა.
მაგრამ მეფე ვარ დღეს თქვენი:
ხელთა მაქვს მეთაურობა!
საქმის დროს საქმე შემშვენის
და ხუმრობის დროს — ხუმრობა.
გუშინ რომ გული მილხენდა,
თქვენც ლხინად მყავდით წვეული
და დღეს კი გიწვევთ სამსჯავროდ,
გულზედა სისხლმოთხეული.
ერთ კაცის ნდობა ძნელია,
გინდა გადიქცეს გონებად
და შეუმცდარი ამ ქვეყნად
მეფეცა ნუ გეგონებათ!
ჩვენის წინაპრის გონებას
ადრევე გადუწყვეტია,
რომ სამსჯავროში ისა სჯობს,
მსაჯული რაც რომ მეტია!
და, აჰა, მეცა შეგყარეთ
სამსჯავროდ, როგორც წესია
თქვენ ჰსაჯეთ და მე ავირჩევ,
რომელიც უკეთესია:
თორნიკე მხედართმთავარი,
თითქოს ხახვს გვაჭრის ყურზედა,
მოულოდნელად ხელს იღებს
საერო სამსახურზედა.
გვიწუნებს გმირი სარდლობას,
აპირებს მოსვენებასა;
არც დასდევს მეფის სურვილსა,
არც ითხოვს ხალხის ნებასა
დიდ მამულიშვილს ურჩობა
ქვეყნის არ შეეფერება!
ვერ მივხვდი მეტად მაკვირვებს
ამგვარი კადნიერება!
სწორედ აქვს რამე მიზეზი,
შესაწყნარ-პატივსადები,
თქვენგან არდასაფარავი,
საერთოდ გასაცხადები.
და უნდა გვითხრას სახალხოდ,
მისთვის მყავს მოწოდებული,
რომ არვინ დარჩეს ჩვენგანი
ხალხისგან ბრალდადებული.
თორემ, ხომ იცით, ქვეყანა
უბრალოდ დამძრახველია:
განაგონებით გადასწყვეტს,
რისიცა არმნახველია!"
ეს სთქვა და ტახტზე დაბრძანდა
მეფურად მეფე სვიანი,
გვერდით მოუსხდენ მსაჯულად
მოხუც-ჭაღარათმიანნი.
მერე სხვებიცა ჩამოჰყვენ,
დასხდენ რიგრიგად ყველანი
მდივანს მზადა აქვს ქაღალდი,
საწერ-კალამი, მელანი.
აქ ჩამოვარდა სიჩუმე,
პასუხს ელიან სარდლისას,
წრფელ სინიდისის მქონის
და მასთან სიტყვამართლისას.

III

ახოვანი, მშვენიერი,
თეთრწვერა და თეთრთმიანი,
წინ წამოდგა სასაუბროდ
მოწიწებით ტკბილხმიანი.
თაყვანი სცა პირველ მეფეს,
მერე კრებულს ორი მხრითა,
გულზე ჯვარად ხელებს იჭდობს,
თავდახრილი, ცრემლის ღვრითა.
წვერ-ულვაშზე მარგალიტებრ
ცრემლი ცრემლზე ეკიდება,
მწარის ოხვრით ვერ იქარვებს,
გულს რომ ცეცხლი ეკიდება
უკვირს, რომ ამ სამსჯავროში
უმიზეზოდ ის ჩავარდა
და რომ მასზე გულს იყრიან
ისინი, ვინც მას უყვარდა.
გულნატკენად რომ უყურებს
სხვებს, თვითონაც გული სწყდება,
მაგრამ თავის პირადობა
აღარ ახსოვს, ავიწყდება
და საერთო ნება-სურვილს
მორჩილებით აძლევს პასუხს
და თანდათან მისი სიტყვა
შეუპოვრად სჭექავს და ჰქუხს:
„ვფიცავ იმ პირველ მიზეზსა,
ყოველ მიზეზის მიზეზსო,
ვიფიცავ საქართველოსა
და მერე, მეფევ, თქვენს მზესო.

6 № 9 (273) 4-10 მარტი 2015

ქართული ენა

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

ლიტერატურა. ენალმეცნიერება. ჟურნალისტიკა

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

ПРОЗА

ვაჟა ფშაველა

ნინიკა ირმის ნაკლებობა

ყვირილით, კიჟინით მორბოდა აუარებელი ხალხი. ხელში ზოგს თოფი ეჭირა, ზოგს — ხმალი, სხვას — ხანჯალი, შუბი, ყველას — ერთი რამ მომაკვდინებელი იარაღი.

— საით წავიდა, საით გაიქცა? — ეკითხებოდა ერთი მეორეს, — მაშ წავიდა, წავიდა? ვერ მოჰკალით?..

უკმაყოფილო სახით, რომ ცოცხალი გადაჰრჩენოდათ, ყველა წინ მიიწევდა, კბილებს აღრჭენდა, გულში მუშტს იცემდა. დიდი და პატარა, კაცი და ქალი იმას მისდევდა, — ერი, მღვდელი და ბერი; ძაღლებს უტევდენ. „დაიჭით, მოჰკალით, მოჰკალით!“ — გაისმოდა მძლავრად ჰაერში ხმა ერისა.

ვინ უნდა მოეკლათ? ვინ უნდა შეეპყრათ? ვის მისდევდა ეს ამოდენა დუნია? იქნება, საპყრობილედან გამოქცეული ქვეყნის ამომგდებელი ავაზაკი, დედის ძუძუს მომჭრელი, — განხორციელებული ბოროტება, უმსგავსობა, უნამუსობა, რომლის შეპყრობა, დასჯა და ჯავრის ამოყრა ენატრებოდა ამოდენა ხალხს?

არც ერთი, არც მეორე, არც მესამე. ის იყო ყოვლად უვნებელი, მშვიდი ცხოველი ირემი, რომლის დანაშაული ის არის მხოლოდ, რომ ტყეში თავისუფლად სცხოვრობს, არავითარი თავის დასაცავი მტრისაგან, გარდა ფეხებისა, თვალებისა და ყურებისა, იარაღი არ მოეპოვება. სცხოვრობს თავისთვის. არც ბატონია ვისიმე, არც — ყმა. არ სტაცებს, არ ართმევს არაფერს, არავისს ნამუსს და ადამიანობას არ შეჰლახავს, არავის დასწყევლის, არავის რას მოჰპარავს, საზრდოობს ბალახით, წყლით და ჰაერით, ბუნების მიერ ბოძებულით. აი, მთელი მისი დანაშაული. მაშ, რად სდევნიდა ხალხი? რად უნდოდა მისი მოკვლა? იმიტომ, რომ გემრიელი ხორცი აქვს.

ნუთუ, მარტო ეს არის მიზეზი? — არა, არა.

განა, ნინიკას ირმას, სიმსუქნისაგან ჩუპეს რომ თითქმის მიწაზე დაათრევს, ნაკლებად გემრიელი ხორცი აქვს? რატომ იმას არ მიესია ეს ხალხი? ან სესიკას ქოსმანს, სიმსუქნისაგან რომ ძლივს ხრუტუნებს, ქონი ყელში ებჯინება და ფეხებს ძლივს ადგამს, ტანს ძლივს ერევა, რატომ იმას არ დასდევს ქვეყანა მოსაკლავად? მაშ, რა მიზეზია? ის, რომ ირემი უპატრონოა, გარდა ამისა, აქვს გემრიელი ხორცი. ირმის მოკვლისათვის პასუხს არავინ აგებს. სესიკა და ნინიკა კი აურზაურს ასტეხენ.

ირემი ზურგზე რქებგადაგდებული გარბოდა, უკანმიწეულს სიკვდილს წინშეჯახებული ერჩივნა. გარბოდა სოფლებზე, ქალაქებზე, არავის და არაფერს არ ერიდებოდა, ოღონდაც მდევრებს როგორმე ხელიდან გასხლტომოდა. რიცხვი მდევართა კი, ამასობაში, ერთი ათასად მატულობდა. ბევრი წინ ეჩეხებოდა იარაღიანი და ესროდა თოფს. ვისაც იარაღი არ ეჭირა ხელში, იგი სინანულს აცხადებდა: თოფო, სადა ხარ, ახ, თოფოო! — იძახოდა.

ირემი უჭირველი გარბის, ოფლში გაწუწული, დაღალულ-დაქანცული; არ ამბობს არაფერს და არც ფიქრობს, მხოლოდ ერთს ამბობს: „ვის რა დავუშავე, რა უნდათ ჩემგან, რას მერჩიან?“.

აღარ იცის, სად შეაფაროს ირემმა თავი. რა საფარსაც კი მიჰმართა, ყველგან მტერი აღუჩნდა, ყველამ მისი მოკვლა მოინდომა. ერთ ადგილს სენაკი ნახა ბერისა — გამოქვაბული კლდე და სთქვა: იქნება, ბერმა მისტუმროს და გამიწიოს მფარველობა, შევეჭრები და ვსთხოვ, დამიფაროს მტრებისაგანაო. თვალდაფეთებული მიიჭრა სენაკის კარებზე და დაუძახა: „ბერო, მიშველე, ღმერთი გიშველის, მიპატრონე, მოკვლას მიპირებენო!“

ბერმა, შებრალების მაგივრად, ნაჯახს წამოავლო ხელი, რადგან სხვა იარაღი არ მოეპოვებოდა, უნდოდა, დაედო თავში და იქვე სული გაეფთხობინა, მაგრამ ირემმა მალე შეუტყო განზრახვა და ხელიდან გაუსხლტა... გაიქცა, წინ გარბოდა, არ იცოდა, სად გარბოდა, დანიშნული ადგილი არა ჰქონდა არსად. მხოლოდ თავის გადარჩენა უნდოდა დღეს, სხვა არაფერი... ხალხი ისევ მოსდევდა. ირემზე ნაკლებად არც იმის მდევრებსა სდიოდათ ოფლი. ყველა დაქანცული იყო, ხვითქი გადასდიოდა თავ-პირზე...

არ იქნა, ხმელეთზე ირემმა თავშესაფარი ვერსადა ჰპოვა, ვისაც დაენუკვა მფარველობას, ყველამ მოკვლა დაუპირა, რა ადგილასაც კი დასამალავად თავი შეჰყო, ყველგან თოფის წვერი დაუხვდა. ყველგან მახვილი მოსაკლავად. არა სჩანდა ხმელეთზე მისთვის თავშესაფარი და აგერ, ზღვა გამოჩნდა, თვალგადაუწვდენელი, დიდი ოკეანე.

„იქნება, იქ, ზღვაში, მაინც ვპოვო თავშესაფარიო“, — გაიფიქრა ირემმა და გასწია პირდაპირ ზღვისაკენ, მოურიდებლად შეტოპა შიგ და გასწია უფსკრულისაკენ. ხალხმა დაინახა, ირემი როგორ ჩაიღუპა ზღვაში და გულჩათუთქული დაბრუნდა უკან. „ახ, რა ნადირი წაგვივიდა ხელიდან!“ — ყველა თითქმის ამას ამბობდა, მაგრამ თან ამასაც უმატებდა, — „რა გვინდა, რაზე ვიკლავთ თავს, რა შეგვისვა, რა შეგვიჭამა, დაე, იცოცხლოს მაგანაც, გაიხაროს ამ ოხერს წუთისოფელშიო“.

ამას თუმცა ამბობდენ, მაგრამ თან მზად იყვნენ, თუ სადმე ირემი ყურებს დააჩენდა, პირდაპირ დასტაკებოდენ, არცერთი არ დაინდობდა მოსაკლავად.

ასეა ადამიანის ბუნება: ბევრჯელ ისეთს რასმე ამბობს, რის წინააღმდეგი არ შეიძლება იყოს; მაინც ამბობს სათვალთმაქცოდ, რათა ერთიმეორეს ეჩვენოს კეთილმოწყალე და ქველ ადამიანად. ენა ადამიანისა სველია, ხოლო გული მისი მგელია.

ირემი მისცურავდა ზღვაში პირდაპირ უფსკრულისაკენ. გზადაგზა ბევრი ცხოველი, ათასნაირი თევზი ეჩეხებოდა, ვეშაპებიც კი, მაგრამ ის წარბს არ იხრიდა, იმას არავინ არ ერჩოდა. არც კი ვინმე ივლევდა ბაიბურად ირმის ზღვაში ყოფნას. თავისუფლად იგრძნო ირემმა აქ თავისი თავი, თავისუფლად ამოისუნთქა, ღმერთს მადლობა შესწირა, უკან აღარ იცქირებოდა, რადგან აღარ ეშინოდა არავისა. ზღვაში მას ადამიანი აღარ გამოეკიდებოდა მოსაკლავად. ზღვის ზედაპირზე ყოფნა მაინცდამაინც აშინებდა და იმიტომ უფსკრულისაკენ მიიწევდა, იქ უფრო შორს იქნებოდა ადამიანზე, აღარ გაიგონებდა ადამიანის შემაძრწუნებელს ხმას.

ირემი მიუახლოვდა ზღვის ფსკერს და... ა, კიდევ უბედურება!.. ტანში ჟრუანტელმა დაურბინა... ნუთუ, მოჩვენებაა? ირემი დააცქერდა კარგად. არ არის მოჩვენება, ნამდვილია. რა ნახა ირემმა? — ადამიანის გვამი. იგრძნო ირემმა, მკვდარი ადამიანი ვერაფერს ჩამორჩებოდა, მაგრამ მაინც შორს გასცდა, თვალი მოარიდა. „აქ ცოცხალი ადამიანი ვერ იბოგინებს,“ — სთქვა მან თავისთვის.

ირემი რომ ზღვაში დაბანავდა, დედამიწაზე ჩოჩქოლი ასტყდა. „დაიკარგა სიმართლე!“ — გაიძახოდენ ბრალიანნი და უბრალონი, მართალნი და უსამართლონი, — „აღარ არის სიმართლე, მხოლოდ ძალმომრეობაა, უსამართლობაა, უსამართლობა! წახდა ქვეყანა, ცუდი დროა, ცუდზე ცუდი!.“

ირემი, დაწუხებული ჰაერისა და მიწისათვის, ათასში ერთხელ ამოჰყოფდა თავს ზღვიდან და საჩქაროდ გარბოდა ისევ უფსკრულისაკენ. ეშინოდა ადამიანთან ახლო ყოფნისა. „მომკლავენ, არ მაცოცხლებენო, — ამბობდა ირემი თავისთვის, — შეუბრალებელია ადამიანი“.

ქვეყნიერობაზე ჩოჩქოლი და უკმაყოფილების ხმა გაისმოდა: „აღარ არის სიმართლე! დაიკარგა სიმართლე!“

გამოჩნდა მქადაგებელი, რომელიც ცისმარე დღე დადიოდა და ჩასჩიჩინებდა ხალხს სულ ერთსა და იმასვე: „აღვადგინოთ, ხალხო, სიმართლე! უსამართლობა დაგვღუპავს, ქვეყანა წახდება; სიცოცხლეს, ცხოვრებას ლაზათი დაეკარგა, ცოდვა გამრავლდა... აღვადგინოთ სიმართლე!“ — აღვადგინოთ, აღვადგინოთ! გუგუნებდა, გრიალებდა ხალხი ისეთის მაღალის ხმით, რომ ცა და დედამიწა ინძრეოდა. ერთი რა არის, ერთი ადამიანიც კი არ გამოჩენილა, თვით უსამართლოზე უსამართლო, ეთქვა: არა, ნუ აღვადგენთო, ყველა, დიდი და პატარა, ჭკვიანი თუ უჭკუო სიტყვის თანხმობას აცხადებდა სიმართლის აღსადგენად; წინააღმდეგი არავინ იყო, არავინ.

ხოლო, დიაღ, ხოლო აქ წერტილები დაუსვათ და შევჩერდეთ.

რად შევჩერდეთ, რისთვის? — მისთვის, რომ, განა, რასაც ვამბობთ, ყოველთვის იმას ვაკეთებთ? ენით ნათქვამ სიტყვაზე ძლიერი ვნებაა, რომლითაც შეპყრობილია ადამიანი, იმას ემონება იგი, ვნების ყურმოჭრილი ყმაა. ამიტომ აღდგენა სიმართლისა ყველას თავისებურად ესმოდა: ღარიბს და მშიერს თუ იმიტომ უნდოდა სიმართლის აღდგენა, რომ გამძღარიყო, გამთბარიყო, კარგად მოეწყო თავისი ცხოვრება, არც მდიდარი ბრძანდებოდა თავის დაცვის და შენახვის ფიქრთან უკაცრავად, მდიდარიც ფიქრობდა: აღდგეს სიმართლე, ხოლო ჩემს სიმდიდრეს მოემატოს და ნურაფერი დააკლდება, ეგრეთვე სიმაძღრესა ჩემსა უმატოს ღმერთმაო... აღდგეს სიმართლე!..

საბრალო ირემი ზღვაში იმალებოდა და ეხვეწებოდა ღმერთს: „ღმერთო, როდემდის უნდა ვიყო დევნილი, დაჩაგრული, შეურაცხყოფილი? როდემდის უნდა ვიცოცხლო შიშით და მოკრძალებით?.. ვჭამდე — ვკანკალებდე, მეძინოს — ჟრუანტელი მივლიდეს შიშისა, საცაა, მოვლენ და მომკლავენო... ღმერთო, გარდაქმენ გრძნობა, ფიქრი და ვნება ადამიანისა ისე, რომ მე არ მემტერებოდეს, ჩემი მოკვლა არ ედვას გულში. მეც შემეძლოს ცხოვრება თავისუფლად მზე-ქვეყანაზე. დააფიქრე, ღმერთო, ადამიანი და შეანანებინე ის ცხოვრება, რაც დაუშავებია და აშავებს წინაშე ჩემსა და ათქმევინე გადაჭრით: აღარ მოვკლავ ირემს, რადგან დაუნაშავარი ცხოველია, უბრალოდ, სცხოვრობს, ალალ-მართლად, არავის რას სტაცებს, არავის ეცილება ლუკმა-პურს, არავისა ჰკლავს, მხოლოდ, რადგან ცოცხალია, უყვარს სიცოცხლე და ღირსიც არის სიცოცხლისა, გთხოვ, უფალო, შეისმინო ეს ჩემი ვედრება, მომეცი წუთისოფელში მეც ამ საწყალ ცხოველს, მყუდრო ბინა... თუ ეს არ იქნება, ჩემი სიცოცხლე ტყუილია, არარაობაა, ტანჯვაა, ჯოჯოხეთია. უნდა აქ ზღვის ძირზე ვიყო დაკერებული და არ გავინძრე, ვიდრე სულს არ დავლევ“.

ამ ლოცვას რომ ამბობდა, ირემს დიდრონი მშვენიერი რქები ჰქონდა დაბჯენილი ერთს ტინზე, ღაპაღუპით ცრემლი მოსდიოდა თვალთაგან და იმისი ცრემლები უერთდებოდა ზღვის უთვალავს ცვარსა და წყალსა.

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა

4-10 მარტი 2015 | № 9 (273) | 7

ახალი ლექსები



გერონტი მესხი

სამი დღე, რომელმაც შეძრა ჩემი სამშობლო

როგორ ჩანს, თუნდაც, ერთი დღით თოვა?!.
როგორც უტყუოდ მოჩანს აფთარი!..
უფრორე მოჰგავს უცრემლო გლოვას,
დალახვროს ღმერთმა მსგავსი ზამთარი!
... და მაინც, ყველა დღე მიჯობს ახლა
აგვისტოს სამ დღეს, მსხვერპლით მოფენილს,
რომელსაც მართლა კოშმარი ახლდა,
რომელმაც შთანთქა ჩემი სოფელი...

გაზაფხული მოსულა

ღამის ნაშობ განთიადებს სიო ძუძუს აწოვებს,
არემარე გარინდულა უკეთესის ლოდინში.
ნადავლს ეძებს ტყეში ხვადი... ორთქლი ასდით საძოვრებს,
ნებივრობენ ენძელები მარტის გაშლილ ლოგინში.
თოლიები ზღვაზე მნათობს უმზადებენ სარეცელს,
მზე კი ცაზე მოგორავს და ეფერება მიდამოს.
ჯეჯილს სურს, რომ ზამთრის კითხვებს პასუხები გაეცეს,
ხვალ კი ტალღად აქოჩრილმა ურჩ ნიავთან იდავოს.
სიცივისგან მობუზული შენც ბეღურას მაგონებ,
ნაზამთრალზე გაიშლები, გადაიგდებ კაეშანს.
გაცრეცილი ნისლებიდან გამოპარულ მთა-გორებს,
სიყვარული აუფრინდათ და შენს ფერხთით დაეშვა...

როცა სახელი გვარს უსწრებს

სად ნახავთ მგოსანს ამგვარს და ამდენს,
მიტომ ვეკრძალვი, პოეტი მერქვას.
ბერმუხებს გვანან, აზიდულთ ცამდე,
მე ვგავარ იმ ხის ერთ ციცქნა მერქანს.
სახელი მათი დარჩება მარად,
შედევრები კი სივრცეს მოედვნენ...
ზეცის მპყრობელი არწივის დარად
„ანი“-დან ფლობენ ყოველს „ჰოე“-მდე.
შოთა, ილია, ვაჟა, აკაკი,
ტატო, გოგლა, თუ გალაკტიონი..
მათ ლექსებს არ აქვთ დრო და ასაკი,
ვერც გადარეცხავს ზღვაში რიონი.
ირაკლი!.. მურმან!.. იქით-მუხრანი!..
ბევრი პოეტი თავის გვარს გასცდა...
გაითავისეს სიტყვის ულრანი
და უკვდავების ნეტარი განცდა.
ენის მტერს დასცემს სიტყვით ჯანსაღით
მოჭირნახულე მამულის ბედის,-
სახელით შევა დროში ჯანსუღი,
ქართველს რომ „ლომის“ არგუნა „ხვედრი“!
ცის მეუფებას არწივი ბედავს,
ფრინველს უწოდებს თავს კვირიონიც(!)...
„ტაბიძე“ როგორ ჟღერადობს, ვხედავ,
მაგრამ, სულ სხვაა „გალაკტიონი!“
ციდან მომსკდარი რითმებით თუ წერ,
ლექსი გაქვს, არა მიეთ-მოეთი,
სახელი როცა შენივ გვარს უსწრებს,
ღვთივკურთხეულ ხარ მართლა პოეტი!..
...მე – ვწერ და, განა სახელს დავეძებ,
ვიწაფავ ამ ხელს ლექსის წერაში...
ჭიას ვახარებ, როცა რამეს ვწერ,
მე... მხოლოდ ლექსის წერის წერა მჭირს...

მამულო ჩემო!

მე სიყვარული შენით ვისწავლე
და უკვდავებაც შენგან შევიცან.
ეცადნენ, მაგრამ ვერ შემიცვალეს
ვერც შენი მიწა და ვერც შენი ცა.
ჩემი ფიქრები გმოსავს სრულიად,
ცამდე გამაღლებს ბაგრატი, გრემი...
ეგ მთა, ზვიადი, ჩემი გულია,
ზღვის ნაკადები-სისხლია ჩემი.
ზვრებად გაშლილი ჩემი სხეული
გადაპენტილა ხვავით, ბარაქით...
მე ქარბუქი ვარ გადარეული,
ხან, რომ გარწყულებს, ის ვარ-არაგვი!
მე საწყისიდან მოგდევ ამგვარად,
ევას შექმნიდან-დღეის მცხეთამდე.
ყველგან ვარ, სადაც სისხლი დავღვარე
გმირულად, ზოგან-ბოლო წვეთამდე.
მშვიდად სიკვდილი, უმტროდ, მე არ მხვდა,
ის კი გვეხვია თავზე ურიცხვი.
მე ის ბიჭი ვარ, მტერს რომ შეაკვდა
ერთი მტკაველი მიწის გულისთვის.
შენ კი თილისმად რომ მოსდევ ქართველთ,
შარავანდედად ჩვენს „თავსა ზედა“.
ის ხარ, ბრძოლებში შეწირულ მართვეთ
გულს რომ იკრავდი-ადგილის დედა!
და, თუმცა, ჩემი აწამეს ღმერთიც,
ბევრჯერ მამულიც, ნაგრამთან ერთად,
ვერ დამაჩოქეს მწამებლის ფერხთით,
ვერ ქნეს, ულმერთო რომ მეცნო ღმერთად.
შენს სამეგობროდ გაწვდილ მარჯვენას
გამოუხშირეს ბევრჯერ ძირები.
...ქორონიკონმა მტერსაც აჩვენა,
როგორ კვდებიან შენთვის გმირები...

მუდამ მეყვარები

(სიმღერა)

შვლის ნუკრივით შერჩენილო ამაყ მთებს,
დასხლეტილო წუთით დედის უბიდან.
შუქურა ხარ, უკუნშიც რომ ანათებ,
როგორც მთვარე, თავდახსნილი ღრუბლიდან.
დანარნარებს შენი ლაღი მშვენება,
მზის სხივივით მწვავენ შენი თვალები.
როცა ღმერთებს ჩემი ტანჯვა ენებათ,
მომახვიეს სატრფიალო ალები.
ძალებს ვიკრებ სიყვარულის აღმართთან,
დასტურს ველი შენს ბაჯაღლო ზოდიდან.
სიყვარულმა ამნეზია დამმართა:
მიყვარხარ და, არც კი ვიცი, როდიდან.
შევუყვები აღმართს, როგორც მეგზური,
დახუნძლული სიყვარულის საგზალით.
გიხილე და ბედს მე აღარ ვემდური,
მიყვარხარ და ვერ აგიწერ, რა ძალით.
და ამურის ისარს გტყორცნი მხოლოდ შენ.
ჩემზე უკეთ სხვა ვერ გეტყვის ვერაფერს:
მიყვარხარ და მეყვარები ბოლომდე!..

მზისხატულა ქალავ!

(სიმღერა)

მზისხატულა, საოცნებო ქალავ,
მონუსხული სათქმელს გულში ვმალავ.
შენს აურას შემოვახვევ ფიქრებს.
ჩემი გრძნობის ძალა იგრძნო, იქნებ.
ეგ მწველი და მათრობელა მზერა
მაგ გულიდან იმართება, მჯერა.
შენგან დიდი ენერგია მოდის,
და მაოცებს, სად ჩნდება და როდის?
სითბოს აფრქვევ, მკერდში რომ გაქვს, იმას,
ვნატრობ, ახლა მოვიდოდეს წვიმა.
შენ კისკისით გაურბოდე წვეთებს,
შემეფარო, როგორც გვირგვინს მეფე.
ისე წვიმდეს, როგორც წვიმდა გუშინ,
წვიმა იყო, მე რომ ჩამრჩი გულში.
ხვალ იქნება ფანტელების თოვა,
ფიფქი, თოვლი შენთან ერთად მოვა.
მერე გესვრი სიყვარულის გუნდებს
და ავაგებთ თბილ და მყუდრო ბუდეს.
გავმრავლდებით, როგორც არაერთი,
გაგვიღიმებს ამურული ღმერთი.
გვეყოლება უამრავი ბავშვი,
შენ იჯდები მუდამ სუფრის თავში.
ვადღეგრძელებთ სიყვარულის მომგონს...
მომე ხელი, მომე ხელი, გოგოვ!..



ნოდარ ბაქრაძე

დილა

ნისლი მთებს ანახრჩოლები
ქარებმა აწეწ-დაწეწეს,
მაგონებს ყაყაჩოები,
ბუხრის ანასხლეტ ნაპერწკლებს.
მთვარეს ფერი აქვს ფორთოხლის,
სხივები სწყდება ქათქათა,
ფრთებს ამაყად შლის ხოხობი,
ეშვება ნარიყალასთან!
გაზაფხულის მზით გამთბარი,
მოველი გულთეთრ ქორბუდას,
კეკლუცობს იასამანი,
სიყვარულის დრო მობრუნდა.
როგორ მინდოდა მეწერა,
აღმავლობაზე ვფიქრობდი,
მიტაცებს გუნდი წეროთა,
და წეროსფერი სტრიქონი...

● ● ●

შენ, თავო ჩემო ბეჩავო,
სანამდე უნდა მტკიოდეს,
სადამდე უნდა ვეწამო
და ცრემლი უნდა მდიოდეს.
ლოდინს გადაჰყვა ნერვები
შეპირებებით დავბერდი,
ცოტა მინახავს სიამე,
ჭირი, იცოცხლე რამდენი.
ვიხეტიალე, ვიარე,
ზოგჯერ კედლებზე ვიცოცე,
რთულია ნატვრა-ლოდინში,
გატარებული სიცოცხლე...

აწყურის ციხის ქვიტკირო!

აწყურის ციხის ქვიტკირო
მყარო და მხრებში დაშლილო,
შენი მცქერალი ქართველი,
ნეტავ ვინ გადააჯიშოს.
აწყურის ციხის ქვიტკირო
სიტყვა გიხდება წყლიანი,
ნისლი აკვრია შენს ლიბოს,
ვით დროშა თამარიანის...

ერთხელ

როცა მეცინება ვტირი და,
როცა მეტირება ვიცინი,
ამ ქვეყნიური ხვედრია
ერთხელ ანთება, ციმციმი...
ერთხელ შეგრძნება სითბოსი,
სხვა დანარჩენი სიცივის.
ერთხელ შეხვდები სიყვარულს
ერთხელ იშლება აფრები,
თუ კი დაკარგავ იცოდე,
აღარ ხარ აღარაფერი...

ზამთრის ღამე

მე მთელი ღამე ქარებს დავდევდი,
ქარებს არაფერს რომ არ ინდობენ,
საფანტებივით მწიფე პანტები
ეყარა ყვითელ და სველ მინდორზე.
თვალს და ხელშუა გაქრა ზაფხული,
სადღაც რაშებმა ჩაიჭიხვინეს,
და შემომესმა ხმა გაზაფხულის,
„როგორც გიჭირდეს, ისე
გილხინდეს“...

● ● ●

ქალი მკვლელი და მკურნალი,
იყო და არა იყო რა,
მიყვარდა, მას არ ვუყვარდი,
ვუყვარდი, მე არ მიყვარდა.
ასე გავლე ამ ქვეყნის
უსწორ-მასწორო ბილიკი,
რასაც რომ ვერიდებოდი,
მეძალებოდა პირიქით...

საქარის გზაზე

წვეთს მზის სისხლი ვენებიდან
გადასერილი,
საქარის გზაზე მიმაცილებს ხეთა
აჩრდილი,
ნეტავ, მეც შევძლო,
ღმერთო ჩემო, დაისელივით,
ხალხის გულებში დამეტოვოს
ლექსი ჩათლილი...

მოყვარულთა კლუბი

● ● ●

ტკბილი საღამოები,
თბილი საღამოები,
უწინდელი ამბებით
გაჟღენთილი ჰაერი.
იმ პატარა ოთახში
აქროლილი გრძნობები,
სუნთქვა მარადიული
და წვა წუთისოფელის.
თქვენი ნაზი სხეულით
მოქსოვილი გალია
ჩემთვის ისე ტურფა და
მშვენიერი ვალია.
ზოგჯერ ცივი ზამთარი
მენატრება ძალიან,
სიცივეში სითბო და
სიყვარული მწადია.
თითქოს სამ-ოთხ ანგელოზს
კუთხით დაუვანია,
შენი მზერის ალერსი
წამებს დაუჭერია...
ჩემი საღამოები
სხვისას ყველას სჯობია,
ოთახს გაბრძანებული
წარმავლობა გზად გდია.
ტკბილი საღამოები,
ჩემი საღამოები,
თქვენში დაბადებული
ჩემი საგანძურია.

ქართული ოცნება

ეროვნული

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

ლიტერატურა. ზელოვნება. პოლიტიკა

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

უმრავლესობის ტრიბუნა

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ქალბატონი გუგული მაღრაძე ლარის კურსის ვარდნასა და ეკონომიკური გუნდის პასუხისმგებლობის საკითხს ეხმაურება. მისი აზრით, საკითხი შესწავლას საჭიროებს და თუ გიორგი ქადაგიძის დანაშაული გამოიკვეთება, მაშინ ხელისუფლება ადექვატურად უნდა მოიქცეს.

„არაა გამორიცხული, კოალიცია კიდევ რამდენიმე კაცმა დატოვოს!“

– ქალბატონო გუგული, ლარის გაუფასურებამ ცხოვრება კიდევ უფრო გაუსაძლისი გახადა. ხელისუფლების ეკონომიკური გუნდის პასუხისმგებლობის საკითხი არ დადგება?

– აქ ერთი რამ უნდა გავითვალისწინოთ: მთავრობის ეკონომიკურ გუნდს ლარის დევალვაციის თავიდან აცილება შეეძლო, თუ არა. კონკრეტული თანამდებობის პირების საქმიანობა ფინანსური ინსტიტუტებიდან იმის მიხედვით ფასდება, თუ რა შესაძლებლობა ჰქონდა მოცემულ მომენტში. როცა ეკონომიკურ გუნდს ვაფასებთ, ობიექტური ანალიზის გაკეთებაა საჭირო.

– გამართლებულად მიგაჩნიათ, რომ ლარის გაუფასურებაში ბრალი ეროვნული ბანკის პრეზიდენტს დასდეს? ქადაგიძის იმპიჩმენტი უნდა დადგეს?

– გარკვეული გარემოებების გამო, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიმართ ნდობა არასოდეს მქონია. როგორც ვიცი, ეროვნულ ბანკს აქვს რეზერვები და უნდა გადაწყვიტოს, როდისაა სიტუაციაში ჩარევა მიზანშეწონილი და როდის – არა. ეროვნულმა ბანკმა უნდა დაარეგულიროს გარკვეული ფინანსური პრობლემები და როცა ქვეყანაში პროცესები ასეთი სისწრაფით ვითარდებოდა, გაჩერების უფლება არ ჰქონდა... ყოველთვის მომხრე ვარ ანალიზის – თუ არ გამოიკვეთა ქადაგიძის დანაშაულებრივი ქმედება, მაშინ იმპიჩმენტიც არ უნდა დადგეს.

– ლარის დევალვაციამ გავლენა თქვენი ოჯახის ბიუჯეტზეც მოახდინა?

– რა თქმა უნდა: თუ ადრე რაღაც ნივთის შესაძენად 50 ლარი მყოფნიდა, ახლა ეს თანხა საკმარისი აღარაა. ამის გამო, სხვა ხარჯები შევიმცირე... მიუხედავად ამისა, შიმშილით არ ვკვდები. ასე არიან სხვებიც. დღეს ყველაზე მეტად მათ უჭირთ, ვისაც სესხი დოლარში აქვს გამოტანილი. ირმა ნადირაშვილმა თქვა, გადავხედე და „ქართულ ოცნებაში“ სესხი არავის აქვსო. ეს იმიტომ, რომ „ოცნებაში“ ისეთი ხალხი ვართ, ვისაც სახლები არც ადრე უყიდია და არც აწი აპირებს.

– იქნებ, საქმე პირიქითაა? იმდენის შოვნა მოასწარით, რომ კრედიტების აღების საჭიროება აღარ გაქვთ?

– კოალიციაში ძირითადად ისეთი ხალხია, ვისაც უძრავი ქონება აქვს და თუ გაფართოებას გადაწყვეტს, მხოლოდ თანხის დამატება დასჭირდება. თუ ადამიანს დანაზოგი აქვს, სესხი რაღად უნდა, ანუ სესხს ისეთები იღებენ, ვისაც გადახდის შესაძლებლობა აქვს.

– მაღალჩინოსნებს, რიგითი მოქალაქეებისგან განსხვავებით, ყველაფრის შესაძლებლობა აქვთ – მაღალი ხელფასები არ ჰყოფნით და პრემიებსაც იწერენ!

– მიმაჩნია, რომ მაღალჩინოსანს ხელფასი ნამდვილად მაღალი უნდა ჰქონდეს, რადგან საპასუხისმგებლო საქმეს აკეთებს და იმაზე არ უნდა იფიქროს, შინ რომ მივალ, ცოლ-შვილს რა ვაჭამოო. რაც შეეხება პრემიას, მისი აღება უნდა ხდებოდეს გამონაკლის შემთხვევაში და ისეთ ადამიანს უნდა მიაკუთვნო, ვინც თავი გადადო და ბევრი იმუშავა.

– ქალბატონო გუგული, საქმეს ის რიგითი ადამიანებიც აკეთებენ, ვინც, საბედნიეროდ, დასაქმებულნი არიან, მაგრამ ჯამაგირი დაბალი აქვთ. თქვენსა და მათ ხელფასებს შორის ასეთი დიდი სხვაობა რატომ უნდა იყოს?

– კიდევ ვიმეორებ: აქ დგას პასუხისმგებლობის საკითხი – როცა მინისტრი საქმეს კარგად ვერ გააკეთებს, ამის გამო შესაძლოა, ბევრ ადამიანს საქმე გაუფუჭოს... მათი პასუხისმგებლობა გაცილებით მაღალია და ამიტომ, ხელფასის მხრივ უფრო დაცულები უნდა ვიყოთ. ახლა, ლარის დევალვაციის გამო, პრეტენზიას ხელისუფლების პირველ პირებს უყენებენ და არა – ბუღალტერს, ექიმს, ინჟინერს და სხვა პროფესიის წარმომადგენლებს. ამიტომ ხელფასი უნდა იყოს მაღალი და პრემიები განსაკუთრებულ შემთხვევებში რიგდებოდეს.

– ...ნინო გვენეტაძის კანდიდატურის მიმართ რას ფიქრობთ. ამბობენ, „ქართული ოცნება“ ჩააგდებსო...

– ჯერ უნდა შევაფასოთ, კანდიდატი იმ თანამდებობას, რაზეც პრეტენზია აქვს, შეეფერება თუ არა. ამ თვალსაზრისით უნდა შევხედოთ ქალბატონი გვენეტაძის კანდიდატურას. მხარს ვუჭერ, რადგან მის პროფესიონალიზმზე განვლილი გზა მეტყველებს. ნინოს სასამართლო სისტემაში მუშაობის გამოცდილება აქვს, პრინციპული ადამიანია – 2005 წელი მახსენდება, როცა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებზე ზეწოლა იყო, მათ ზემოდან მიიღეს დირექტივა, რომ ადგილი დაეთმოთ სააკაშვილის კადრებისთვის, ამის სანაცვლოდ მაღალ ხელფასს შეპირდნენ. ამ შეთავაზებას ყველა მოსამართლე დათანხმდა, სამის გარდა, მათ შორის გახლდათ ნინო გვენეტაძე, რომელმაც დაამტკიცა, რომ ჰქონდა უფლება, ყოფილიყო უზენაესი სასამართლოს წევრი. გარდა ამისა, განათლებული ადამიანია – ეს პატარა რამეს არ ნიშნავს. მეცნიერებათა დოქტორია, ხარისხი აქვს, ლექციებს კითხულობს... რომელი ერთი ჩამოვთვალო.

– თუ კოალიცია გვენეტაძის კანდიდატურას მხარს არ დაუჭერს, მაინც, ამ აზრზე დარჩებით?

– ყველა შემთხვევაში, მხარს დავუჭერ იმიტომ, რომ მის განვლილ საქმიანობაში მინუსები არ გვხვდება. ეს ადამიანი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტზე, მართლაც, შესაფერისი კანდიდატურაა. ამიტომაც მოვუწონე პრეზიდენტს გადაწყვეტილება

– ქალბატონო გუგული, დიდი ხანია, საუბრობენ, რომ კოალიცია დაშლის პირასაა. დღის წესრიგში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარების საკითხი დგას?

– ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს თავისი წინაპირობები აქვს – ამ ეტაპისთვის ასეთი რამ არ არსებობს. ვადამდელი არჩევნების საჭიროება რომ დადგეს, ქვეყანაში მწვავე კრიზისი, მთავრობაში განხეთქილება, ან მსგავსი რამ უნდა იყოს. არაერთხელ მითქვამს, რომ კოალიციაში აზრთა სხვადასხვაობაა, მაგრამ ეს მოსალოდნელი იყო, რადგან იქ ხალხი იმიტომ შევიდა, რომ დაემარცხებინა მიხეილ სააკაშვილი. კოალიცია, თავისი განათლებით, ისტორიითა და დღევანდელი შეხედულებებით, აბსოლუტურად ჭრელია. გარკვეული საკითხების ირგვლივ აზრთა სხვადასხვაობა არის, მაგრამ კრიტიკულ მომენტში, „ქართული ოცნება“ ახერხებს, ისეთი გადაწყვეტილება მიიღოს, რაც მოცემულ მომენტში ყველაზე საჭიროა. არაა გამორიცხული, კოალიცია კიდევ რამდენიმე კაცმა დატოვოს, მაგრამ ეს არ გახდება დაშლის მიზეზი. „ქართული ოცნება“ 2016 წლის არჩევნებამდე ამ სახით იქნება წარმოდგენილი, არჩევნები კი, შედეგებით ყველაფერს თავად გვაჩვენებს. პარტია უნდა იყოს ან მონოლითური, რომელიც წლებს უძლებს, ან სათავეში ისეთი კაცი უნდა ჰყავდეს, როგორიც სააკაშვილი იყო და მისი სიტყვა ყოველთვის სრულდებოდა. „ნაციონალებს“ ზოგჯერ სექტანტებსაც კი ვუწოდებ და გიორგი კანდელაკს ჩემი ასეთი შეფასება არ სწყინს. ასეთ პატარა ბირთვები ყველა პარტიაშია.

– „ქართული ოცნების“ ბირთვი ვინაა?

– ეს ბირთვი არ გვყავს, რადგან ამასაც მუშაობა უნდა. სწორედ ის მოძრაობები, რომელიც პარტიის სტრუქტურის გაძლიერებისთვის ხდება, აქეთკენ გადადგმული ნაბიჯია. მიმაჩნია, რომ „ქართულ ოცნებასაც“ უნდა ჰყავდეს იდეოლოგიურად შეკავშირებული ბირთვი. სწორედ ასეთი ტიპის პარტიად უნდა ჩამოყალიბდეს „ქართული ოცნება“ და გვინდა, ამ სახით მივიღოთ მონაწილეობა მომავალ არჩევნებში.

– როცა ხელისუფლება შეცდომებს უშვებს, ხელს მუდმივად „ნაციონალებისკენ“ იშვერთ, მაგრამ ხალხს თქვენი დაპირისპირება კი არა, შედეგი აინტერესებს.

– დიახ, ასეა – ხალხს, მართლაც, არ აინტერესებს, ესა თუ ის შეცდომა ვისი ბრალია, მას შედეგი უნდა. ვერ ვიტყვი, რომ ჩვენი ხელისუფლება დანაშაულს არ აღიარებს, რასაკვირველია, შეცდომები დაუშვა და ამას აღიარებს კიდეც. სხვათა შორის, ამ თვისებით განვსხვავდებით „ნაციონალებისგან“ – ისინი დღესაც არ აღიარებენ თავიანთ შეცდომებს და მიაჩნიათ, რომ მარტო კარგს აკეთებდნენ. ჩვენ კი, ასე არ ვფიქრობთ. ვიცით, რომ ძნელი მემკვიდრეობა დაგვრჩა. მართლაც, აღარ გვინდა „ნაციონალებზე“ ამდენი ლაპარაკი, მაგრამ როცა მოდიან და გვიკიჟინებენ, იძულებული ვხდებით, შედარება გავაკეთოთ ძველ და ახალ ხელისუფლებას შორის.

– მოდით, დამისახელეთ ერთი კანონი, რომელიც ხალხის საკეთილდღეოდ მიიღეთ...

– ამ ხელისუფლებამ გააკეთა ყველაფერი, რაც მის პოლიტიკურ ნებაზე იყო დამოკიდებული. დღეს აღარავინაა შებოჭილი, ბიზნესი თავისუფალია – არავინ „არეკეტებს“, იპოთეკარების რაოდენობა შემცირდა, სტუდენტები სწავლობენ და გრანტი სახელმწიფოსგან აქვთ, შეიქმნა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა და ხალხს ძვირადღირებული ოპერაციები უფასოდ უკეთდება. მართალია, ბევრი გადაუჭრელი პრობლემა რჩება, მათ შორის, უმუშევრობა, მაგრამ ეს ეკონომიკის გაზრდაზეა დამოკიდებული – ამის გარეშე ხალხის დასაქმებას ვერც ერთი ხელისუფლება მოახერხებს. ბიძინა ივანიშვილი ბიზნესმენი კაცია და კარგად იცის, რომ ეკონომიკის გამაგრება 2-3 წელიწადში ვერ მოხდება, ინვესტიციების შემოსვლას კი, 10 წელი მაინც უნდა. მან თქვა, არ შევპირებივარ ხალხს, რომ 10 წლით ხელისუფლებაში ვიქნებიო.

– გასაგებია, მაგრამ 10 წელს კიდევ ასეთი სიღატაკე და უმუშევრობა თუ იქნება, ხალხმა რა ქნას?

– გასაგებია, რომ ხალხს ეჩქარება, ყველა სიკეთის მიღება ერთდროულად უნდა, მაგრამ ჩვენც უნდა გაგვიგონ. ქვეყანაში ასეთი ეკონომიკური გაჭირვება რომაა, ვხედავთ, ამიტომაც ბევრი თანხა დაიხარჯა სოციალურ პროგრამებში. 3 მილიარდს როცა ხარჯავთ სოციალური პროგრამებისთვის, შემდგომში ეკონომიკურად გაგიჭირდებათო, გვეუბნებოდნენ უცხოელი ექსპერტები, მაგრამ ხალხს რომ შია და სიცივეში ატარებს ზამთარს, არ დავხმარებოდით? ასე რომ, მესმის მოსახლეობის, მაგრამ უნდა გვაცალონ!

– ქალბატონო გუგული, ოპოზიციაში რომ იყოთ, ხელისუფლებას რა შენიშვნებს მისცემდით?

– ხელისუფლებას ეკონომიკის გაჯანსაღებისთვის უფრო რადიკალური ზომების გატარება შეეძლო, მაგრამ ხშირ შემთხვევაში, ბევრი რამის გაკეთებას ვერ ბედავს.

– რას გულისხმობთ?

– მინდა, მოგიყვანოთ ერთი მაგალითი: ქალაქს სჭირდება ახალი ავტობუსების შემოყვანა, მაგრამ იმისთვის, რომ ავტოპარკი არ დაიშალოს, ერთ-ერთ უცხოურ ფირმასთან ვერ ბედავენ ხელშეკრულების დადებას, რადგან ტენდერი უნდა გამოცხადდეს, ამას სჭირდება დრო. პირდაპირ რომ დადონ ხელშეკრულება, მაშინ წამოიქოჩრებიან „ნაციონალები“ და ათას რამეს დაგვაბრალებენ. უკმაყოფილო დარჩება ხალხიც. ამის გამოა სწორედ, რომ გადაწყვეტილებებს სწრაფად ვერ იღებენ, თუმცა სწრაფი ნაბიჯების გადადგმაა საჭირო ბევრ სფეროში და კარგი იქნება, თუ უფრო ნაკლებ ყურადღებას მიაქცევენ სხვის კრიტიკას.

– პარლამენტმა ახლახან მიიღო კანონი რეკლამის შესახებ, რის მიხედვითაც ტელევიზიებში სარეკლამო დრო შეიზღუდა. ეს კერძო ტელევიზიების საქმიანობაში ჩარევა ხომ არაა?

– ჩვენ, რეკლამის შესახებ კანონით, საზოგადოების სურვილი გამოვხატეთ. ევრორეგულაციებით, 3 წლის განმავლობაში უნდა გავაკეთოთ ისე, რომ ნახევარი საათი მაინც გავიდეს სარეკლამო ჭრის გარეშე. როგორ შეიძლება, როცა 3 წუთიანი სიუჟეტია და 8 წუთი რეკლამას მიაქვს? მესმის ტელევიზიების მფლობელების – ფული უნდათ გააკეთონ, მაგრამ ხალხის ინტერესები ყველაზე წინ უნდა დადგეს, რომელსაც ლამის ნევროზი დაემართა გაუთავებელი რეკლამებით. ამიტომ მივიღეთ კანონი და ყველა ტელევიზია დაემორჩილება, ამას გარდა, ისინი ამიერიდან თანაბარ პირობებში იქნებიან.

ესაუბრა ნათია ლებანიძე

„მაღალჩინოსანს ხელფასი ნამდვილად მაღალი უნდა ჰქონდეს, რადგან საპასუხისმგებლო საქმეს აკეთებს და იმაზე არ უნდა იფიქროს, შინ რომ მივალ, ცოლ-შვილს რა ვაჭამოო... როცა მინისტრი საქმეს კარგად ვერ გააკეთებს, ამის გამო შესაძლოა, ბევრ ადამიანს საქმე გაუფუჭოს... მათი პასუხისმგებლობა გაცილებით მაღალია და ამიტომ, ხელფასის მხრივ უფრო დაცულები უნდა ვიყოთ. ახლა, ლარის დევალვაციის გამო, პრეტენზიას ხელისუფლების პირველ პირებს უყენებენ და არა – ბუღალტერს, ექიმს, ინჟინერს და სხვა პროფესიის წარმომადგენლებს. ამიტომ ხელფასი უნდა იყოს მაღალი და პრემიები განსაკუთრებულ შემთხვევებში რიგდებოდეს“.

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

4-10 მარტი 2015 | № 9 (273) | 9

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა

ძველი სახე



აქვს თუ არა პოლიტიკური ამბიციები და რაზე არ უნდა ლაპარაკი თავდაცვის ექსმინისტრს

დავით თევზაძე: „ეს დემაგოგიაა!“

თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით თევზაძე საზოგადოებრივ მოძრაობას ქმნის. პრეზენტაცია 10 მარტს გაიმართება და სწორედ ამის შემდეგ გახდება ცნობილი, რა გზას დაადგება აქტიურ საქმიანობაში დაბრუნებული ექსმინისტრი. იმის თქმა, რომ სამოქალაქო მოძრაობა პოლიტიკურ პარტიად ჩამოყალიბდება, ჯერ ძნელია, თუმცა ქართული რეალობისთვის მსგავსი ტრანსფორმაცია უცხო არაა, თუმცა დავით თევზაძე პოლიტიკური განცხადებების გაკეთებისგან ამ ეტაპზე თავს იკავებს... როგორც წესი, ინტერვიუს ჟურნალისტები ვიწყებთ – პირველ შეკითხვას ვსამთ. დავით თევზაძე კი, ამ მხრივაც გამონაკლისია – პირველი შეკითხვა თავად დამისვა:

– ინტერვიუსთვის რამდენი დრო დაგჭირდებათ?

– არ ვიცი... ეს იმაზეა დამოკიდებული, რამდენად ენაწყლიანი იქნებით – რესპონდენტებს ლაპარაკი უყვართ... ალბათ, 15-20 წუთი გვეყოფა.

– ისე, ლაპარაკი მეც მიყვარს, მაგრამ გააჩნია, რამდენი წლის შემდეგ...

– ახლა თქვენს ახალ ოფისში ვარ და...

– ახალი კი არა, ჯერჯერობით ერთადერთი ოფისია.

– ჰოდა, ამ ახალ და ერთადერთ ოფისში რის გაკეთებას აპირებთ? აქტიურ პოლიტიკაში ჩაერთვებით?

– ამ წუთას გეგმები საკმაოდ არასაინტერესოდ ჟღერს იმიტომ, რომ ჯერჯერობით ორგანიზაციული საქმიანობით ვართ დაკავებული. არის რაღაც საკითხები, რომლებიც კარგად უნდა გავაკეთოთ. დაახლოებით, მარტის 10 რიცხვში, პრეზენტაციას ვგეგმავთ და ძირითად საქმიანობას ამის მერე შევუდგებით.

– ორგანიზაცია თავიდანვე პოლიტიკური იქნება თუ პოლიტიკურ პარტიად შემდეგ გარდაქმნით?

– ეს სამოქალაქო მოძრაობაა და საქმიანობა ასევე გაგრძელდება.

რაც შეეხება აქტიურ პოლიტიკაში გადასვლას, ამას წინასაარჩევნო ვითარება გვაჩვენებს. ასე რომ, ამ თემაზე ლაპარაკი ახლა არ მინდა.

– „ოცნების“ ხელისუფლების საქმიანობით უკმაყოფილო ხართ? თქვენს თავს ქართული პოლიტიკის რომელ ფლანგზე ხედავთ?

– როცა ასეთ ასპარეზს ვიწყებ, იმას, უკმაყოფილო ვარ თუ არა, მნიშვნელობა არა აქვს იმიტომ, რომ უკმაყოფილო ადამიანი ვერაფერს ქმნის. გარდა ამისა, ვთვლი, რომ სახელმწიფოში პოლიტიკური პროცესი საერთოდ არ მიმდინარეობს, გაყინულია. გამოცოცხლება რომ მოხდეს, ამის ერთადერთი იმპულსი სამოქალაქო საზოგადოების აქტიურად ჩართვაა. ეს მოძრაობაც სწორედ ამიტომ იქმნება.

– ანუ, ეს ის დროა, როცა პროცესებზე სამოქალაქო საზოგადოებამ გარკვეული გავლენა უნდა მოახდინოს?

– დიახ. სამოქალაქო საზოგადოებას სტიმული, მუხტი სჭირდება, რომ თავის სახელმწიფოს შემოუბრუნდეს და პოლიტიკურ პროცესებს მკვდარი წერტილიდან დაძვრის საშუალება მისცეს.

– დღეს პოლიტიკური სპექტრი ორადაა გაყოფილი – ხელისუფლება და „ნაციონალები“. ისეთი პარტიებიც არიან, რომელთაც თავიანთი პოლიტიკური ნიშა ჯერჯერობით არ დაუკავებიათ. დავით თევზაძე შეძლებს, ისეთი პარტია შექმნას, რომელიც ე.წ. მესამე ძალის ფუნქციას შეასრულებს?

– დავიწყოთ იქიდან, რომ ეს პოლიტიკური ორგანიზაცია არაა. გარდა ამისა, იქ, რა სურათიც დახატეთ, ჩემი ადგილი არ არის.

– აბა, თქვენი ადგილი სადაა?

– ვითარება გვიჩვენებს...

– ვინ თქვა, რომ დავით თევზაძე ალაპარაკდაო?!. რა ვითარებას ელოდებით?

– ნორმალური ვითარება არ არის. სახელმწიფო ვერ ფუნქციონირებს და მეტი რა უნდა ვიფიქრო? ეს ის მოტივია, რამაც მიბიძგა, რომ ასეთი ნაბიჯი გადამედგა.

– ბევრი ამბობს, რომ 90-იან წლებში ვბრუნდებით. თქვენ, როგორც მაშინდელი მთავრობის წარმომადგენელი, რას იტყვით – დღევანდელობა იმ პერიოდს ჰგავს?

– ეს დემაგოგიაა, რომლითაც „ნაციონალები“ ცდილობენ, ზედაპირზე იყვნენ.

– თავდაცვის სამინისტროში მიმდინარე პროცესებზეც უნდა შეგეკითხოთ: ბევრი ამბობს, რომ სამინისტროში „ჩეკისტების“ გუნდი მოვიდა, რაც უწყებისთვის სახიფათოა...

– ეს პროცესი ახლა კი არა, 2004 წელს დაიწყო და ის ძირითადად იმ უნდობლობითაა გამოწვეული, რომელიც ჯარის მიმართ ყველა ხელისუფლებამ გამოამჟღავნა. ხელმძღვანელი კადრები, ბოლო 10-12 წლის განმავლობაში, შინაგან საქმეთა სამინისტროდან კომპლექტდებოდა. ის სიახლე კი, რაზეც მელაპარაკებით, ალასანიას დანიშვნასთან ერთად მოვიდა, როცა ხელმძღვანელ თანამდებობებზე სპეცსამსახურებიდან მოვიდნენ.

– თქვენთვის ალასანია სპეცსამსახურის თანამშრომელია და არა – პოლიტიკოსი?

– დიახ. ის, რომ მან პოლიტიკაში გადაინაცვლა, ამან დიდი გავლენა არ იქონია. ეს კარგი არაა და ამაზე ხშირად ვლაპარაკობ.

– კარგი რა არ არის?

– სამხედრო მინისტრი, რომელსაც ადრე ომის მინისტრს ეძახდნენ, ან ძალიან ძლიერი პოლიტიკური ფიგურა უნდა იყოს, ან – ძალიან ძლიერი პროფესიონალი. იმ პატივისცემის მიუხედავად, რომელიც სპეცსამსახურებისა და შსს-ს მიმართ მაქვს, ეს ადამიანები ამ კრიტერიუმებს არ აკმაყოფილებენ. ამიტომ ჯარი, როგორც ასეთი, კონტექსტიდანაა ამოვარდნილი და ეს ყველაფერს ეტყობა.

– თავდაცვის უწყებაში საკადრო წმენდა დაიწყო. წმენდაში თქვენიდროინდელი კადრებიც მოყვნენ?

– ჩემი პერიოდის კადრები მასიურად 2004 წელს გაუშვეს. მერე, ზოგი დაბრუნდა. ოფიცერთა შემადგენლობაში თაობათა ცვლა მოხდა, რაც ყოველთვის კარგი არაა. ძალიან ბევრი ადამიანი, პირადი მოტივაციით, სწრაფად დაწინაურდა. ჯარისთვის კარგი არც ეს არის.

თავი ამასაც რომ დავანებოთ, ჩემი პერიოდისა და გაცილებით ადრინდელი კადრები უფრო პროფესიონალები იყვნენ, ვიდრე – ისინი, რომლებიც დღეს არიან, თუმცა ის ადამიანები, რომლებიც ძველი დროიდან მოდიან, ნაწილობრივ მაინც დარჩნენ. მაგალითად, გენშტაბის ამჟამინდელმა უფროსმა სამსახური 90-იან წლებში დაიწყო.

– იმასაც ამბობენ, რომ თავდაცვის სამინისტროში ე.წ. მეხუთე კოლონა მოქმედებს, რომელსაც რუსეთის სპეცსამსახურები მართავენ...

– ეს სერიოზულ თემად არ მიმაჩნია... თქვენ ამბობთ, კადრების წმენდა დაიწყოო, არც ეს ვითარება მიმაჩნია ნორმალურად. კადრები მაშინ არის გასაწმენდი, თუ თავის სამუშაოს თავს ვერ ართმევს. თავში ვის რა აქვს, რისი სწამს და ვისი მომხრეა, – ეს არავის საქმე არაა. სამხედრო სამსახური სპეციფიკურია და თუ ადამიანი ამ სამსახურს თავს ართმევს, იმის ძებნას უნდა შეეშვან, ვინ ვისი მომხრეა. თავის დროზე დავაწინაურე ადამიანი, რომელიც სამოქალაქო ომის დროს საპირისპირო მხარეს იბრძოდა, მეტიც, საშუალება მივეცი, სპეციფიკური სამხედრო განათლება მიეღო და ფლოტის სარდლად დავნიშნე – მხედველობაში გიგლა ირემაძე მყავს, რომელიც ე.წ. ზვიადის ბანაკში ერთ-ერთი გამორჩეული მებრძოლი იყო.

– ეს რატომ გააკეთეთ?

– იმიტომ, რომ ის ადამიანი და მისი შესაძლებლობები თავდაცვის სისტემას სჭირდებოდა. ასეთ რაღაცებს ყურადღებას არ ვაქცევ... ჯარში ყველაფერი ხელის გულზე დევს და ვინმემ რამე როგორ უნდა გააფუჭოს?

– როგორც ამბობთ, ჩვენს კონტექსტიდან ამოვარდნილ ჯარს, შესწევს ძალა, თავის ფუნქცია შეასრულოს?

– ამ სახელმწიფოში ჯარიც ისევეა მიშვებული, როგორც ბევრი სხვა რამ და ამიტომ, ეჭვი მეპარება, იმ ფუნქციის შესრულება შეძლოს, რომელიც კონსტიტუციით აქვს განსაზღვრული.

– ისევ უნდა გკითხოთ: ამის მიზეზი რუსული კვალი ხომ არაა? ხშირად რუსულ სპეცსამსახურებს თქვენს სახელსაც უკავშირებენ. ამაზე რას იტყვით?

– არაფერსაც არ ვიტყვი! ამაზე სერიოზულად ლაპარაკიც არ მინდა.

– სახელმწიფო ამბობს, რომ ვეტერანების დასაცავად გარკვეულ ნაბიჯებს დგამს. თქვენ, როგორც ვეტერანი, ადასტურებთ?

– ეს ცალკე თემაა. ვეტერანებთან დაკავშირებით ძალიან მძიმე სოციალური ფონია. მათ პრობლემებზე რამდენიმე ორგანიზაცია მუშაობს, მათ შორის, სახელმწიფო სამსახური, თუმცა არ ვიცი, რაღაცების გაკეთებას ცდილობს თუ არა... ვცდილობ, არ ჩავერიო იმიტომ, რომ ჩარევა იქნება „კონტექსტიდან ამოვარდნილი“. ისე, ჩემს ორგანიზაციაში ყველა ვეტერანს ვეპატიჟები – ყველა ძალიან მიყვარს.

– თქვენი მოძრაობა ვეტერანების დამცველი იქნება?

– მთელი ჩემი დარჩენილი ცხოვრება ვეტერანების დამცველი უნდა ვიყო. ვეტერანებიც უნდა იყვნენ ჩემი დამცველები. ჩვენ ერთმანეთი ისეთ ცხოვრებაში გამოვატარეთ, რომ სხვა გზა არ გვაქვს.

– ბოლოს, ბატონო დავით, მიუხედავად იმისა რომ პოლიტიკური განცხადებების გაკეთებისგან ჯერჯერობით თავს იკავებთ და არც იმას ამბობთ, რომ პარტიას ქმნით, მაგრამ როგორ ფიქრობთ, ხელისუფლება ხელისუფლებაში დარჩენას არჩევნებამდე შეძლებს?

– არც ვანგა ვარ და არც – სხვა წინასწარმეტყველი... გაუჭირდება, მაგრამ სხვა გამოსავალი არ აქვს, სხვა სცენარი ჯერჯერობით არ ჩანს. ვადამდელ არჩევნებს, როგორც ჩანს, ვერ მოახერხებენ.

P.S. **ინტერვიუსთვის განკუთვნილი დროიდან ორი წუთი კიდევ დამრჩა. დავით თევზაძემ „დამამშვიდა“, ამ ორ წუთს შემდეგ დაგიმატებო. მოკლედ, ამ „ბონუსს“ იმ დროისთვის შევინახავ, როცა თავდაცვის ექსმინისტრი აქტიურ პოლიტიკაში დაბრუნდება და, შესაბამისად, პოლიტიკოსისთვის დამახასიათებელ ბევრ ლაპარაკს მიეჩვევა.**

ნათია ვერძეული

10 | № 9 (273) | 4-10 მარტი 2015

ქართული იტუკი

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲜᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

„რუსეთს საქართველო ასე ხავერდოვნად არასოდეს დაუპყრია!“

რა კვალს ტოვებს საქართველოზე პოსტსაბჭოთა სივრცის ორ ქვეყანას – რუსეთსა და უკრაინას შორის მიმდინარე ომი? – ექსპერტი ხათუნა ლაგაზიძე მიიჩნევს, რომ ეკონომიკური პრობლემები, რაც ლარის კრიზისით, გამოიხატა, შიდა პოლიტიკური პროცესების შედეგი კი არა, უფრო გარე ზეწოლის შედეგია. შექმნილი ეკონომიკური სირთულეების დაძლევის ერთ-ერთ გზად მთავრობა პრივატიზაციას თვლის – ეკონომიკის მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი „საქართველოს რკინიგზის“ 25%-ს გასხვისებას არ გამორიცხავს... „ნაცმოძრაობის“ ოდიოზური ფიგურა გივი თარგამაძე რკინიგზის სავარაუდო გაყიდვის უკან ბიძინა ივანიშვილის ინტერესს ხედავს. თარგამაძის თქმითვე, ამ შემოსავლიანი უწყების ხელში ჩასაგდებად თავის დროზე ბადრი პატარკაციშვილიც იბრძოდა... ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე „ქართული სიტყვა“ ექსპერტ ᲮᲐᲗᲣᲜᲐ ᲚᲐᲒᲐᲖᲘᲫᲔᲡ ესაუბრა.

ᲮᲐᲗᲣᲜᲐ ᲚᲐᲒᲐᲖᲘᲫᲔ: „ᲡᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ „ᲝᲪᲜᲔᲑᲐ“?!. ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ, ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ, ᲐᲠᲡᲐᲓ ᲩᲐᲜᲡ!“

– ქალბატონო ხათუნა, საქართველოში ურთულესი პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაციები ერთმანეთში ისეა გადახლართული, რომ ძნელად გასარკვევია, სად არის პრობლემის თავი და ბოლო. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი უბედურების სათავე ქვეყნის შიგნით მოუწესრიგებელი პროცესებია?

– ის, რაც საქართველოში ხდება, შიდა პოლიტიკური პროცესების ბრალი ყველაზე ნაკლებადაა. ეს გარე ზეწოლის გამოძახილია.

– რა ზეწოლას გულისხმობთ?

– ღმერთმა ქნას, ვცდებოდე – ჩემი პროგნოზის სიმცდარე ასე ძლიერ არასოდეს მინატრია, მაგრამ დღევანდელ სიტუაციას ასე ვაფასებ: რუსეთს საქართველო ასე ხავერდოვნად არასოდეს დაუპყრია!

– ამ საშინელ პროგნოზს რითი ამყარებთ, ქალბატონო ხათუნა?

– „საქართველოს რკინიგზის“ 25%-იანი წილის გაყიდვასა და, ამავდროულად, რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის აღდგენაზე საუბრით.

– რკინიგზის გაყიდვას პრივატიზაციის პროცესის აუცილებლობით ხსნიან.

– ამ პროცესების ცალსახად დადებითად, ან უარყოფითად შეფასება შეუძლებელია. ნებისმიერ შემთხვევაში, პროცესები რუსეთის ინტერესშია და ეს ორი ამბავი ერთი ჯაჭვის ორი რგოლია.

– ანუ, ერთი პროცესია?

– რა თქმა უნდა, ერთი პროცესია. ექსპერტების „ჩარეცხვის“ მოსურნეებმა რაც უნდა ამტკიცონ, რომ ეს მსჯელობა მცდარია, აფხაზეთის რკინიგზის აღდგენა, უპირველესად, რუსეთის ინტერესშია, თუ რუსეთი არა, სხვა ვინ შეიძლება ყიდულობდეს „საქართველოს რკინიგზის“ 25-პროცენტიან წილს?

– წინა ხელისუფლებამ რუსეთზე ძალიან ბევრი სტრატეგიული ობიექტი გაასხვისა, თუმცა აწ განსვენებული კახა ბენდუქიძე ტერმინს – „სტრატეგიული ობიექტი“ არ სცნობდა...

– ამ ფაქტს ვერავინ გაექცევა: რუსეთზე ბევრი ობიექტია გასხვისებული. თუ თეორიულად დავუშვებთ, რომ „საქართველოს რკინიგზის“ 25-პროცენტს რუსეთი კი არა, დასავლეთის რომელიმე სახელმწიფო ყიდულობს და, ამავე დროს, რუსეთს უფლება ეძლევა, აფხაზეთის რკინიგზის აღდგენაზე დიალოგი აწარმოოს, გამოდის, რომ საქართველოში მსოფლიო წესრიგი დამყარებულა და ესაა, რაც ერთმანეთს აბსოლუტურად აცდენილი ინტერესია... ორივე ზემოხსენებული იდეის ავტორი რუსეთია.

– ეს, როგორც ამბობთ, რუსეთის მიერ საქართველოს „ხავერდოვანი“ დაპყრობის პირველი ნიშანია?

– არა, თუ ბოლო დროს რუსეთის მხრიდან საქართველოში განხორციელებულ აქტივობებს თვალს გადავავლებთ, მივხვდებით, რომ ეს ბოლო ნიშანია.

– აქტივობებში რა იგულისხმება?

– ვგულისხმობ კომუნიკაციების გასხვისების სქემას – აშკარად იკვეთება რუსეთის ინტერესი საზღვაო მისადგომების, კერძოდ, ფოთის პორტის მიმართ. ახლა კი, რკინიგზის საკითხი გამოიკვეთა, პარალელურად, რუსეთი ახალ სატრანსპორტო მაგისტრალებზე ფიქრობს – იგულისხმება ავარო-კახეთის გზატკეცილი. მთლიანობაში, ყველაფერი ეს იმის მომასწავებელია, რომ რუსეთი საქართველოს საკომუნიკაციო ტერიტორიებზე კონტროლს იბრუნებს, იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომ საქართველოს აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელი მაგისტრალიდან რამდენიმე კილომეტრში რუსული ჯარი დგას. ჩვენი ქვეყნის რეალობას ამიტომ ვუწოდებ რუსეთის სივრცეში „ხავერდოვან დაბრუნებას“.

– რუსეთს ეს მაგისტრალები რისთვის სჭირდება?

– საქართველოზე სრული კონტროლის მოსაპოვებლად – საჭირო შემთხვევაში, ყველა მაგისტრალი გადაიკეტება და საქართველო რუსეთის არმიის შენაერთების მიერ ძალიან მარტივად დაქუცმაცდება.

– ფიქრობთ, რომ პრორუსული ძალები სწორედ ამიტომ გააქტიურდნენ? სხვათა შორის, საქართველოში რუსულნომრიანი სამხედრო მანქანებიც გამოჩნდა...

– პრორუსული ძალები, რა თქმა უნდა, ამიტომ გააქტიურდნენ, მაგრამ იმაზე, რაც საქართველოში ხდება, პასუხისმგებლობა თანაბრად ეკუთვნის როგორც რუსეთს, ასევე, დასავლეთს.

– პრორუსული ძალების გააქტიურებაზე დასავლეთი პასუხისმგებელი რატომაა, ქალბატონო ხათუნა?

– ოცი წელია, დასავლეთი მოსახლეობას იმედით აცხოვრებს, გადამწყვეტ მომენტში კი აღმოჩნდა, რომ მზადაა, საქართველო რუსების ხელში მიატოვოს.

– იმის თქმა გინდათ, რომ ეს მიტოვება აშკარად 2008 წელს გამოჩნდა?

– მაშინ სამხედრო აგრესია იყო. ახლა კი, რუსეთის ქმედებებისთვის წინააღმდეგობის გაწევა გაცილებით იოლია.

– აგვისტოს ომის დროს, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას თვალს მთელი მსოფლიო ადევნებდა. ამჟამად, ეს დაკვირვება ფარულია?

– ფარული რატომაა? ამ პროცესებზე რომ ვმსჯელობთ, ეს დასავლეთისთვის, განა, ცნობილი არაა? ის სირაქლემას პოზაშია. დასავლეთმა საქართველო დროებით, პრაქტიკულად, რუსეთს მიუგდო.

– იქით უკრაინა მიუგდო, აქეთ – საქართველო, ანუ პოსტსაბჭოთა სივრცე რუსეთს დაუთმო?

– ვფიქრობ, ეს დროებითია. საქართველოში რუსეთის გავლენის დაბრუნება ისეთი ხანგრძლივი პროცესი არ იქნება, რომ ათწლეულები და საუკუნეები გაგრძელდეს. წინა საუკუნეებისგან განსხვავებით, ევრაზიის სივრცეში ისეთი ძალები ჩნდებიან, რომლებიც რუსეთის ხანგრძლივ ბატონობას არ შეეგუებიან.

– რომელ ძალებზე მიანიშნებთ?

– აშშ-ზე, თურქეთზე, ირანსა და ჩინეთზე.

– აშშ-ზე აქცენტს ირანის ფაქტორის გამო აკეთებთ?

– არა მარტო. ირანში, რუსეთსა და თურქეთში სხვადასხვა რელიგიის, მაგრამ სახელმწიფოებრივი მართვის ერთი მოდელის მოტრფიალე ხელისუფლებები არიან, რომლებიც, თავიანთი არსით, დასავლური განვითარების გზას უარყოფენ, რაც დასავლური სამყაროსთვის სერიოზულ გამოწვევას ნიშნავს. ამიტომაც შემხვედრი შეკითხვა მექნება: დასავლეთი საბჭოეთის დანგრევიდან 20 წლის შემდეგ, გავლენის სფეროების დაკარგვას რატომ უნდა შეეგუოს?

– შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველო დღეს დასავლეთის ინტერესების სფეროა?

– დასავლეთმა დღეს პაუზა აიღო.

– საბჭოეთის დანგრევისთანავე დასავლეთს ბალტიისპირეთი შეუერთდა. ჩვენც დასავლური ღირებულებებისკენ მივილტვით. მართალია, ამ პროცესს ზოგიერთისგან რუსული იმპერიული წყობის ნოსტალგია სდევს, მაგრამ დასავლეთის ინტერესში გუშინ და გუშინწინ მაინც ვიყავით?

– საბჭოეთის დაშლის მერე, აშშ-მ სხვა მიზანი დაისახა.

– რა მიზანი?

– ეს, სულ მცირე, საზღვრებში რუსეთის შეკავება იყო. ალბათ, გახსოვთ, ბუფერული ზონების შექმნის თეორია – პროდასავლური სახელმწიფოების საზღვრების გარშემო მყოფ სახელმწიფოებს, ბალტიისპირეთის ქვეყნების გარდა, დასავლური სამყაროს წევრებად და თანასწორუფლებიანად კი არა, ბუფერულ ზონებად აღიქვამდნენ და მხოლოდ რამდენიმე წლის მერე გადაწყვიტეს, რომ ბუფერები საკმარისი არაა. ამიტომაც დასვეს შეკითხვა: სახელმწიფოები გაურკვეველი ბუფერული ნეიტრალური სტატუსის ვითარებაში რატომ დავტოვოთ? – ჯობია, პროდასავლური კურსის გეზაღებულ ქვეყნებად ვაქციოთო. ეს კი, პერსპექტივაში, ევროატლანტიკური კურსის ქვეყნებად ქცევას ნიშნავდა, თუმცა ვადა არავის დაუთქვამს, ეს როდის მოხდება – ნატო-სა და ევროკავშირის ფარგლებში ერთ ვიზიტსაც ვერ დავასახელებ, როცა საქართველოს არამცთუ გაწევრიანების, არამედ, წევრობის კანდიდატობის თუნდაც მიახლოებითი ვადა თქმულა. ეს თემა სივრცეში განფენილი უსასრულობაა, საქართველოს მოსახლეობის კი, იმედით კვება. ილუზია იყო თუ რეალობა, ნებისმიერ შემთხვევაში, დასავლეთი ცდილობდა, პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის მეტი პროდასავლური პერსპექტივა დაენახვებინა.

– დასავლეთმა პაუზა რატომ აიღო, რუსეთის შეეშინდა?

– შესაძლოა, აშშ-მ უკრაინაში იანუკოვიჩის ჩამოგდებასა და ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერაზე რუსეთის შესაძლო რეაქცია ვერ გათვალა.

– რატომ ვერ გათვალა?

– ერთი ვერსიით, ეს აშშ-ის მიერ რუსეთის შემდგომი დაქსაქსვისკენ ჩატარებული სრულიად მიზანმიმართული ოპერაცია იყო. თუკი ეს ვერსია სიმართლესთან ახლოსაა, ჩვენ რუსეთის, როგორც იმპერიის, ნგრევის მეორე ეტაპის მომსწრენი ვართ. ამავდროულად, აშშ-ს მიზნად აქვს, ერთ მუშტად შეკრას „ცივი ომის“ მერე ბრინჯის მარცვლებივით დაფანტული, კომფორტის ნირვანაში ჩაძირული ევროპა, სადაც რუსეთის გავლენა სულ უფრო მზარდია. ჰიბრიდული ომი, რომელზეც ბოლო დროს ლაპარაკობენ, სწორედ ამ ნიშნებს ატარებს.

– მაინც, რა ნიშნებზეა ლაპარაკი?

– ჰიბრიდული ომის ნიშნებს მიეკუთვნება საინფორმაციო გავლენები, ამა თუ იმ სახელმწიფოს ბიზნეს-ელიტების მოსყიდვა, რასაც რუსეთი ევროპაში წარმატებით ანხორციელებს.

– ისე, დასავლური სანქციების მიუხედავად, რუსეთი შეშინებულს სულაც არ ჰგავს.

– ეს ორ ზესახელმწიფოს შორის ჩვეულებრივი ომია, რომელიც სამხედრო, საინფორმაციო, ეკონომიკურ დაპირისპირებებს მოიცავს. ომი ჯერჯერობით ლოკალურია და ღმერთმა ნუ ჰქნას, ამ ფარგლებს გასცდეს. მართალია, ასეთი პროცესები, ისტორიულად, პროგნოზებს არ ექვემდებარება, მაგრამ აშშ ამ ომში დიდწილად გამარჯვებულია, რადგან მისი ეკონომიკა საოცარი ტემპით იზრდება – ყველა სხვა ვალუტის კრიზისის ფონზე, ამერიკული დოლარი არნახულად მყარდება. შერკინების მოკლევადიან პერიოდში, აშშ გამარჯვებულია!

– აშშ-ს რა უნდა?

– რა და, – იდეის გარშემო ევროპა გააერთიანოს და რუსეთი იმ კონდიციამდე მიიყვანოს, რომ იმპერიული ზრახვები აღარასოდეს გაუჩნდეს.

საერთოდ, მსოფლიოს, თავისი არსებობის განმავლობაში, მრავალი იმპერია „გადაუხარშავს“, რუსეთ-უკრაინის ომის შედეგები ჯერ არ ჩანს, მაგრამ რაღაც გარემოებები პუტინის მმართველობის კრიზისზე მიუთითებენ.

– სახელდობრ?

– ამერიკის შეერთებული შტატების ზეწოლის ფონზე, რუსეთი იძულებულია, დაუახლოვდეს და ჩინეთთან ისეთ დათმობებზე წავიდეს, როგორზეც არასოდეს წასულა. მაგალითად, გავრცელდა ინფორმაცია, რომ რუსეთმა ციმბირის ტერიტორიაზე ნავთობისა და გაზის მოპოვება-დამუშავების 50% ჩინეთს შესთავაზა.

– რუსეთი მსოფლიოს სწორედ ნავთობით და გაზით აშანტაჟებდა – გაყინული ევროპაც გვახსოვს და კავკასიონზე აფეთქებული გაზსადენებიც. ნუთუ, რუსეთი ხალხთა დამონების ასეთ იარაღს ხელიდან გაუშვებს?

– ჩინეთთან მსგავსი გარიგება სერიოზული მარცხია. რუსეთმა, მსოფლიოს ქვეყნების გასაგონად, რამდენიმეჯერ გამოაცხადა, რომ ნავთობის ფასების დაწევის გამო, საკვლევაძიებო სამუშაოებს ატარებს, რომ სანქციები და ფასები არ აშინებს. ეს დიდი გაჭირვებით მიღებული გადაწყვეტილებაა, რადგან რუსეთისთვის არანაკლებ საშიშროებას წარმოადგენს ჩინეთი, რომელსაც არასოდეს დავიწყებია რუსეთის მიმართ ტერიტორიული პრეტენზიები. ციმბირში ზუსტად ისეთი სიტუაციაა, როგორიც ჩვენთან – რუსეთის სასაზღვრო ტერიტორიებზე ჩინეთი საკუთარ გავლენას იბრუნებს, რაც ძალიან მძიმე პერსპექტივაა. როგორც ჩანს, რუსები დღევანდელი დღით ცხოვრობენ.

– გამოდის, რომ დღეს რუსეთი თავს გადაირჩენს, ხვალ კი, ჩინეთის მსხვერპლი გახდება, არა?

– გრძელვადიან პერსპექტივაში, გამორიცხული არაა, რომ ეს სივრცე აშშ-მ და ჩინეთმა გაიყონ. რუსეთისთვის იდეალური გამოსავალი იყო, იმპერიიდან ცივილურ სახელმწიფომდე ტრანსფორმაცია განეცადა და პოსტსაბჭოთა სამყაროსთვის ეკონომიკურად მიმზიდველი ცენტრი გამხდარიყო. ისტორიულად, რუსეთი დასავლური დემოკრატიული წყობის სახელმწიფო მოდელისგან შორსაა, მაგრამ დასავლეთის ქვეყნების მსგავსი ხავერდოვანი პატრონი და მომხიბლველი ეკონომიკური პარტნიორი რომ გამხდარიყო, საქართველოს, აზერბაიჯანს, მოლდოვასა და სხვა ქვეყნებს სურვილი აღარ ექნებოდათ, რუსეთისთვის გვერდი აევლოთ, არც ჩვენ დავიწყებდით ოკეანის გაღმა მაშველის საძებნად სირბილს.

მართალია, 2008 წლის ომის მერე, აშშ ოთხ მილიარდიანმა გრანტმა საქართველოს საფინანსო-საბანკო სისტემა იხსნა. დასავლეთი საქართველოს პარტნიორია, მაგრამ ასეთივე პარტნიორი შეიძლებოდა, რუსეთიც ყოფილიყო.

– გამოდის, რომ დასავლეთისგან რეალურ დახმარებას ვერ ვიღებთ და ხელთ შეგვრჩა არადემოკრატიული, ეკონომიკურად დასუსტებული რუსეთი?

– ამ ეტაპზე ასეა.

– რა გველოდება?

– დღეს ნულოვანი პერსპექტივაა, თუმცა რამდენიმე წლის შემდეგ, ვნახოთ, მოვლენები როგორ განვითარდება. თუ აშშ-მ მიზანს მიაღწია და რუსეთის ეკონომიკა იმდენად დაანგრია, რომ იძულებული გახადა, საზღვრებში ჩაი-

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲛᲔ-11 ᲒᲕ.

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

4-10 მარტი 2015 | № 9 (273) | 11

ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ექსპერტი

მე-10 გვერდიდან

კეტოს და მისი ამბიციები ამ საზღვრებს მიღმა აღარ გავრცელდეს, მაშინ ჩვენც გვეშველება.

– ლაკმუსი უკრაინის მოვლენებია?

– ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენ ხანს გაგრძელდება უკრაინის კონფლიქტი. თუ საქმე იმ სცენართან გვაქვს, რომ აშშ-ს რუსეთის დასუსტება უნდა, გაყინულ კონფლიქტს კარგა ხანს ვერ მივიღებთ.

– ანუ, აშშ იარაღს მიაწოდებს უკრაინას?

– დიახ, მიაწოდებს.

– ამით რას მიაღწევს, მასშტაბურ ომს? ეს ხომ რუსეთსა და აშშ-ს შორის ომის დაწყების ტოლფასი იქნება, რომელიც უკრაინის ტერიტორიაზე გაიშლება?

– დიახ, ეს იმის, რაც უკრაინაში ხდება, ზუსტი ფორმულირებაა!

– ამ ომით უკრაინა, როგორც სახელმწიფო, დაიშლება. ეს ვისი ინტერესია?

– ამაზე პასუხი არა მაქვს. შეიძლება, ორი სცენარი არსებობდეს: თუ აშშ-მ რუსეთის შესაძლო რეაქცია ვერ გათვალა, მაშინ რუსული სცენარი იქნება, ან, უბრალოდ, რუსეთმა აშშ-ს პროვოცირება გაუკეთა – ამ შემთხვევაში, რუსეთი დნესტრისპირეთში გავა და მოლდოვას მისწვდება. მეორე ვერსია – ამერიკული მხარე, რუსეთის დაქსაქსვის მიზნით, უკრაინელების ხარჯზე, რუსეთის პროვოცირებას ახდენს. ეს უკანასკნელი იარაღია, რომელიც ხან ერთის ხელშია, ხან – მეორის.

– ქალბატონო ხათუნა, ჩვენი ყოფილი მაღალჩინოსნები, რომელთაგანაც ზოგი თავის დროზე თავად „ნაციონალებმა“ დაიწუნეს, უკრაინის მთავრობაში ამერიკული სცენარით სხედან?

– უდავოდ, თუმცა საპროტესტო განწყობა უკვე ჩანს – ყველა სამინისტროში უცხო ქვეყნის წარმომადგენელი რომელ ქვეყანას ესიამოვნება?! ეს იმას ნიშნავს, რომ შენ, როგორც სახელმწიფოს მაშენებელ ერს, არ გენდობიან. დღეს უკრაინა რუსეთს ებრძვის და მისი მთავრობა აშშ-სგანაა მხარდაჭერილი.

–„ნაციონალების“ „უკრაინული ელიტა“ გვპირდება, რომ საქართველოში დაბრუნდება...

– გააჩნია, საქართველოში დასავლეთის პაუზა რამდენ ხანს გაგრძელდება. ყველაზე კოშმარული სცენარი ის იქნება, თუკი დასავლეთმა საქართველოში წინა ხელისუფლება დააბრუნა!

– უკრაინის მთავრობასთან როგორი ურთიერთობა უნდა გვქონდეს?

– ამის გარკვევა, ვიდრე რუსეთისა და აშშ-ს ურთიერთობა არ გაირკვევა, არავის სჭირდება. რამდენიმე დღის წინ, თბილისში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილე, ვიქტორია ნურლანდი ჩამოვიდა და საქართველოს მთავრობა მკაცრად გააფრთხილა, რომ უკრაინის ხელისუფლების წინააღმდეგ არ წავიდეს.

– ქალბატონო ხათუნა, რას ატყობთ, „ქართული ოცნება“ იშლება?

– სად არის „ოცნება“ – გინდა პირდაპირი, გინდა გადატანითი მნიშვნელობით?

– ვადამდელ არჩევნებზე რა აზრი გაქვთ?

– თუ რუსეთს მოუნდება, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ჩატარდება.

– ეკონომიკური კოლაფსი, ანუ როგორც დღეს ამბობენ, სავალუტო კრიზისიც რუსეთის ბრალია?

– არა, რუსეთი იმას აკეთებს, რაც მისი სახელმწიფოს ინტერესებშია. მეზობელ ქვეყნებში სავალუტო რყევები ჩვენთან მიმდინარე პროცესებს ემთხვევა. თუ სოციალური და ეკონომიკური პრობლემები არ დასტაბილურდა, ეს საქართველოს რუსეთის საშოში დაბრუნებას გააიოლებს!

– რუსეთის ღატაკ საშოში დაბრუნება ვიღაცებს რატომ უნდათ?

– იმ გლეხს ჰკითხეთ, ვინც ყურძენი და მანდარინი რუსეთის ბაზარზე გაყიდა. საქართველოს ხელისუფლება არ უზრუნველყოფს მოსახლეობის ინფორმირებას იმის თაობაზე, თუ რა მძიმე ეკონომიკური მდგომარეობაა რუსეთში; რომ რუსეთის ბაზარი ის პანაცეა არაა, რომელმაც შეიძლება, საქართველოს ეკონომიკა იხსნას. პირიქით ხატავს – როგორც მიმზიდველს. ხვალ და ზეგ გლეხი აღმოაჩენს, რომ რუსული ბაზარი ის არ ყოფილა, რაც ეგონა, ამასობაში, საქართველოც ის აღარ იქნება, რაც ეგონა. უკვე რუსეთის გავლენის ქვეშ დაბრუნებული ქვეყანა ვიქნებით. ეკონომიკურ და სავაჭრო ბლოკადაში ვერ მოვექცევით, შემოსავლის მისაღებად ყველა ბაზარი უნდა გამოვიყენოთ, მათ შორის, რუსულიც, მაგრამ ეკონომიკური გაჭირვების გამო, ქვეყნის დამოუკიდებლობა უკანა პლანზე არ უნდა დააყენო. რამდენი საუბარი იყო ტურისტულ ბიზნესზე, ხელოვნურ თოვლსაც კი გვპირდებოდნენ, მაგრამ თოვლი ვის რად უნდა?! – ხალხი, სხვადასხვა მიზეზის გამო, ვერ ჩამოდის. ის, ვინც ამ პრობლემებით უნდა ინტერესდებოდეს, ანუ მთავრობა, კაბინეტის გარდა არსად ჩანს.

ესაუბრა ნათია გოგიტიძე

ისტორია

წითლების მიერ დახვრეტილ თავად-აზნაურთა სია და ნოე ჟორდანიას ოხრანკისეული დოსიე



1923 წლის თებერვალში, „ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის“ სტუდენტთა კომიტეტის წევრმა, კ. მისაბიშვილმა სამხედრო ცენტრი გასცა და კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოთხოვნით, საქართველოს სსრ-ს ე.წ. საგანგებო კომისია-მ („ჩეკა“) დამკომის საიდუმლო სტამბა აღმოაჩინა.

საქართველოს სსრ საგანგებო კომისიის (ე.წ. ჩეკა) კოლეგიის გადაწყვეტილებით, 1923 წლის 20 მაისს ადმინისტრაციული წესით დახვრიტეს სამშობლოსათვის თავდადებული მამულიშვილები, თავად-აზნაურები:

1. გენერალი კონსტანტინე (კოტე) ნიკოლოზის ძე აფხაზი – 55 წლის, თავადი, საქართველოს ანტისაბჭოთა ინტერპარტიული პარიტეტული კომიტეტის (იგივე „დამოუკიდებლობის კომიტეტი“) სამხედრო ცენტრის ხელმძღვანელი, საქართველოს „ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის“ თავმჯდომარე;

2. გენერალი ალექსანდრე სვიმონის ძე ანდრონიკაშვილი – 51 წლის, თავადი, გენერალური შტაბის ყოფილი გენერალი, სამხედრო ცენტრის წევრი;

3. გენერალი ვარდენ გრიგოლის ძე წულუკიძე – 57 წლის, თავადი, სამხედრო ცენტრის წევრი;

4. გენერალი როსტომ ილიას ძე მუსხელიშვილი – 35 წლის, აზნაური, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გენერალური შტაბის ყოფილი გენერალი, სამხედრო ცენტრის წევრი;

5. პოლკოვნიკი გიორგი (გოგი) ნიკოლოზის ძე ხიმშიაშვილი – 31 წლის, თავადი, სამხედრო ცენტრის წევრი;

6. პოლკოვნიკი ალექსანდრე მიხეილის ძე მაჭავარიანი – 51 წლის, აზნაური, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გენერალური შტაბის ყოფილი პოლკოვნიკი, სამხედრო ცენტრის წევრი;

7. პოლკოვნიკი ელიზბარ ზაქარიას ძე გულისაშვილი (ცნობილი მეცნიერის, აკადემიკოს ვასილ გულისაშვილის უფროსი ძმა) – 32 წლის, აზნაური, „ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის“ სამხედრო ორგანიზაციისა და სამხედრო ცენტრის წევრი;

8. როტმისტრი დიმიტრი ნიკოლოზის ძე ჩრდილელი – 29 წლის, აზნაური, „ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის“ სამხედრო ორგანიზაციისა და სამხედრო ცენტრის წევრი;

9. როტმისტრი სიმონ (სიმონიკა) ბაგრატიონ-მუხრანელი – 27 წლის, თავადი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სამხედრო ორგანიზაციის და სამხედრო ცენტრის წევრი;

10. პორუჩიკი ლევან ირაკლის ძე კლიმიაშვილი – 26 წლის, აზნაური, „ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის“ სამხედრო ორგანიზაციისა და სამხედრო ცენტრის წევრი;

11. პორუჩიკი ფარნაოზ რევაზის ძე ყარალაშვილი (გენერალ რევაზ ყარალაშვილის ვაჟი, დახვრიტეს 1924) – 24 წლის, თავადი, სამხედრო ცენტრის წევრი;

12. პორუჩიკი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ზანდუკელი – 39 წლის, აზნაური, მენშევიკური პარტიის დუშეთის ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, სამხედრო ცენტრის წევრი;

13. იასონ მათეს ძე კერესელიძე (გენერალ ლეო კერესელიძის უმცროსი ძმა) – 40 წლის, აზნაური, „ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა“ და სამხედრო ცენტრის წევრი;

14. ივანე გრიგოლის ძე ქუთათელაძე – 40 წლის, აზნაური, „ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა“ და სამხედრო ცენტრის წევრი;

15. სიმონ ნასყიდგორის ძე ჭიაბრიშვილი – 42 წლის, „ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა“ და სამხედრო ცენტრის წევრი.

აღსანიშნავია, რომ ამ დღეებში, საქართველოს ეროვნულმა არქივმა „თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს“ ფონდიდან დოკუმენტი გამოაქვეყნა, რომელიც ნოე ჟორდანიას ეხება.

მე-19 საუკუნის მიწურულსა და მე-20 საუკუნის პირველ ათწლეულში, საგანგებოდ შექმნილ ბარათებზე დაწვრილებითი მონაცემებია შეტანილი მეფის რუსეთის დროს „ოხრანკის“ მიერ დაკავებული თუ დაჭერილი პირების შესახებ. ბარათებზე წარმოდგენილ ცნობილ პირთა ძირითად ნაწილს პოლიტიკური მოღვაწეები შეადგენენ: მიხაკო წერეთელი, რაჟდენ არსენიძე, გრიგოლ ურატაძე, ნოე ხომერიკი, ანა სოლოღაშვილი, გიორგი ლასხიშვილი და სხვები. ჟანდარმერიის ფონდი დიდი ხნის განმავლობაში დახურული იყო.

ბარათი №1 – ნოე ჟორდანია

„382. ასაკი გარეგნობის მიხედვით: 40-41 წლისა; დაბადების თარიღი: 1869, 2 იანვარი; სიმაღლე: 1.79 მ. აგებულება: სრული, მკვრივი; წელის გარშემოწერილობა: 98 სმ; თმა: ჭაღარა, სწორი, საშუალო სიხშირის; წვერ-ულვაში: ჭაღარა, ხშირი; სახე: ფერმკრთალი; გამომეტყველება: ქუფრი; თავის ფორმა: წაგრძელებული; თვალებსშორის მანძილი: საშუალო; ცხვირი: ოდნავ კეხიანი; ყურები: პატარა; ტუჩები: გულის ფორმის, მომცრო; მეტსახელი: ვახვახოვი.

ბარათის შევსების თარიღი: 12 სექტემბერი, 1908 წელი

ბარათი №2 – ნოე ჟორდანია

2166. ასაკი გარეგნობის მიხედვით: 40-42 წლისა; დაბადების თარიღი: 1869 წელი; სიმაღლე: 1.75 მ.; აგებულება: სრული, მკვრივი; წელის გარშემოწერილობა: 81; თმა: სწორი, საშუალო სიხშირის; წვერ-ულვაში: მოშვებული, ხშირი; სახე: თეთრი; შუბლი: მაღალი; ნაოჭები: მცირე ზომის; თავის ფორმა: წაგრძელებული; ცხვირი: ოდნავ კეხიანი, გრძელი; ყურები: წაგრძელებული, საშუალო; ღაბაბი: საშუალო. სახელი, მამის სახელი: ნოე ნიკოლოზის ძე ჟორდანია; წოდება: აზნაური, სოფელი ლანჩხუთი, ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის მაზრა; დაბადების ადგილი: ოზურგეთი, სოფელი ლანჩხუთი; მამა: ნიკოლოზი (გარდაცვლილი); დედა: ქრისტინა ჩიქოვანი (მამის სახელი უცნობია); ოჯახური მდგომარეობა: დაქორწინებული; ცოლი: ინა ივანეს ასული (კორენევა); და: მარიამი (იგივე გულჩინა). აღმსარებლობა: მართლმადიდებელი; განათლება: 1909 წელს ავადმყოფობის გამო დატოვა ვარშავის ვეტერინარული ინსტიტუტი; საქმიანობა: ლიტერატურული მოღვაწეობა. უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილი: ქუთაისის გუბერნია, ლანჩხუთი; დაკავების თარიღი: 1910 წლის 14 დეკემბერი; ბრალდება: აჯანყებისა ან მოღალატეობრივი საქმიანობისადმი საჯარო მოწოდება და არსებული სახელმწიფო წყობის წინააღმდეგ გამოსვლა; ნასამართლეობა: პირველად დააკავეს 1901 წელს. შედეგი უცნობია;

დგომის მანერა: გამართული; მშობლიური ენა: ქართული

ბარათის შევსების თარიღი: 4 დეკემბერი, 1910 წ.

ბარათის შემვსები: თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსის თანაშემწე პოდპოლკოვნიკი შმიდტი“.

№ 9 (273)
4-10 მარტი 2015
ქართული სიტყვა
ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით
„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ჟურნალისტური გამოძიება

სკანდალი — როგორ ამარაგებენ პოლონეთის შრომის ბაზარს ქართველი მუშახელით

შრომითი მიგრაცია, რომელიც მე-20 საუკუნის 90-იან წლებში დაიწყო, არათუ მცირდება, არამედ, უფრო ღრმავდება — მძიმე სოციალური ფონი, ნიჰილიზმისათვის ნოყიერ ნიადაგს ქმნის და უმუშევარი მოქალაქეები ქვეყნიდან გარბიან... ,ქართულ სიტყვას“ ბათუმელი თამაზ თურმანიძე დაუკავშირდა, რომელიც სააგენტო შპს „რედ სტარ გრუპის“ მეშვეობით, პოლონეთში სამუშაო ვიზით გაემგზავრა.

„ასეთი საქმეები საელჩოებისა და საკონსულოების გარეშე არ კეთდება!“ — თამაზ თურმანიძის ბრალდებებს „რედ სტარ გრუპის“ დირექტორი და პოლონეთის კონსული პასუხობენ

თამაზ თურმანიძე: — მოგეხსნებათ, ჩვენს ქვეყანაში რა მდგომარეობაცაა. აჭარის მაღალმთიანი სოფლიდან გახლავართ, დამადასტურებელი საბუთებიც მაქვს, რომ უსახლკარო ვარ. სახლის საყიდელი ფული რომ შემეგროვებინა, საზღვარგარეთ წასვლა გადავწყვიტე, თორემ პურის ფულს საქართველოშიც ვიშოვიდი. ადრე სამუშაოდ თურქეთში დავდიოდი, მაგრამ წელიწადნახევრის წინ, „25-ე არხზე“ მორბენალი სტრიქონი გამოჩნდა, რომელიც მოქალაქეებს პოლონეთში დასაქმებას სთავაზობდა. თბილისში, ლაღიძის ქუჩა №10-ში სააგენტო „რედ სტარ გრუპს“ მივაკითხე. დამარწმუნეს, რომ კარგი ანაზღაურებით, სამუშაოს მიშოვნიდნენ და საშუალება მექნებოდა, ექვსი თვის განმავლობაში, პოლონეთში ლეგალურად ვყოფილიყავი.

— პოლონეთში გამგზავრება რა თანხა დაგიჯდათ?

— თავიდან 1 000 ევრო გადავიხადე, რასაც პოლონეთის საელჩოში 60 ევრო დაემატა, სადაზღვევო პაკეტისთვის — 180 ლარი და უამრავი წვრილმანი ხარჯი, რომელიც ბათუმიდან თბილისში ყოველ ჩამოსვლაზე უნდა გადამეხადა. ყველაფერ ამის მოგვარებას ორთვენახევარი მოვუნდი. გარდა ამისა, ტრანსპორტირების ხარჯებიც მე უნდა გადამეხადა. მოკლედ, სულ 3 ათასი დოლარი დამიჯდა.

— ოფისთან ბევრი ხალხი ტრიალებს?

— საზღვარგარეთ წასვლის მსურველი საკმაოდ ბევრია, ქალებიც შემინიშნავს. სად მიდიან, ვერ გეტყვით.

— რა სახის სამუშაო შემოგთავაზეს?

— თავიდან ლაპარაკი ქარხანა-ფაბრიკებზე, კონკრეტულად, ძეხვის დამამზადებელ საწარმოზე იყო. მერე, მშენებლობაზე, ასე ვთქვათ, არმატურაზე მუშაობა შემომთავაზეს. ამ საქმეში კომპეტენცია არ მაქვს, ამიტომაც უარი ვთქვი. საბუთები რომ გამზადდა, მითხრეს, რახან წარმოშობით სოფლიდან ხარ, ღორების ფერმაში გაგზავნითო. ამაზეც კატეგორიული უარი ვთქვი. ბოლოს, ვაშლის გასხლვაზე შევთანხმდით.

— ე.ი. პოლონეთში ვაშლის გასხვლაზე სამუშაოდ წახვედით და თქვენს შრომას 450 ევროდ შეაფასებდნენ, არა?

— დიახ, ასე შევთანხმდით. პოლონეთში წასვლა 27 იანვრიდან შემეძლო, მაგრამ ვინაიდან სამუშაო ვერ გამონახეს, ვარშავაში ერთ ქართველთან, ივანესთან ერთად, 8 თებერვალს გავფრინდი. ივანე პროფესიით მზარეულია და შესაბამის სამუშაოს მოლოდინში იყო... აეროპორტში, კარგა ხნის ლოდინის შემდეგ, შუამავალი მოვიდა, რომელიც რკინიგზის ბილეთების შეძენაში დაგვეხმარა. ვარშავიდან სხვა ქალაქში გადავედით, სადაც ისევ ველოდეთ პიროვნებას, სახელად ვლადიმერს, რომელმაც, ერთ ქართველ ახალგაზრდასთან ერთად, სოფელში წაგვიყვანა, ვარშავიდან 400 კილომეტრის მანძილზე. ფერმაში სამნი ჩავედით, იქ ორი უკრაინელი მუშა დაგვხვდა, ერთს ორი თითი წაჭრილი ჰქონდა. მიზეზი ვკითხეთ და გვითხრა, რომ ღორებმა წააჭამეს. მივიხედ-მოვიხედეთ, გარშემო ენით აუწერელი სიბინძურე სუფევდა — იქ ადამიანის გაჩერება შეუძლებელი იყო. რაღაც „თეთრეული“ მოგვიტანეს, მაგრამ ვამჯობინეთ, ტანსაცმლიანად მივწოლილიყავით. გათენდა და იქაურობა იმაზე საშინელი აღმოჩნდა, ვიდრე — ღამე ჩანდა. ფერმას, სადაც 12 ათასი ღორი ბინადრობდა, უზარმაზარი ტერიტორია ეკავა. „ვალინკებსა“ და სპეცსამოსში იყვნენ ჩაცმულნი, მაგრამ უკრაინელებს მაინც აუტანელი სუნი ასდიოდათ. იქ რამდენიმე თვეში ისე დაავადმყოფდებოდი, რომელი დაზღვევა მიშველიდა?!

უკრაინელმა გვითხრა, აქ ქართველები ჩამოდიან, მაგრამ თვენახევარზე მეტს ვერავინ უძლებს და გარბიანო. ჩვენს მესამე თანამგზავრს უკანასკნელი 50 ევროც დამხვდურმა უკრაინელმა გამოართვა, თბილისის ოფისს ჩემთვის შენი ფული ჯერაც არ მოუციაო.

— აკი, ვაშლის გასხვლაზე შეთანხმდით?

— დიახ, მაგრამ როცა ვუთხარით, რომ ოფისთან ამ სამუშაოზე არ ვიყავით შევთანხმებულნი, შუამავალმა გვიპასუხა, სხვა სამუშაო არ არსებობსო. ყველაფერი ამით დამთავრდა.

მე და ივანემ ფული გადავთვალეთ — ვარშავამდე გვეყოფოდა. ქალაქამდე სოფლის ავტობუსს გავყევით... სამუშაოს შოვნის მიზნით, ქართულ წარწერებს ვეძებდით. ერთგან ქართულ სახაჭაპურეს გადავაწყდით, ივანე შევიდა და მეპატრონეს დაელაპარაკა. უთხრეს, შაბათს გამოგვიარე, ვნახავთ, რა შეგიძლია, თუ მოგვეწონე, დაგიტოვებთო.

— კომპანიის ქართული ოფისიდან არავინ შეგეხმიანათ?

— ივანეს ურეკავდნენ და ჩემზე ეუბნებოდნენ, როგორმე დააკავეო. ბევრი ვიფიქრე, რა გზას დავდგომოდი. შემეძლო, ბილეთი მეყიდა და სხვა ქვეყანაში გადავსულიყავი, მაგრამ გარანტია არ მქონდა, რომ ჩავბარდებოდი, ანუ იმ ქვეყანაში გაჩერების უფლებას მომცემდნენ. უკან დაბრუნება გადავწყვიტე, ივანე აეროპორტის ვაგონში დავტოვე — იმდენი ფული ჰქონდა, რომ შაბათამდე პურს და წყალს იყიდდა. რამდენიმე დღის მერე, მობილურზე მომწერა, სამუშაოდ ამიყვანესო, პურის ფულს ვაკეთებო. ფერმაში დარჩენილ ბიჭზე კი ვერაფერს მეუბნება, მის ნომერზე სხვა პასუხობსო.

— გამოდის, რომ სამუშაოდ გზავნიან და ამაში ფულს იღებენ. იქ ჩასულების ბედს კი არავინ კითხულობს, არა?

— საზღვარზე შეფერხება არ გვქონია — თავისუფლად გაგვატარეს. სააგენტოს სათქმელი აქვს, რომ ყველაფერს კანონიერად აკეთებს. ეს იურისტებმაც მითხრეს, როცა სახელშეკრულებო დოკუმენტი ნახეს, მაგრამ პოლონეთში ჩასულთა ბედით არავინ ინტერესდება. იქ ჩასულები სამუშაოს თავად ეძებენ, ან სხვა ქვეყნებში გადადიან. ჩვენმა მთავრობამ კი არ იცის, მისი მოქალაქეები სად ქრებიან. ჩემი დაკვირვებით, ყველას იმ ფერმაში უშვებენ, სხვა სამუშაო ადგილები პრაქტიკულად არ აქვთ!

— თბილისში დაბრუნების მერე, „რედ სტარ გრუპს“ არ მიმართეთ?

— როგორ არა, დაბრუნებისთანავე პატრული გავაჩერე და ჩემი მდგომარეობა ავუხსენი. მირჩია, ოფისში მივსულიყავი და თუ საჭირო გახდებოდა, პატრულისთვის იქიდან დამერეკა. ოფისში აქეთ შემომიტიეს, რატომ გამოიქეცი და არ დარჩი. შენ სამუშაო გიშოვნეთ, თუ შრომა გეზარება, რისთვის წახვედიო... როცა ხეხილის გასხლვის საკითხი შევახსენე, გაუკვირდათ, ეგ როდის გითხარითო. აბა, ღორების ნაკელის საზიდავად ვინ მიდის ევროპაში, ნეტა?!

— უკრაინელები, რომლებიც იქ დაგხვდნენ...

— უკრაინაში ომია და, ალბათ, სხვა გამოსავალი არ ჰქონდათ. მე გარკვეული მოსაზრებით და მიზნით წავედი. ხეხილის გასხვლაში, მართალია, ანაზღაურება 450 ევრო იქნებოდა, მაგრამ საცხოვრებელს გვპირდებოდნენ, საჭმელი კი თავად უნდა მეყიდა სამუშაო საათებიც განსაზღვრული — 8-9 საათი იქნებოდა, დამატებით შრომა კი, ანაზღაურდებოდა.

— ამბობთ, რომ ადრე სამუშაოდ თურქეთში დადიოდით. იქ როგორი ანაზღაურებაა?

— უფრო მეტი, ვიდრე — პოლონეთში, მაგრამ ჯანმრთელობისთვის იმდენად მძიმე და მავნე კლიმატური, ასევე, ფიზიკური დატვირთვაა, რომ ჩაის, თხილისა და ხილის კრეფაში ჩართული ადამიანები უდროოდ ბერდებიან.

— რას აპირებთ, სასამართლოს მიმართავთ?

— ოფისში ისიც მითხრეს, თუ გინდა, გვიჩივლე, არაფრის გვეშინიაო. პოლონეთში რამდენიმე დღით წასვლა-ჩამოსვლა 3 ათასი დოლარი დამიჯდა, თან ექვსი თვის განმავლობაში, ევროპის ერთ ქვეყანაშიც ველარ შევალ. „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში“ მითხრეს, რომ მოწვევის დოკუმენტსა და ხელშეკრულებაში მეორე მხარე ვალდებულებას კანონიერად იცავს და, თურმე, ვერაფერს შევედავები. ასე რომ, იმედი არაფრის მაქვს. მინდა, სხვები გავაფრთხილო, ანკესზე ნუ წამოეგებიან. მთავრობამ კი, უნდა გაითვალისწინოს, ჩემსავით, ქვეყნის გარეთ სამუშაოდ ბევრი ადამიანი მიდის და ასეთი ოფისები გადაამოწმოს... ასეთი საქმეები საელჩოებისა და საკონსულოების გარეშე ხომ არ კეთდება?!

ლაღიძის 10 ნომერზე აბრაა: „დასაქმება პოლონეთში“. ოფისში შესვლისთანავე, ახალგაზრდა ქალმა, სიტყვის თქმაც არ დამაცადა, მაშინვე საქმეზე გადავიდა. ქალებისთვის სამუშაო ასაკის მიხედვით ჰქონდა დახარისხებული: სასტუმროები, სასტუმროები და ავადსახსენებელი ფერმა.. როცა თავი გავაცანი, ბრალი არაკორექტულობაში დამდო. აღშფოთდა, თავს ძალა დაატანა და მწირი ინფორმაცია მომცა, თუმცა დამპირდა, რომ უფროსს, ვლადიმერ პადოვსკის შეატყობინებდა და ეს უკანასკნელი, თუ მოისურვებდა, არასამუშაო საათებში მიმიღებდა.

მილა, სააგენტოს თანამშრომელი: — ბატონ თამაზს ერთმანეთში ეშლება კანონი და ემოციები. რვა თებერვალს აქედან გავაგზავნეთ და 12 თებერვალს კარზე მოგვადგა. ჩვენ დაპირებული სამუშაო ვუშოვეთ, მაგრამ მუშაობა არ ისურვა და უკან დაბრუნდა. იცით, 400 ევროს ვთავაზობდით, 400 ევროს.. თქვენ გაქვთ 400 ევრო საქართველ-

გაგრძელება მე-13 გვ.

ჟურნალისტური გამოძიება

მე-12 გვერდიდან

ოში ხელფასი?

– ემოციებში რას გულისხმობთ, რა, ბატონი თამაზი გეჩხუბათ?

– საკმაოდ ხმაურიანად მოვიდა... თურქეთზე ლაპარაკობდა, სადაც მეტი ანაზღაურება ჰქონდა, თურმე, ის კი ავიწყდება, რომ იქ არალეგალურად მუშაობდა, ჩვენ კი, ლეგალურ სამსახურს ვთავაზობდით. ჩვენთან უკან დაბრუნებული ხალხი მადლობით მოდის.

– ქალბატონო მილა, თამაზ თურმანიძე აჭარის მთიანი სოფლიდანაა, შესაძლოა, მუსულმანიცაა, ამიტომ, ღორებთან მუშაობაზე არ დათანხმდებოდა, თან ამბობს, რომ ხეხილის გასხლვაზე მუშაობას დაჰპირდით.

– ტყუილია, როცა იქიდან დამირეკა, პირადად ვუთხარი, თუ არ გინდა ფერმა, ვაშლის გასხლვაზე გაგიშვებ-თქო, მაგრამ უკვე გაბრაზდა და აღარ მომისმინა. თავიდან ანკეტა რომ შეავსო, მისი მონაცემების მიხედვით, რახან სოფელშია გაზრდილი, ფერმა შევთავაზეთ, მანაც ის სამუშაო აირჩია, სადაც მეტი ანაზღაურება იყო. როგორ ფიქრობთ, კაცი საზღვარგარეთ ისე წავა, არ ეცოდინება, რა სამსახური ელოდება?

– ბედის ანაბარა ბევრი მიდის. ფერმა ბევრჯერ ახსენეთ, მეც კი, მთავაზობდით. მაინტერესებს, თუ იცოდით, ფერმაში სამუშაოდ რა პირობებია?

– რა პირობებს ელოდებოდა?

– ადამიანურს.

– ძალიან ნორმალური პირობებია იმ ფერმაში, მაგ ადგილს კიდევ ოთხი კაცი ელოდებოდა,

– სამნი წავიდნენ ფერმაში, ორნი უკან დაბრუნდნენ, იქ დარჩენილ ახალგაზრდაზე რამე იცით?

– არ დამირეკა და რა უნდა ვიცოდე, რა, ობოლია, ვერავინ შემატყობინებს თუ რამე სჭირდება? მაპატიეთ, ხალხი მელოდება, მეტს ვერაფერს გეტყვით. კარგად ბრძანდებოდეთ.

ქალბატონმა მილამ გამომისტუმრა თუ არა, ოფისში ორი მამაკაცი შევიდა. გარეთ მომლოდინემ კი მკითხა, ხომ მშვიდობააო? ყველაფერი კარგად არის-მეთქი, მივუგე და დავინტერესდი, ოფისის შესახებ საიდან გაიგო. კაცმა პასუხის გაცემა ვერ მოასწრო, რომ ქალბატონი მილა გამოვარდა და გაბრაზებულმა მოითხოვა, საუბარი შემეწყვიტა. ვითარების გამწვავებას მოვერიდე, რადგან ვლადიმერ პადოვსკისთან შეხვედრას ვაპირებდი...

ვლადიმერ პადოვსკი, სააგენტო „რედ სტარ გრუპის“ დამაარსებელი: – სააგენტო 2004 წელს დაარსდა. წარმატებით ვმუშაობთ. 2007 წლამდე აშშ-ში სტუდენტების დასაქმებას უზრუნველვყოფდით – ზაფხულობით ამერიკულ ლაინერებზე ოფიციანტებად, მომსახურე პერსონალად ვაგზავნიდით. როცა პროგრამა აქტუალური აღარ იყო, აშშ-ის საკონსულომ სამუშაო ვიზების გაცემა შეწყვიტა. მერე ლიტვა-ლატვიის სამუშაო ვიზებით დავინტერესდით.

– ამ ქვეყნებში სამუშაოდ წასვლა რა ღირდა?

– სხვადასხვა ფასი იყო. ძირითადად, უბრალო მუშის საქმე იყო. 2009 წლიდან, კრიზისის მერე, მხოლოდ პოლონეთზე ვმუშაობთ, დღესდღეობით აქტუალურია უბრალო მუშისა და არა – მაღალკვალიფიციური სპეციალისტების დასაქმება, რომლებიც ქარხანა-ფაბრიკებში, სამშენებლო ობიექტებზე იმუშავებენ. 2008 წლიდან დღემდე, ევროკავშირის ქვეყნებიდან სამუშაო ვიზებს მხოლოდ პოლონეთი იძლევა.

– პოლონეთის საელჩოსა და საკონსულოსთან კავშირი გაქვთ?

– ადრე ვეკონტაქტებოდით, მაგრამ კარგა ხანია, სააგენტოებთან ურთიერთობის უფლება აღარ აქვთ. ზედმეტი საუბრები რომ არ იყოს, ჩვენ დამოუკიდებლად ვმუშაობთ, ჩვენი საქმიანობა კანონიერია, ოფიციალურ ვიზებს ვაკეთებთ და ხალხს ლეგალურად ვასაქმებთ.

– პოლონეთში სამუშაოდ წამსვლელებს როგორი სახის მომსახურებას სთავაზობთ?

– დასაქმების მსურველთათვის კომპანიას ვპოულობთ, რომელიც პიროვნებას სამუშაოდ აიყვანს. ვიზების მიღების საქმეში კონსულტაციებს ვუწევთ. ამის მერე, იქ ჩასულ მოქალაქესთან დამსაქმებელი კონტრაქტს დებს, რომელშიც შედის შრომითი ანაზღაურების, სამუშაო პირობების, დამატებითი საათების შემთხვევაში ანაზღაურების, საცხოვრებლის, კვების შესახებ ინფორმაცია. ჩვენ კომპანიის კომპეტენციაში არ ვიჭრებით – ეს პოლონური კომპანიის პასუხისმგებლობაა. ისინი შესაბამისი სტრუქტურებიდან იღებენ ნებართვას და მერე სთავაზობენ სამსახურს. პოლონური მხარე, როგორც ყოველთვის, შრომის უფლებას არ არღვევს.

– ტექნიკურად, ყველაფერი ეს როგორ კეთდება?

– ოფისში სპეციალისტი მოდის, მაგალითად, კვალიფიციური შემდუღებელი, ან მძღოლი მართვის მოწმობით, ჩვენ ვთავაზობთ გარანტირებულ სამუშაოს, ოღონდ არ უნდა მოგვატყუოს და ნამდვილად შეეძლოს იმ სამუშაოს შესრულება.

– როცა მოქალაქეს კვალიფიკაცია არ აქვს?

– მაშინ ვთანხმდებით, იმ მომენტში რა სამუშაოც იქნება, იმას უნდა დასჯერდეს. ვითვალისწინებთ მის სურვილს, რომ უკეთესი შევურჩიოთ, მაგრამ ზოგჯერ ადამიანი ჭირვეულობას იწყებს, ეს არ მაწყობს, ის არ მაწყობსო.

– კარგი... დავიწყოთ თავიდან: ვთქვათ, ადამიანი ვარშავაში ჩაფრინდა. მერე?

– წასვლის წინ, წერილობით ინსტრუქციას ვაძლევთ, როგორ მოიქცეს აეროპორტში, როგორ იყიდოს იქაური სატელეფონო კარტა, როგორ გაიაროს სწორად საზღვარი, როგორ მივიდეს ვაგზალზე, ვაძლევთ საკონტაქტო ტელეფონებს; ვასწავლით, როგორ გამოგზავნონ ჩვენთან შეტყობინება მგზავრობისა და პრობლემების შესახებ, თუკი გაჩნდა. იქ ხვდება დამსაქმებელი, მიჰყავს სამუშაო ადგილზე, დამსაქმებელი მასთან ხელშეკრულებას დებს და აქ ჩვენი მოვალეობა წყდება – მერე საქმე უკვე დამსაქმებელთან აქვს.

– დამსაქმებელთან ასეთი ხელშეკრულება თამაზ თურმანიძეს არ ჰქონდა?

– იგი, ფაქტობრივად, სამუშაოდ არ გასულა, ამიტომაც ხელშეკრულება არ დაუდეს. ჩავიდა, ღამე გაათია და უკან, საქართველოში დაბრუნდა.

– თამაზ თურმანიძე იმ იმედით წავიდა, რომ ხეხილის გასხლვაზე იმუშავებდა.

– მას კარგად ანაზღაურებადი სამსახური უნდოდა. ძალიან სიცივე იყო, ხეხილის სხვლა ძნელი და ნაკლებად ანაზღაურებადი სამუშაოა. ფერმა კი მისთვის საუკეთესო ვარიანტი იყო.

– ბატონო ვლადიმერ, იცით, რომ ის მუსულმანია? შესაბამისად, ღორების ფერმაში სამუშაოდ არ წავიდოდა.

– ბატონი თამაზი სოფლად გაიზარდა, ამიტომ, მაღალხელფასიანი სამუშაო შევთავაზე სოფელში. არ უთქვამს, რომ მუსულმანია. მშვენივრად იცოდა, სადაც მიდიოდა. სატელეფონო საუბარში პრეტენზია გამოთქვა, იქვე შევთავაზეთ ხეხილის სხლვა, მაგრამ ამაზეც უარი თქვა.

– მაინც, რამდენია ღორების ფერმაში მომუშავის ხელფასი?

– დასაწყისში რვა ზლოტი, მერე – ათი ზლოტი დღეში, პოლონეთში ეს კვალიფიციური სპეციალისტის ხელფასია.

– თუ ხელფასი ასეთი მაღალი იყო, რატომღა დაბრუნდა?

– არ მოინდომა, რადგან ფერმაში საქმე ძნელი მოეჩვენა – მოუწევდა ცხოველების გამოკვება, შენობის დასუფთავება... დამატებით სამუშაო საათებში კი, დამსაქმებელი დამატებით გადაუხდიდა.

– ფერმაში სამუშაოდ ბევრს აგზავნით? უკრაინელები თამაზ თურმანიძეს ეუბნებოდნენ, რომ ქართველები თვენახევარზე მეტი იქ ვერ ჩერდებიან, რადგან არაადამიანური პირობებია.

– თქვენ ლაპარაკობთ უკრაინელებზე, როგორ? მათთვის ადამიანური პირობებია და ქართველებისთვის – არაადამიანური? პრობლემა ადამიანებშია და არა – სამუშაოში.

– გინდათ თქვათ, რომ ქართველებს მუშაობა არ უყვართ?

– ქართველები ირეალურ სამყაროში ცხოვრობენ, ვერ აცნობიერებენ, მსოფლიოში რა ხდება. ამის გამო ხშირად პრობლემები აქვთ.



„ჩვენთან ხშირად მოდიან ინტელიგენციის წარმომადგენლები, რომლებიც ქვეყანაში მიმდინარე კრიზისული წლების მერე, უმუშევარნი არიან, აღარ აქვთ შრომითი დისციპლინის ჩვევები. როცა მუშა წარამარა სიგარეტს ეწევა, ნელა მუშაობს, ბუნებრივია, ეტყვიან, არ გამოგვადგებიო. ამიტომაც წასვლამდე ადამიანებს ვაფრთხილებთ, მზად რისთვის უნდა იყვნენ. ისინი კი, ხანდახან რეკავენ და ამბობენ, რომ შინ შიმშილობა ურჩევნიათ, ვიდრე ასეთ მკაცრ პირობებში მუშაობა, მაგრამ არასოდეს ამბობენ, რომ ხელფასი არ გადაუხადეს, უხეშად მოექცნენ, ერთი კვირაც არ ჩერდებიან ადგილზე, გარბიან და ხანდახან უარეს პირობებში ხვდებიან და საქმეს იფუჭებენ. ცუდი დისციპლინისკენ მიდრეკილება ქართული საზოგადოების პრობლემაა და არა – პოლონეთის“.

– უკან ბევრი ბრუნდება?

– არა, მაგრამ იქიდან გვირეკავენ პრეტენზიებით და ხან რა არ მოსწონთ, ხან – რა. ამბობენ, რომ სამუშაო ბინძურია, ძნელია.

– თუ ყველას ამ ფერმაში აგზავნით, სხვას რას ელოდებით? ფერმის გარდა, ხალხს სხვა რა სამუშაოს სთავაზობთ?

– ვთავაზობთ ფრინველების ფაბრიკაში, ქარხანაში, ხორცკომბინატებში, მშენებლობებზე მუშაობას. საქართველოში მეტად რთული რეალობაა, ჩვენთან ხშირად მოდიან ინტელიგენციის წარმომადგენლები, რომლებიც ქვეყანაში მიმდინარე კრიზისული წლების მერე, უმუშევარნი არიან, აღარ აქვთ შრომითი დისციპლინის ჩვევები. როცა მუშა წარამარა სიგარეტს ეწევა, ნელა მუშაობს, ბუნებრივია, ეტყვიან, არ გამოგვადგებიო. ამიტომაც წასვლამდე ადამიანებს ვაფრთხილებთ, მზად რისთვის უნდა იყვნენ. ისინი კი, ხანდახან რეკავენ და ამბობენ, რომ შინ შიმშილობა ურჩევნიათ, ვიდრე ასეთ მკაცრ პირობებში მუშაობა, მაგრამ არასოდეს ამბობენ, რომ ხელფასი არ გადაუხადეს, უხეშად მოექცნენ, ერთი კვირაც არ ჩერდებიან ადგილზე, გარბიან და ხანდახან უარეს პირობებში ხვდებიან და საქმეს იფუჭებენ. ცუდი დისციპლინისკენ მიდრეკილება ქართული საზოგადოების პრობლემაა და არა – პოლონეთის. პოლონეთში ბევრი უკრაინელი მუშაობს. როცა პოლონელ აგენტებსა და დირექტორებს ვესაუბრები, ხშირად ქართველებზე უარს მეუბნებიან.

– რატომ?

– ქართველებს ცუდი რეპუტაცია აქვთ. განსაკუთრებით მშენებლები სჭირდებათ, გარე სამუშაოებებისთვის, შემდუღებლები მაღალი კვალიფიკაციით, რაც ძნელი საპოვნელია საქართველოში, ასევე, უნდათ ფაბრიკებში ნამუშევარი მკერავი ქალები.

– ექვსი თვის მერე, ვიზას ვადა გასდის, უკან დაბრუნებულები ფულს ისევ იხდიან?

– მათ ვიზას დამსაქმებელი უგრძელებს, შეუძლიათ დროებით პასპორტის აღებაც, ზოგჯერ ახერხებენ და ოჯახებიც თან მიჰყავთ.

– პოლონეთში გაგზავნილებთან კონტაქტი აღარა გაქვთ?

– იურიდიულად, მათ წინაშე ვალდებულება არ გვაქვს – გადავეცით კომპანიას და მორჩა, მაგრამ თუკი დარეკავს და სხვა სამუშაოზე გადაყვანას გვთხოვს, იმ შემთხვევაში, თუკი უხეშობს, ან ყვირის, დამიბრუნე ფული, აღარ მინდა სამუშაოო, ვპასუხობთ, გინდა იმუშავე, გინდა – არაო. ექვსი თვის განმავლობაში, მათ სამედიცინო დაზღვევას „ალდაგი ბი სი აი“ უზრუნველყოფს. მუშაობის დაწყების მერე კი, პოლონური სახელმწიფოს დაზღვევით სარგებლობენ.

პიოტრ აპოსტოლიდისი, პოლონეთის კონსული საქართველოში: – პოლონეთის სახელმწიფო ეკონომიკური აღმავლობის გზაზე დგას და ნამდვილად სჭირდება მუშახელი. 2011 წლის ივლისიდან, პოლონეთის საელჩომ პროგრამა – „სეზონური სამსახური პოლონეთში“ აამოქმედა. მოქალაქეებს საშუალება ჰქონდათ, საკონსულოსთვის მიემართათ, თავიანთი მონაცემები გაეცნოთ და პოლონეთში დასაქმებაში ხელს შევუწყობდით. სიმართლე გითხრათ, ქართველებზე ცუდი არასოდეს მსმენია, პირიქით, ჩემი ინფორმაციით, მათ კარგი რეპუტაცია აქვთ. სამწუხაროდ, მხოლოდ თბილისში, პოლონეთში დასაქმების პერსპექტივით, 30-მდე ტურ-ოპერატორი საქმიანობს და ისინი ჩვენს უფლებამოსილებას ითავსებენ – პოლონეთში მეგობრებს უკავშირდებიან, პოულობენ ვაკანსიებს და მერე, ხალხს უზარმაზარ ფულს ართმევენ. ბევრი მათგანი მსხვერპლია – ისინი უცხო ქვეყანაში ბედის ანაბარა რჩებიან. ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ვაცნობეთ, თუმცა საკონსულოში წელიწადნახევრის განმავლობაში, პრეტენზიით მხოლოდ ერთი მოქალაქე მოვიდა – დაპირებულ სამუშაო ადგილზე არ დაასაქმეს. სიყალბის გამოსავლენად საკონსულო აპლიკაციებს ამოწმებს, ვრეკავთ რეგისტრაციის ადგილებზე, ასევე, ვამოწმებთ, საით მიემართებიან დასაქმების მსურველი საქართველოს მოქალაქეები.

ესაუბრა ნათია გოგიტიძე

14 № 9 (273) 4-10 მარტი 2015

ქართული ტყუპი

ლიტერატურული, ფილოსოფიური, ჰუმანიტარული

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

თბილისში მყარი ნარჩენების ნაგავსაყრელი აშენდება!

„ჩვენი თუნდაც ერთი დღის უმუშევრობა ქალაქს სერიოზულად დაეტყობა!“ – რა გეგმები აქვს შპს „თბილსერვის ჯგუფის“ ტექნიკურ დირექტორ ლევან ნაროუშვილს

34 წლის ლევან ნაროუშვილი ქართული „საჩინოვნიკო ელიტის“ ახალი სახეა. ისე, თავისუფალი „ტიპი“ ჩანს. ყოველ შემთხვევაში, არც პირადი მდივანი ჰყავს და არც – მძღოლი. არადა, თბილისისთვის ერთობ მნიშვნელოვანი უწყების – შპს „თბილსერვის ჯგუფის“ ტექნიკური დირექტორია, რაც იმას ნიშნავს, რომ დედაქალაქის ათივე რაიონის დაგვა-დასუფთავებას კურირებს. პროფესიით ეკონომისტია. თავის დროზე კერძო ბიზნესი ჰქონდა. ამბობს, რომ პოლიტიკა არასოდეს აინტერესებდა, თუმცა ქვეყნის სამსახურში ჩადგომის შანსი რომ მიეცა, უკან არ დაიხია... მოკლედ, ეს ინტერვიუ შპს „თბილსერვის ჯგუფის“ ტექნიკური დირექტორის, ლევან ნაროუშვილის, როგორც იტყვიან, პრესდებიუტია. საერთოდ, კარგია, როცა სახელმწიფო სამსახურებში სუფთა და ლაღი ადამიანები მოდიან...

– ლევან, თვეზე მეტია, გარემოს დაბინძურება დასჯადია, რაც კარგია, მაგრამ ქალაქში, მაგალითად, „აღმაშენებელზე“ ერთი ურნაც არ დგას და რა ვქნა, სიგარეტის ნამწვი სად გადავაგდო?

– კონკრეტულად, მარჯანიშვილის მოედნისთვის მწვანე ურნები შეუფერებელია და, ალბათ, თვენახევარში ქუჩის დიზაინის შესაფერის ურნებს დავდგამთ.

– ახალ ურნებზე ტენდერი გამოცხადდება?

– დიახ.

– ქალაქში სისუფთავის დაცვა „თბილსერვის ჯგუფს“ ევალება. როცა ზემოხსენებულ კანონს იღებდნენ, კონსულტაციებისთვის არავინ მოგმართათ?

– ამ პროცესში ჩვენი იურისტი იყო ჩართული... ახალი წლიდან, ახალი ბიუჯეტით, თანხა გამოგვეყო და დიდი ურნები შევიძინეთ.

– ვიცი, რომ „თბილსერვის ჯგუფი“ სახელმწიფო შპს-ა, მაგრამ თქვენი აზრით, მსგავსი მოდელის არსებობა აუცილებელია?

– ქართული რეალობიდან გამომდინარე, – აუცილებელია და აგიხსნით, ამას რატომაც ვამბობ: სამწუხაროდ, შპს-ს ძალიან დიდი ხარჯი აქვს. თუ კერძო მფლობელობაში გადავა, აუცილებლად მომგებიანი უნდა გახდეს, რასაც დასუფთავების ტარიფის გაზრდა მოჰყვება. ეს კი, მოსახლეობის პროტესტს გამოიწვევს. აქედან გამომდინარე, მერიას სხვა არჩევანი არ აქვს. ჩვენი კომპანია დღესაც დოტაციაზეა – „თბილსერვის ჯგუფის“ თვიური ხარჯი ოთხმილიონამდეა, შემოსავალი კი, – 2 მილიონ 800 ათასი.

– ...ლევან, ამ სამსახურში როგორ მოხვდით?

– 2014 წლის აგვისტოში, ქალაქის ხელისუფლების შეცვლასთან ერთად, შპს-ს ხელმძღვანელობაც შეიცვალა.

– ქუჩაში გიპოვეს? ისე, არ „გიტყდებათ“, „ნაგავტრესტის“ დირექტორი რომ ხართ?

– (იცინის) პირიქით, სიამოვნებას მანიჭებს, როცა მხოლოდ ჩემს ქუჩაზე კი არა, მთლიანად ქალაქზე ვზრუნავ და ეს ძალიან დიდი პასუხისმგებლობაცაა.

– ეკონომისტი და „ოცნებელი“ ხართ?

– დიახ, ეკონომისტი ვარ... ვცდილობდი, რომ აპოლიტიკური ვყოფილიყავი, მაგრამ როცა საშუალება მომეცა, ქვეყნისა და მეგობრის გვერდით დავდექი.

– ვიდრე ეს საშუალება მოგეცემოდათ, უმუშევარი იყავით?

– არა, კერძო ბიზნესი მქონდა.

– სხვანაირად არ გამიგოთ და, ვერ ვხვდები, ადამიანმა კერძო ბიზნესი ჩინოვნიკობაზე რატომ უნდა გაცვალოს!

– ჩემს კერძო ბიზნესს არცთუ დიდი მასშტაბები ჰქონდა...

– რატომ?

– საქართველოში დიდი ბიზნესი რომ განგვითარებინა, „ზევით“ დიდი ნაცნობობა უნდა გყოლოდა... მე კი, არ მყავდა.

– ისე, ბიზნესის კეთების ნიჭი გაქვთ? ნაგვით დიდი ფულის შოვნა შეიძლებაო, მსმენია...

– ნაგვით ფულის შოვნა მაშინ შეიძლება, თუ სეპარაციას გააკეთებ...

– ერთი სოფლელი ბიჭი ვარ, საიდან უნდა ვიცოდე, „სეპარაცია“ რას ნიშნავს. თუ შეიძლება, ქართულად მითხარით!

– დავახარისხებთ... ჰოდა, შეიძლება, ითქვას, რომ საქართველოში დიდი თანხა ნაგავსაყრელზე იმარხება, რომელსაც არავინ იყენებს.

– დაახარისხეთ, დაგიშალეთ?

– ვფიქრობ, ჩვენს კომპანიას შეუძლია, წარმატებული გახდეს და დოტაციური აღარ იყოს. საამისოდ პირველი ნაბიჯი გადავდგით – ნაგავგადამამუშავებელი ქარხნის აშენებაზე ვმუშაობთ, რაც იმის საშუალებას მოგვცემს, რომ ქვეყანაში დამატებითი შემოსავალი შემოვიდეს.

– „ნაგავსაყრელზე მუშაობა“ რას ნიშნავს?

– რას და, – ამ ეტაპზე ეს იდეა პრემიერთან არსებულ ეკონომიკურ საბჭოში განიხილება.

– საერთოდ, ნაგავსაყრელის თემა ერთობ პრობლემურია – გლდანის ნაგავსაყრელი, როგორც ვიცი, აღარ ფუნქციონირებს, ნორიოში არსებულის წინააღმდეგ კი, ადგილობრივები ილაშქრებენ. ახალი ნაგავსაყრელი სად აშენდება?

– ნორიოსა და გლდანის ნაგავსაყრელების შედარებაც არ შეიძლება, თუმცა სამწუხაროდ, დარღვევები ნორიოშიცაა – მოსახლეობასთან ძალიან ახლოს არის. ამ პრობლემის აღმოფხვრა ნაგავგადამამუშავებელი ქარხნის აშენებით შეიძლება. შესაბამისად, ჰაერში მომწამლავი გაზი აღარ გაიფანტება. საერთოდ, ვცდილობთ, რომ ნაგავსაყრელი ნორიოდან გადავიტანოთ, მაგრამ ასეც რომ მოხდეს, ამ ადგილის კონსერვაციას წლები დასჭირდება. ამიტომაც, ნორიოს ნაგავსაყრელი ხელის ერთი მოსმით ვერ დაიხურება, თუმცა ჩვენი წარმომადგენლები გერმანიაში იყვნენ, სადაც თანამედროვე სტანდარტების ნაგავსაყრელი მოინახულეს და თუკი ნორიოს პოლიგონზე ანალოგიური აშენდება, მოსახლეობას პრეტენზია ნამდვილად აღარ ექნება.

– სხვათა შორის, ნორიოს ნაგავსაყრელში თავის დროზე დიდი თანხა ჩაიდო...

– დიახ, ნაგავსაყრელი 84 ჰექტარზე მეტ ტერიტორიას მოიცავს. ვანო, აგიხსნით, მოსახლეობის პროტესტს რაც იწვევს: როცა ნაგავი იმარხება, მიწიდან გაზი ამოდის, რომელსაც სპეციფიკური სუნი აქვს, მაგრამ თუ მისი გადამუშავება მოხდება, სუნიც გაქრება, თორემ თვითონ ნაგავსაყრელი აბსოლუტურად იზოლირებულია და ლპობის შედეგად გამოყოფილი ე.წ. წვენი მძლავრი ფილტრებით, ისე მუშავდება, რომ გერმანელმა სპეციალისტმა, რომელმაც ფილტრები ჩამოიტანა, ეს გადამუშავებული წვენი დალია.

– ახალი ნაგავსაყრელის პროექტი უკვე არსებობს?

– არა. პროექტი რომ გავაკეთოთ და რომელიმე უცხოელ ინვესტორს შევთავაზოთ, ჯერ ის უნდა დავადგინოთ, ჩვენი ნაგავი რა რაოდენობის, ვთქვათ, ქაღალდს, პლასტმასს შეიცავს. საერთოდ, ჩვენი ნაგავი ძალიან ღარიბია!

– ჩვენი სიღარიბე არ გვეყოფა, ნაგავიც ღარიბი რომ არ გვქონდეს?!

– რაც სასარგებლოა, ჩვენთან, ევროპისგან განსხვავებით, ნაგავში არ ხვდება, მაგალითად, შუშა, რკინა. ამიტომაც, ჩვენი ნარჩენები უცხოელი მწარმოებლებისთვის

გაგრძელება მე-15 გვ.

ᲮᲘᲠᲮᲘᲡᲞᲘᲠᲘ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

4-10 მარტი 2015 | № 9 (273) | 15

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲤᲣᲜᲘ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲪᲮᲝᲚᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲮᲔ

ᲛᲔ-14 ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ნაკლებად მიმზიდველია... სხვათა შორის, თბილისში, დღეში, 1200 ტონამდე ნაგავი იყრება.

– ნაგვის ეს რაოდენობა მხოლოდ მოსახლეობაზე „მოდის“ თუ კომპანიებზეც?

– მთლიანად.

– უბნების მიხედვით, ყველაზე ბევრი ნაგავი საიდან გააქვთ?

– ისანი-სამგორიდან – თბილისში ყველაზე გაშლილი ტერიტორიაა.

– რომელი უბნელი ხართ?

– საბურთალოელი.

– დავიჯერო, საბურთალოს ნაგავი არ აქვს?

– შედარებით ნაკლები – საბურთალოს მოსახლეობა რაოდენობით ისანი-სამგორის მოსახლეობასთან ვერ მივა. ყველაზე ცოტა ნაგავი ვაკეშია, უფრო მძიმე კი, – გლდანში.

– ლევან, ევროპაში მე არ ვარ ნამყოფი, თორემ თქვენ მოვლილი გექნებათ და, სადმე გინახავთ, ნაგვის მანქანები შუა ქალაქში შუადღისას რომ „დაჯლიგინებენ“? მძღოლები საცობების ერთ-ერთ მიზეზად სწორედ ამას ასახელებენ...

– (იცინის).

– რა გაცინებთ?

– ვიდრე ამ სამსახურში მოვიდოდი, მეც ვფიქრობდი, რომ ნაგვის მანქანებს ქალაქში შუადღეს არ უნდა ევლოთ, მაგრამ ყველა მიზეზს გეტყვით, რაც ამას განაპირობებს: თბილისში 1100 ლიტრიანი, ანუ დიდი ვერცხლისფერი 12 ათასი ურნაა. ამას ემატება სხვა მოცულობის ურნებიც, რაც საერთო ჯამში, 16 ათასს აღწევს. ჩვენ რომ მოვედით, 150 ნაგავმზიდი დაგვხვდა. თითოეულს ნაგვის განსაზღვრული ტევადობა აქვს. მოკლედ, მანქანები ურნებზე ნაკლებია და მთელი ქალაქი რომ დასუფთავდეს, მუშაობა მთელი დღე გვიწევს.

– კაცო, არ შეგიძლიათ, მანქანების რაოდენობა გაზარდოთ, ან ურნები შეამციროთ?

– ურნების შემცირება არ გამოვა. რაც შეეხება ახალი ნაგავმზიდების შესყიდვას, მარტის ბოლოს, დაახლოებით, 25 მილიონის ტენდერი გამოცხადდება, თუმცა პრობლემა მხოლოდ მანქანა არაა.

– აბა, კიდევ რა არის?

– ყველაზე მთავარი ინფრასტრუქტურაა.

– რას გულისხმობთ?

– ევროპის ნებისმიერ ქვეყანაში ნებისმიერ სუპერმარკეტსა თუ მაღაზიას სპეციალური ადგილი აქვს გამოყოფილი, სადაც ურნები დგას. ჩვენ ნელ-ნელა ვვითარდებით – ბუნკერები დაიკეტა და ურნებზე გადავედით.

– როცა ბუნკერები პირველად დაიკეტა, გახსოვთ, რა ამბავი ატყდა? – „ნაციონალებს“ სულ „ქართველობის წართმევაში“ ადანაშაულებდნენ...

– ახლა შემდეგ ეტაპზე უნდა გადავიდეთ: ურნები ქუჩებიდან სპეციალურად გამოყოფილ ადგილებზე უნდა მოხვდეს, მაგრამ არავის უნდა, ურნა საკუთარ ეზოში შეიტანოს. ურნები ძალიან მალე ივსება და ამიტომ, მათი გატანა ხშირ-ხშირად გვიხდება.

აღმაშენებლის გამზირის მაგალითზე კიდევ ერთ პრობლემას გეტყვით: მეტროსადგურიდან ნინოშვილის ქუჩამდე, დაახლოებით, 500 მეტრია. ამ ტერიტორიაზე 9 ურნამდე დგას, სავაჭრო ობიექტი კი, 85-ია, რასაც მოსახლეობაც ემატება. ძალიან მარტივ შეკითხვას ვსვამ: ნაგავმზიდებმა მხოლოდ ღამე რომ იმუშაონ, წარმოგიდგენიათ, მთელი დღის განმავლობაში აღიშნულ მონაკვეთზე რა მდგომარეობა იქნება?

ყველაფერ ამის ალტერნატივა ისაა, რომ დიდი მოცულობის მიწისქვეშა ბუნკერები გაკეთდეს.

– ეს თქვენი იდეაა?

– დიახ. ვფიქრობ, წლის ბოლომდე რამდენიმე საცდელ მსგავს ბუნკერს გავაკეთებთ.

– ეს რას შეცვლის?

– ნაგავი მიწის ქვეშ ჩავა და შესაბამისად, გატანაც ღამე მოხდება.

– ...თბილისს რამდენი მეეზოვე ემსახურება?

– 2020.

– მეეზოვეობის მსურველები კონკურსს გადიან?

– ვიდრე სამსახურში მივიღებთ, სამდღიან გამოსაცდელ ვადას ვაძლევთ.

– მეეზოვის ანაზღაურება რამდენია?

– ხელზე 400 ლარს იღებს.

– თითო მეეზოვეს რამხელა ტერიტორიის დასუფთავება ევალება?

– ქუჩის დამგველს – 4 ათასი კვ/მ-ის, მეეზოვეს კი, – 6 ათასის.

– ქუჩის დამგველი მეეზოვისგან რითი განსხვავდება?

– ქუჩის დამგველი ტრასაზე მუშაობს და მუშაობასაც ადრე იწყებს, მეეზოვე კი, დროში შეზღუდული არაა.

– დარწმუნებული ვიყავი, თქვენს კაბინეტში წარწერით – „მე ვარ ჩემი ქალაქის მეეზოვე“ სუვენირი მაინც დამხვდებოდა.

– ვფიქრობ, ლოგოს შევცვლით.

– აბა, რას ამბობთ? – მშვენიერი ლოგო და სლოგანია! ესე იგი, თვლით, რომ ყველაფერი „ნაციონალური“ ცუდია?

– ვფიქრობ, ცუდი არც ჩვენი ლოგოა.

– ...ლევან, დაოჯახებული ხართ?

– დიახ. ორი გოგონა მყავს – 9 და 4 წლის.

– ქალიშვილები რომ გაიზრდებიან და მეეზოვე შეუყვარდეთ, რას იზამთ? ისე, მეეზოვედ იმუშავებდით? იცით, ამას რატომ გეკითხებით? – კომუნისტური მენტალიტეტით, მეეზოვე მხოლოდ ქურთი უნდა ყოფილიყო...

– ვთვლი, რომ მე და თითოეული ჩემი თანამშრომელი ერთნაირ რეალობაში უნდა ვცხოვრობდეთ. ამიტომ, ყველასთან თბილი დამოკიდებულება მაქვს. საერთოდ, მთავარია, ადამიანი ადამიანი იყოს და პროფესია გადამწყვეტი არაა!

– ...ოდესმე დაგიგვიათ?

– რა თქმა უნდა.

– გინდათ, ერთხელ, რომელიმე ცენტრალური ქუჩა ერთად დავგავოთ და ამით მათ, ვისაც დაბინძურებისკენ აქვს მიდრეკილება, მაგალითი მივცეთ?

– პრობლემა არაა!

– ლევან, წეღან უნდა მეკითხა და დამავიწყდა: დოტაციის გარდა, „თბილსერვის ჯგუფის“ შემოსავალი რა არის?

– მოსაკრებელი. სხვათა შორის, როცა ნაგვის გადასახადი ელექტროენერგიაზე იყო მიბმული, კომპანიას გაათმაგებული შემოსავალი ჰქონდა. მოსაკრებლის რაოდენობა რომ გავზარდოთ, წეღანაც გითხარით, კომპანიის შემოსავალიც გაიზრდება, მაგრამ მოსახლეობას ვუფრთხილდებით და ვფიქრობთ, შესაძლოა, სხვა საშუალებებით მოვახერხოთ, რომ კომპანია დოტაციაზე აღარ იყოს.

– მოგეხსენებათ, ცოცხების თემა საქართველოში ჯერაც აქტუალურია. ჰოდა, სად ყიდულობთ?

– (იცინის) ტენდერის საფუძველზე, კახეთში... „თბილსერვის ჯგუფს“, წლიდან წლამდე, დაახლოებით, 260 ათასი ცოცხი სჭირდება.

– პერსონალი ცოცხებს ხომ არ იპარავს?

– არა. ორი კვირის განმავლობაში, მეეზოვეს ოთხი ცოცხი ეძლევა.

– ლევან, ცოცხზე ქართული ანდაზა გამახსენდა, ახალი ცოცხი კარგად გვისო. ჩვენ, მოსახლეობამ რითი ვიგრძენით, რომ თბილისის სისუფთავეზე ახალი გუნდი ზრუნავს?

– ადრე გაზონს სხვა სამსახური უვლიდა, ქუჩას – სხვა, ანუ გაზონში ბოთლი რომ ყოფილიყო, მისი აღება არ შეგვეძლო. ჩვენი მოსვლისთანავე ეს საკითხი წამოვწიეთ და სკვერების მოვლა-პატრონობაც უკვე „თბილსერვის ჯგუფს“ ევალება. სხვათა შორის, ბოლო დროს მიწისქვეშა გადასასვლელებს აქტიურად ვასუფთავებთ.

ჩვენი სამსახურის მხრიდან ყველაზე სწორად წამოჭრილ პრობლემად მყარ ნარჩენებს ვთვლი – საქართველოში მყარი ნარჩენების მართვის კომპანია არ არსებობს და ყველა ხევი ასეთი ნარჩენებითაა სავსე. სწორედ ამიტომაცაა ქალაქში მტვერი. ქალაქის მერსა და მთავრობასთან კონსულტაციებით გადაწყდა, რომ თბილისში მყარი ნარჩენების ნაგავსაყრელი აშენდეს, რომელიც მოსახლეობას დაბალ ფასად მოემსახურება.

– მყარი ნარჩენების ნაგავსაყრელი სად აშენდება?

– გლდანში, ერთ-ერთ ხევში ჩავყრით, რომელიც მიწით დაიფარება და ზედ შეიძლება, გამწვანების ზოლი გავაშენოთ. ამით ძალიან ბევრი ხევი დაბინძურებას გადაურჩება.

– „თბილსერვის ჯგუფს“ სადამსჯელო ფუნქციაც აქვს?

– დიახ, ინსპექციის განყოფილებამ, ჯარიმის სახით, 350 ათასზე მეტი გამოწერა.

– კერძო პირები დააჯარიმეთ თუ იურიდიული?

– უფრო იურიდიული, ანუ ისინი, ვისაც საშუალება აქვთ, მაგრამ გარემოს არ უფრთხილდებიან.

– როგორ ფიქრობთ, ნაგავი სახელმწიფოში სახელმწიფოა?

– კი, არის. სხვათა შორის, ბერლუსკონემ კონტის მთავრობა მენაგვეთა ხარჯზე გადააგდო! ჩვენი თუნდაც ერთი დღის უმუშევრობა ქალაქს ძალიან სერიოზულად დაეტყობა.

– ლევან, გულახდილად გეუბნებით: თქვენი შემართება მომწონს. ასე რომ, წარმატებას გისურვებთ!

ესაუბრა ᲕᲐᲜᲝ ᲞᲐᲕᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

7 რთული დღე

რა არის და როგორ უნდა შევცვალოთ საქართველოს მუნდანური რუკა – ასტროლოგ ლია ბარათაშვილის შეფასებები და პროგნოზები

„ზაფხულამდე ძალიან ცუდ დღეში ვიქნებით... ხელისუფლებაში ჩინოვნიკების კასტა მოვა!

სადღაც იქ, ჭეშმარიტებაა

21 დეკემბერს სტალინი, მიხეილ სააკაშვილი და ირაკლი ალასანია დაიბადნენ. ეს ზოგისთვის შეიძლება, ჩვეულებრივი დამთხვევაა, მაგრამ თავისთავად საგულისხმოა, რომ ქართველი ეთნოსის რუკაც, როგორც ასტროლოგი, საქართველოში პირველი ასტროლოგიური სკოლის ხელმძღვანელი ლია ბარათაშვილი ამბობს, ჩვენს წელთ აღრიცხვამდე 299 წლის 21 დეკემბრით თარიღდება, თუმცა ქალბატონი ლია, რომელიც მუნდანური ასტროლოგიისა და ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების პროგნოზირების სპეციალისტია, „ქართულ სიტყვასთან“ საუბრისას მიანიშნებს, რომ 21 დეკემბრის ფატალურობაზე ღრმად არ უფიქრია. სამაგიეროდ, ბევრი საქართველოს მუნდანურ რუკაზე აქვს ნამუშევარი და სრული პასუხისმგებლობით აცხადებს, რომ ვიდრე ეს რუკა არ შეიცვლება, არაფერი გვეშველება. მაინც, რა არის მუნდანური ასტროლოგია, როგორ იბადება და შეიძლება თუ არა სახელმწიფოს ბედისწერის შეცვლა? – „ქართული სიტყვა“ გთავაზობთ ექსკლუზიურ ინტერვიუს ლია ბარათაშვილთან:

– მუნდანური ასტროლოგია დიდი ობიექტების, მაგალითად, სახელმწიფოს, ქალაქის, წარმოების ასტროლოგიაა.

– საქართველოში მუნდანური ასტროლოგიის სპეციალისტი მხოლოდ თქვენ ხართ?

– ამას ვერ ვიტყვი, თუმცა ერთადერთი ვარ, რომელმაც ამ სფეროში ხარისხი დავიცავი. საერთოდ, ასტროლოგიაში ძალიან ბევრი მიმართულებაა და არ შეიძლება, ადამიანი ყველა სფეროში გარკვეული იყოს...

– ზოგი თვლის, რომ ასტროლოგია და წინასწარმეტყველება ერთი და იგივეა. ასეა?

– არა. წინასწარმეტყველება ასტროლოგიური ტერმინოლოგია არაა. მართალია, ასტროლოგიაში პროგნოზირება ხდება, მაგრამ ჩვენ ციკლებზე ვმუშაობთ და გათვლას სპეციალური ფორმულებით ვაკეთებთ.

სხვათა შორის, არსებობს ერთი მომენტი, რომელსაც ადამიანის მაგალითზე აგიხსნით: თითოეული ადამიანის ნატალურ რუკაში სიუჟეტი დევს, ანუ ადამიანს ნიჭი მხოლოდ ერთ კი არა, შეიძლება, რამდენიმე სფეროში ჰქონდეს, მაგრამ ადამიანს თავისუფალი ნება აქვს.

– თავისუფალი ნება სახელმწიფოს არ აქვს?

– მაგისკენ მივდივარ: ადამიანს შეუძლია, თავისუფალი ნება გამოიყენოს. ასტროლოგის მიზანია, რომ ადამიანს თავისი სუსტი და ძლიერი მხარე აჩვენოს. სახელმწიფოს შემთხვევაში კი, ყველაფერი ეს გაცილებით ფატალურია, რადგან ძალიან ძნელია, დიდ ობიექტში რამე შეცვალო და მართო.

– ესე იგი, მცდელობა, რომ ჩვენი სახელმწიფო, უფრო სწორედ, მისი ბედი შეცვალოთ, შეუძლებელია?

– ამას არ ვამბობ, მაგრამ სახელმწიფოს ბედის და რუკის შეცვლა ძალიან რთულია. ადამიანს, ბოლოს და ბოლოს, საცხოვრებელი ქვეყნის შეცვლა შეუძლია, სახელმწიფოს კი, ვერ მოიკიდებ და სხვა გეოგრაფიულ კოორდინატებზე ვერ გადაიტან. სახელმწიფო დიდი ობიექტია, სადაც ხალხის მასა, მთავრობა, ეკონომიკა და სხვა მილიონი მომენტია, რომლის შეცვლაც რთულია.

– ცხოვრება საინტერესო, ჩემი აზრით, სწორედ სირთულის გამოა... ქალბატონო ლიკა, საქართველოს, როგორც იტყვიან, ბედის რუკა სათავეს როდიდან იღებს და რას უწუნებთ?

– 1991 წლის 9 აპრილს, 12 საათსა და 21 წუთზე ხელი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს მოეწერა. სწორედ ამ დროს ახალი ეთნოსი, ან ერი კი არა, ისეთი სახელმწიფო დაიბადა, რომელშიც ვცხოვრობთ და რუკაც სათავეს ამ თარიღიდან იღებს. ეს რუკა აბსოლუტურად მუშაა, ანუ ყველა იმ მოვლენაზე, რომელიც ჩვენს სახელმწიფოში ხდება, რეაგირებს.

– ერთი სიტყვით, ამ რუკითაა განსაზღვრული, როდის რა უნდა მოხდეს?

– დიახ. ყველაფერი სწორად რომ გაიგოთ, ერთ მაგალითს მოვიყვან: სატურნი, რომელიც სახელმწიფოს ცხოვრებაში ძალიან მნიშვნელოვანი პლანეტაა – მთავრობას, კანონსა და ასეთ თემებს განსაზღვრავს, ახლა მშვილდოსანშია გადასული.

– ეს რას ნიშნავს?

– რას და, – ისეთ თემებში, როგორიცაა, მაგალითად, ადამიანის უფლებები, სამართლიანობა, უმაღლესი განათლება, კარგად უნდა ვერკვეოდეთ.

– ქალბატონო ლია, სატურნის მშვილდოსანში ყოფნა რა შუაშია, როცა სამართლიანობის საბაბით ლამის რევოლუცია მოხდა – 2012 წლის ოქტომბერში მთავრობა არჩევნებით შეიცვალა!

– იცით, რა არის? – როცა „ვარდების რევოლუცია“ მოხდა...

– საქართველოს მუნდანური რუკა აჩვენებდა, რომ „ვარდების რევოლუცია“ უნდა მომხდარიყო?

– ამას ვერ ვიტყვი, მაგრამ ვიცოდი, რომ რაღაც შეიცვლებოდა.

– ეს რუკა როდის შეადგინეთ?

– 1994-დან 2000 წლამდე მოსკოვში, კოსმოლოგიისა და ანალიტიკური პროგნოზების უმაღლეს სკოლაში ვსწავლობდი და რუკაც მაშინ შევადგინე... მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ „ვარდების რევოლუცია“ ამ რუკაზე ლამაზად ჯდებოდა: მაშინ სატურნი კირჩხიბში იყო, უფლებების პლანეტა იუპიტერი კი, – ქალწულში. ქალწული ის ხალხია, რომელიც შრომობს. ამიტომაც, მიხეილ სააკაშვილის მოსვლა ისე მოინათლა, როგორც სახალხო მთავრობის მოსვლა.

– სხვათა შორის, „ნაციონალებს“ ასეთი ლოზუნგი ჰქონდათ, მთავრობა ხალხს უსმენსო, ანუ სააკაშვილმა ამ რუკის არსებობა იცოდა?

– არა. ინტუიციური უნარი ყველას აქვს. სხვათა შორის, მეგონა, რომ სააკაშვილს ვინმე ასტროლოგიურ კონსულტაციას უწევდა. შეიძლება, ასეც იყო, არ ვიცი... „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, სატურნიც გადაადგილდა, იუპიტერიც და მოვლენები საკმაოდ ნეგატიურად განვითარდა...

– რუკა იმასაც „ამბობდა“, რომ ვთქვათ, 7 ნოემბერი მოხდებოდა და ხელისუფლება ბიზნესს დაატერორებდა?

– „ნაციონალებს“ შეეძლოთ, პოზიტიურად წასულიყვნენ, მაგრამ მოვლენები ნეგატიური გზით წაიყვანეს.

– ესე იგი, სააკაშვილს ინტუიციამ უმტყუნა?

– ბოლოს, დიახ, უმტყუნა. ამ რუკის პატრონები ძალიან კარგად ვერ ვიცხოვრებთ, მაგრამ თავიდან მხოლოდ სააკაშვილს კი არა, ჩვენც უკეთესი შანსი გვქონდა, რომ ნელ-ნელა განვვითარებულიყავით. პოლიტიკურ შეფასებას არ ვაკეთებ, არც ის ვიცი, შიგნით რა და როგორ მოხდა. ვცდილობ, ობიექტური ვიყო და ვამბობ, სააკაშვილი, უბრალოდ, შეცდა.

– ქალბატონო ლია, ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების პროგნოზირების სწავლული სპეციალისტი ხართ. შესაბამისად, შეფასება თქვენი პირდაპირი მოვალეობაა...

– კი ბატონო, მაგრამ ჩემი პოლიტიკური სიმპათია და ანტიპათია სხვა საქმეა... მოკლედ, „ნაცმოძრაობამ“ ძალიან სერიოზული შეცდომები დაუშვა და ის, რაც მოხდა, ამიტომაც მოხდა. იმ მომენტში, როცა სატურნი მორიელის საზღვარზე იყო, ბიძინა ივანიშვილი მოვიდა. საერთოდ, მორიელი დიდ ფინანსურ სტრუქტურებს ნიშნავს...

– ქართულ პოლიტიკაში დიდი ფინანსური სტრუქტურის წარმომადგენლის შემოსვლის მცდელობა 2007 წელსაც იყო – ან განსვენებულ ბადრი პატარკაციშვილს ვგულისხმობ. მაშინაც სატურნი მორიელის საზღვარზე იმყოფებოდა?

– მაშინ მორიელის თემა არ არსებობდა და ცხადი იყო, რომ პატარკაციშვილი პოლიტიკაში ვერ შემოვიდოდა.

– სიცოცხლე ფატალურად ამიტომაც დაამთავრა?

– იმაზე, თუ სიცოცხლე ფატალურად რატომ დაამთავრა, საქართველოს კი არა, პატარკაციშვილის რუკის მიხედვით უნდა ვილაპარაკოთ, თუმცა პატარკაციშვილის რუკაზე არ მიმუშავია.

– მოკლედ, დადგა 2012 წელი და სატურნი მორიელის საზღვარს მიუახლოვდა...

– საზღვრის ხაზი ძალიან აქტიურია და ამ დროს ყოველთვის რაღაც მნიშვნელოვანი ხდება...

– ელოდით, რომ საქართველოს სათავეში მსხვილი ფინანსური სტრუქტურის წარმომადგენელი მოვიდოდა?

– აქ ორი ვარიანტი არსებობდა: სატურნი მორიელში ძალიან მძიმე თემაა და ეს რომ არ მომხდარიყო, სიტუაცია, შეიძლება, სხვანაირად დამძიმებულიყო.

– მაინც, როგორ?

– სახელმწიფო კონცლაგერად გადაიქცეოდა!

– სხვათა შორის, ქართულ პოლიტიკაში კიდევ ერთი მსხვილი ფინანსური უწყების წარმომადგენელი – ლევან ვასაძე აქტიურობს, მაშასადამე, სატურნი ისევ მორიელის საზღვართანაა?

– სატურნი უკვე მშვილდოსანშია.

– ფულიანების დრო მთავრდება?

– ფულიანები ჩვენს ცხოვრებაში უკვე შემოვიდნენ... საერთოდ, მორიელს ფარული რაღაცები ახასიათებს.

– კულუარებიდან მართვაც?

– დიახ...

– ქალბატონო ლია, საქართველოს მუნდანური რუკა რას ამბობს, რა გველის?

– საერთოდ, ამ სახელმწიფოს დაბადების დღიდან, ძალიან ცუდ დღეში ვართ და რეალური ბერკეტი არ არსებობს, რომ რამე შევცვალოთ. ყოველ შემთხვევაში, ამ ბერკეტს ვერ ვხედავ.

– იმის თქმა გინდათ, რომ ლარი „გაფრინდება“, ცხოვრება „ოთუზბირი“ გახდება და დავიღუპებით?

– არ ვიცი, ლარის „გაფრენაში“ რას გულისხმობთ, მაგრამ ზაფხულამდე ძალიან ცუდ დღეში ვიქნებით... ამ პროცესის გაჩერება ძალიან რთულია...

– იმას, რომ ცუდ დღეში ვართ, ვარსკვლავებისა და პლანეტების გარეშეც ვგრძნობთ. სოციალურ უკმაყოფილებას, ან ვადამდელ არჩევნებს პროგნოზირებთ?

– (დუმს) ვადამდელი არჩევნები არ მგონია... იცით, რა არის?! – ზაფხულამდე სულ რამდენიმე თვეა დარჩენილი და ყველაფერს გავუძლებთ...

– მინისტრთა კაბინეტის შეცვლაზე რას იტყვით?

– ვიდრე სატურნი მშვილდოსანშია, – არ შეიცვლება.

– სატურნი მშვილდოსნიდან როდის და სად გადადის?

– ჯერ ახლა შევიდა და წელიწადნახევარი მშვილდოსანში იქნება... შეიძლება, ცალკეული მინისტრები შეიცვალონ, მაგრამ მთლიანი კაბინეტი არ შეიცვლება!

– თქვენს მიერ გაკეთებულ რუკაზე ნატო ჩანს?

– ჯერ ერთი, ეს ჩემი მოგონილი რუკა არაა და ყველა ასტროლოგისთვის ცნობილია. მეორეც, ნატო ჯერჯერობით არ ჩანს...

– ერთი წინასწარმეტყველი ამბობს, საქართველოში ლამის ნატო-ს შტაბ-ბინას ვხედავო. ქალბატონო ლია, არ გეწყინოთ და, ამ წინასწარმეტყველების უფრო მჯერა...

– თქვენი ნებაა, ვისაც გინდათ, იმას დაუჯერებთ, მაგრამ ამ რუკის მიხედვით, საქართველოზე რუსეთის გავლენა უზარმაზარია.

– როდემდე?

– ყოველთვის იყო და იქნება... ვერ ვხედავთ, რეალურად ეს როგორი გავლენაა. რუსი ხალხისა და რუსული კულტურის წინააღმდეგი არ ვარ, არც რადიკალური ნაციონალიზმი მახასიათებს, მაგრამ ამ რუკის მიხედვით, რუსეთს არ აწყობს, რომ საქართველო დალაგებული და ეკონომიურად ძლიერი სახელმწიფო იყოს.

– საქართველოს მუნდანური რუკა როდის სრულდება?

– ეს რუკა მანამ იქნება, ვიდრე არ შევცვლით. საერთოდ...

– ქალბატონო ლია, ამბობთ, რომ ამ რუკიდან გამომდინარე, საქართველოში მუდმივი სიდუხჭირე იქნება და ხალხი ვერ გამდიდრდება...

– ამ რუკის ცენტრალური თემა სწორედ ისაა, რომ ხალხი ვერ მდიდრდება.

– სამაგიეროდ, ფულს რაღაც კასტა შოულობს, არა?

– დიახ, მაგრამ კასტა საქართველოს მთელი მოსახლეობა არაა. ვანო, ამ რუკის მიხედვით და, საერთოდაც, ჩვენს მოსახლეობას მოთმენა მაქსიმალურად შეუძლია. ეს ეთნოსის რუკაზეც კარგად ჩანს.

– ეთნოსის რუკა მუნდანურისგან განსხვავდება?

– რა თქმა უნდა... მართალია, მოთმენის დიდი უნარი გვაქვს, მაგრამ ამ დაბადების რუკაში ძალიან დიდი დისბალანსია. იცით, როგორი სიტუაციაა? – შეიძლება, ცოტა გაიწიო, კიდევ – ცოტა, მაგრამ ამის იქით ვეღარ წახვალ, რადგან კედელია და ყველაფერ ამაზე უდიდესი გავლენა რუსეთს აქვს. მეტიც, რუსეთს გავლენა საქართველოს აბსოლუტურად ყველა მთავრობაზე ჰქონდა და ექნება.

– კრემლს გავლენა იმ მთავრობაზეც ჰქონდა, რომლის დროსაც საქართველოს მუნდანური რუკა დაიბადა?

– დიახ.

– რუსული გავლენა პრეზიდენტებზეც ვრცელდება?

– ვრცელდება...

– ზოგმა შეიძლება, თქვენზეც თქვას, რუსული გავლენის ქვეშააო, მით უმეტეს, ისეთი ტიპის სასწავლებლები, რომელიც

გაგრძელება მე-17 გვ.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲧᲕᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

4-10 მარტი 2015

№ 9 (273)

17

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲧᲕᲐ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲬᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

სადღაც იქ, ჭეშმარიტებაა

მე-16 გვერდიდან

დაამთავრეთ, სპეცსამსახურების ინტერესისგან თავისუფალი არ არიან ხოლმე...

– სპეცსამსახურებისგან შეთავაზება არასოდეს მქონია... საერთოდ, ასტროლოგია ობიექტურობას მოითხოვს. სხვათა შორის, ახლობლებს – შვილს, ქმარს პირად ჰოროსკოპს არ ვუკეთებ, რადგან შეიძლება, ემოციურად დაინტერესებული ვიყო.

– ...ფული ასტროლოგიას არ ანათებს?

– რა გითხრათ?! ასეთ სიტუაციაში არასოდეს ვყოფილვარ... მეცნიერი ვარ, ვზივარ და პლანეტებს, ფორმულებს ვითვლი და მინდა, კარგად ვიცხოვროთ და მუდმივი სტრესის ქვეშ არ ვიყოთ... ვანო, 2007 წლის ბოლოს, 2008 წლის პროგნოზი გავაკეთე და ვთქვი, რომ აგვისტოში ომი იქნებოდა.

– მერე, თქვენი გაფრთხილება ყურად არავინ იღო?

– ეს პროგნოზი ოკულტურ ჟურნალში დაიბეჭდა და შეიძლება, ბევრმა არც ნახა, მაგრამ სიმართლე გითხრათ, იმ პერიოდში შემეშინდა.

– რამ შეგაშინათ?

– როცა პოლიტიკურ პროგნოზს აკეთებ, ჰგონიათ, რომ ეს პირადი ემოციური დამოკიდებულება და შეფასებაა. ახლა კი, აღარაფრის მეშინია – შიშით დავიღალე და სათქმელი უნდა ითქვას!

– თქვით, გისმენთ!

– ვამბობ – ზაფხულამდე არაფერი გვეშველება!

– „ნაციონალები“ დაბრუნდებიან?

– არა. შეიძლება, პარლამენტში იყვნენ, მაგრამ სახელმწიფო სათავეში მესამე ძალა მოვა.

– ვინაა ეს მესამე ძალა?

– ჯერ არ ჩანს...

– ისიც რუსული გავლენის ქვეშ იქნება?

– ამ რუკის მიხედვით, ყველა ძალა პრორუსულია!

– რუსული გავლენა როგორ უნდა დამთავრდეს?

– რუკა უნდა შევცვალოთ!

– როგორ? სხვათა შორის, „ნაციონალები“ ამბობდნენ, რომ ახალი სახელმწიფო 2003 წლის 23 ნოემბერს დაიბადა. გერბიც შევცვალეთ და ჰიმნიც. ეს დაბადება არ იყო?

– დოკუმენტურად, სად დაფიქსირდა, რომ ახალი სახელმწიფო დაიბადა, ან ეს ახალი სახელმწიფო რისი მემკვიდრე იყო?

– ახალი სახელმწიფოს დაბადება ნოტარიუსმა უნდა გააფორმოს თუ იუსტიციის სახლმა?

– როცა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა მოხდა, ეს დოკუმენტურად დაფიქსირდა – დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი მიიღეს და ისიც ითქვა, რომ ეს ახალი სახელმწიფო 1918-1921 წლის რესპუბლიკის მემკვიდრეა. 2003 წლის 23 ნოემბერს კი რა დაფიქსირდა?

– ხომ გითხარით? – გერბი და ჰიმნი შეიცვალა...

– მერე რა?! რუკა რევოლუციის მომენტზეც მაქვს აგებული, სააკაშვილის ინაუგურაციაზე და დროშა-ჰიმნის შეცვლაზეც, მაგრამ ეს რუკები არ მუშაობს, ანუ ცენტრალურ მოვლენებზე არ რეაგირებენ და მთლიანი სახელმწიფოს ცხოვრებას არ ასახავენ.

– 2030 წელს ახალი ქართული სახელმწიფო დაიბადება?

– ასეთი ხანგრძლივი პროგნოზი არ გამიკეთებია...

ისე, ხელისუფლებაში ჩინოვნიკების ის კასტა მოვა, რომელმაც საქმე იცის, მუშაობის გამოცდილებაც აქვს და სუფთაცაა.

– სხვათა შორის, რევოლუციამდელი მინისტრები, როგორც ვიცი, პარტიის შექმნას აპირებენ...

– შეიძლება...

– ზემოხსენებული რუკა უკრაინის ხელისუფლებაში „ნაციონალების“ დანიშვნასაც მოიცავს?

– არა, ეს მხოლოდ საქართველოს რუკაა...

– ანალოგიური რუკა დავით აღმაშენებლისა და თამარის დროსაც არსებობდა?

– არსებობს ჩვენს წელთ აღრიცხვამდე 299 წლის 21 დეკემბრით დათარიღებული ეთნოსის რუკა, რომელიც იცით, როგორი სიცოცხლისუნარიანია? – რაც უნდა მოხდეს, ეთნოსი იარსებებს.

– ქართული ეთნოსი მომავალშიც ამ გეოგრაფიულ პარამეტრებზე იცხოვრებს?

– რა თქმა უნდა...

– შიმშილი გვემუქრება?

– კი... ხალხს ფული არ აქვს და ეს შიმშილი არაა?

– რომ შემოგთავაზოთ, მთავრობისთვის იმუშავებთ?

– დიახ, ვიმუშავებ, თუმცა ჯგუფი უნდა შეიქმნას, სადაც მსოფლიოში წამყვან ასტროლოგებსაც მოიწვევენ, რადგან ყველაფერს ჩემს თავზე ვერ ავიღებ.

– ესე იგი, ქალბატონო ლია, ხელთ საქართველოს გადარჩენის გასაღები გაქვთ?

– დედამიწაზე, ზეციურის გარდა, მიწიერი კანონებიც არსებობს, მაგრამ თუკი საქართველოს მუნდანური რუკა შევცვალეთ, ისე საშინლად, როგორც ვცხოვრობთ, აღარ ვიცხოვრებთ! სხვათა შორის, თავის დროზე ყველა წამყვანი ქვეყნის რუკა შევისწავლე და სრული პასუხისმგებლობით ვამბობ: ასეთი საშინელი რუკა ჩვენ და, სიდუხჭირის კუთხით, რუსებს გვაქვს. ეს შემთხვევითი არაა. მოკლედ, თუკი სახელმწიფო მზად იქნება, ამ რუკის შეცვლა შეიძლება და თუ „ზევით“ ოკულტიზმში ვინმე ერკვევა, მიხვდება, რასაც ვამბობ...

P.S. **დღეიდან, „ქართული სიტყვა“, ყოველ ოთხშაბათს, „ასტროლოგიურ-ეზოთერულ ცენტრთან“ ერთად, საინტერესო მიმოხილვას შემოგთავაზებთ. შემდეგ ნომერში ჩვენი სტუმარი ამ ცენტრის დამფუძნებელი თორნიკე ბიძინაშვილი იქნება.**

ვანო პავლიაშვილი

RESS აფთიაქი

ჯანჯაფილის დიეტა

მსოფლიოს ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა სიმსუქნეა, რასაც ადამიანები სხვადასხვანაირად ებრძვიან. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტუალური „მოდური დიეტებია“, თუმცა შედეგს ზოგი აღწევს,ზოგი – ვერა, ზოგი კი, დიეტის წყალობით, სიმსუქნესთან ერთად, ახალი პრობლემის წინაშეც დგება – ორგანიზმს იზიანებს. ეს კი იმის ბრალია, რომ ყველა დიეტა ინდივიდუალურია... საქართველოში ჭარბ წონასთან საბრძოლველად ერთობ აქტუალურია სამხრეთ ინდოეთიდან შემოსული მცენარე ჯანჯაფილი, იგივე იმბირი და ჯინჯერი, რომლის სამკურნალო თვისებებზეც ბევრმა იცის... რა სასარგებლო თვისებები აქვს, ვისთვისაა რეკომენდებული და რა სახით უნდა მივიღოთ ჯანჯაფილი? „ქართული სიტყვა“ საქართველოს ჰომეოპათიის აკადემიის პრეზიდენტს, ევროკავშირის ექსპერტს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორ თინათინ თოფურიას ესაუბრა:

„ყველა წამალი შხამია და ყველა შხამი შეიძლება, წამალი იყოს, მთავარი სწორი დოზირებაა!“ – ჰომეოპათ თინა თოფურიას რჩევები

– ჭარბი წონა კაცობრიობის ერთ-ერთი უსერიოზულესი პრობლემაა, რასაც ბევრი მიზეზი აქვს. სიმსუქნეს, როგორც წესი, არასწორ კვებას უკავშირებენ და ათასგვარი დიეტით ებრძვიან. კვება, რა თქმა უნდა, ერთ-ერთი, მაგრამ არა ერთადერთი ძირითადი მიზეზია. არანაკლებ მნიშვნელოვანია ჰიპოდინამია, ანუ უმოძრაობა, რაც სხეულის ზოგად მოდუნებას იწვევს; ჰაერზე ნაკლებად ყოფნა ორგანიზმში ჟანგბადის ნაკლებობის და ამის შედეგად ნივთიერებათა ცვლის პროცესების შენელების მიზეზია; სტრესი, რომლისაგან თავდაცვასაც ორგანიზმი სხეულის მასის მომატებით ცდილობს და ბოლოს, ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი არასტაბილური გარემოა, რომელიც წარმოქმნის დაუცველობის შეგრძნებასა და ხვალინდელი დღის შიშს. ყველა ეს თემა სერიოზული ანალიზისა და ცალკე განხილვის საგანია, თუმცა მოდით, დღეს მხოლოდ კვებას შევეხოთ.

– ქალბატონო თინა, არასწორი კვება რა არის? მნიშვნელობა მხოლოდ იმას აქვს რას ვჭამთ, თუ იმასაც, სად, როდის, როგორ და ვისთან ერთად ვჭამთ?

– ქუჩაში ჭამა ნორმად იქცა, რამაც, სამწუხაროდ, ოჯახის ტრაპეზობის ტრადიცია შეცვალა. სწრაფი კვების ობიექტებში მხოლოდ დანაყრება და კალორიების მიღება ხდება, ასეთი საჭმლის კვებითი და ენერგეტიკული ღირებულება ძალიან დაბალია. სულ სხვაა, როცა ოჯახის წევრები სუფრასთან ერთად იკრიბებიან და დიასახლისის მიერ საყვარელი ადამიანებისთვის მომზადებულ კერძს მიირთმევენ, რომელშიც მთელი გულია ჩადებული. შესაბამისად, ასეთ კერძს მაღალი ენერგეტიკული ღირებულება აქვს. საჭმელი ახალი და იმ პროდუქტებისგან უნდა იყოს მომზადებული, რომლებიც სეზონურია.

ბევრნაირი დიეტა შევისწავლე – დაწყებული თანამედროვედან, დამთავრებული უძველესით (ჩინური, ტიბეტური...) და დავრწმუნდი, რომ უნივერსალური დიეტა არ არსებობს. მთავარი სწორი კვებაა. ყველა ერს აქვს სწორი კვების ტრადიცია, რომელიც საუკუნეებითაა გამოცდილი და რომელშიც გათვალისწინებულია, როგორც რეგიონის ეკოლოგია, ასევე, ერის გენეტიკური თავისებურებანი. ქართული სამზარეულო გასაოცარი მხოლოდ თავისი მრავალფეროვნებით კი არა, იმითაცაა, თუ როგორ სწორად არის ყველაფერი შერწყმული და დაბალანსებული. რატომღაც გვგონია, კვების რაციონი ან წამალი რაც უფრო ეგზოტიკურია, მისი გამოყენება მით უფრო შედეგიანი იქნება, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ყველაფერი, რაც საკვებად, ან სამკურნალოდ გვჭირდება, ჩვენს გარშემოა.

– რას იტყვით ჯანჯაფილზე, რომელსაც ჯინჯერს და იმბირსაც ეძახიან? ეს მცენარე რითია გამორჩეული და გახდომაში მართლა გვეხმარება?

– ჯინჯერი ძალიან სერიოზული წამალია და დიდი ხანია ვიყენებ – ჩემი ბევრი წამლის შემადგენლობაში შედის.

ჯანჯაფილი ეფექტური მასტიმულირებელი საშუალებაა, რომელიც შეიცავს ვიტამინებს, ასევე, მრავალ საჭირო და საკმაოდ იშვიათ მიკროელემენტს. აქვს ბევრი სამკურნალო თვისება, მათ შორის, ანტივირუსული და ანტიმიკრობული. ხელს უწყობს კალორიების წვას. აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას და კუჭ-ნაწლავის მოქმედებას – ნაწლავები ტონუსში მოჰყავს, ხსნის სპაზმებს. სწორედ ამის ხარჯზე მოიპოვა გასახდომი საშუალების რეპუტაცია – ორგანიზმიდან ქოლესტერინს გამოდევნის; კარგი ანტიოქსიდანტია, ტკივილგამაყუჩებელი ეფექტიც აქვს. აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას, ორგანიზმს სიმხურვალეს მატებს. შველის ღებინებასა და გულის რევას. სხვათა შორის, ადრე ეს მცენარე მეზღვაურებს გემზე მიჰქონდათ და ზღვის ავადმყოფობის დროს იყენებდნენ.

ჯინჯერი, ასევე, უხდება ასთმას, შაკიკს. გამოიყენება გრიპის, ხველის, ასტენიური სინდრომის – ზოგადი სისუსტის, ანთებების, აპათიის, დეპრესიისა და უგუნებობის დროსაც. კუნთებისა და სახსრების ტკივილისას, აჩქარებს დაბეჟილობებისა და სისხლჩაქცევების გაწოვას. გამოიყენება ვარიკოზული დაავადებებისას და ამაგრებს სისხლ-ძარღვების კედლებს.

– ჯინჯერის მიღება ყველას შეუძლია?

– ჯინჯერი, იგივე ჯანჯაფილი წამალია და ასეთი საშუალებების საჭიროების გარეშე გამოყენების მომხრე არ ვარ, მით უმეტეს, დიდი ხნის განმავლობაში. ჯინჯერი შეიძლება, ერთს მოუხდეს, მეორეს კი, – აწყინოს. არსებობს მთელი რიგი დაავადებები, როცა მისი გამოყენება სასურველი არაა ან, სულაც, არ შეიძლება. ასეთებია: ინფარქტის და ინსულტის შემდგომი მდგომარეობა; ჰიპერტონია; კუჭის, ან 12 გოჯა ნაწლავის წყლული, ეროზიული გასტრიტი, წყლულოვანი კოლიტი, ბუასილი, ღვიძლის დაავადება, კენჭები ნაღვლის ბუშტში. ასევე, მათთვისაა საფრთხილო, ვინც სისხლდენებისკენაა მიდრეკილი.

ჯინჯერი წნევის ამწევია. ამიტომ მაღალწნევიანმა ადამიანებმა, ან არ უნდა მიიღონ, ან მიიღონ ფრთხილად. აქ განსაკუთრებით მათზეა ლაპარაკი, ვისაც სტენტირება აქვს გაკეთებული და სისხლის გამათხელებლებს იღებენ. აგრეთვე, არ შეიძლება ჯინჯერის გამოყენება ანტიარითმიულ წამლებთან ერთად და არც მაშინ, თუ ადამიანს გრიპი და მაღალი სიცხე აქვს, რადგან ჯინჯერი გამახურებელი საშუალებაა და სიცხე შეიძლება, კიდევ აეწიოს.

ჯინჯერს ხშირად იყენებენ ორსულების ტოქსიკოზის დროს და აქაც განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო, განსაკუთრებით, ორსულობის მეორე ნახევარში, რადგან გულის რევას კი ხსნის, მაგრამ აძლიერებს საშვილოსნოს ტონუსს და შეიძლება, ნაადრევი მშობიარობა გამოიწვიოს.

ერთი სიტყვით, ჯანჯაფილი ფრთხილად და დაკვირვებით უნდა მივიღოთ, რათა სასურველი შედეგი მოგვცეს და არ გვავნოს.

– რა სახითაა ჯანჯაფილის მიღება რეკომენდებული?

– გახეხილ, ცოცხალ ფესვს ამატებენ სალათებში, ან ასხამენ მდუღარეს და იღებენ ჩაის სახით. გამხმარი ფესვისგან ცნობილი სანელებელი მზადდება. ჩვენში ყველაზე პოპულარული თაფლითა და ლიმონით შეზავებული ჯანჯაფილის ჩაია. რომელსაც გასახდომ საშუალებად იყენებენ.

სხვათა შორის, ჯინჯერს ჭიების სამკურნალოდაც ვიყენებ. მძაფრი გემოს გასანეიტრალებლად კი, პაციენტებს ვურჩევ, დაამატონ ვაშლი, მწვანე სალათა, ან სტაფილო და ნიახური.

– ჯინჯერის მიღება დღეში რამდენჯერ და რამდენი ხნის განმავლობაში შეიძლება?

– ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობაა. ზოგ დიეტაში ამ ჩაის მიღება დღეში 5-6-ჯერაა რეკომენდირებული, რაც არასწორად მიმაჩნია. ყველაფერში ზომიერებაა საჭირო. უნდა გვახსოვდეს, რომ ყველა წამალი შხამია და ყველა შხამი შეიძლება, წამალი იყოს. მთავარი სწორი დოზირებაა! ჯინჯერის მიღება არ შეიძლება ძილის წინ, რადგან ის, როგორც ყველა სტიმულატორი, იწვევს აღგზნებას, ფორიაქს და ძილის მოშლას. ამიტომ ჩაის პირველი მიღება დილასაა უმჯობესი, მეორე კი, – არაუგვიანეს 6 საათისა. სალათის მიღება საკმარისია დღეში ერთხელ, სადილზე.

რაც შეეხება ხანგრძლივობას, მე 2-3 კვირაზე მეტ ხანს ვნიშნავ. ერთმანეთს სხვადასხვა საშუალებებს ვუნაცვლებ, რადგან ხანგრძლივი მიღებისას ყველაზე უწყინარსაც კი, შეიძლება, გვერდითი მოვლენები განუვითარდეს. ჩვენს გარშემო არსებობს რამოდენიმე სხვა საშუალებაც, უფრო იაფი და უსაფრთხო, რომელზეც შემდგომში ვისაუბროთ.

ესაუბრა ბექა ღიბრაძე

18 | № 9 (273) | 4-10 მარტი 2015

ეროვნული ოტუჯა

ლიტერატურა. ზელოჭნეება. პოლიტიკა

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

საინფორმაციო მხარდაჭერა

თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

1 3 5

საბაკალავრო პროგრამები

- სამართალმცოდნეობა
- ჟურნალისტიკა
- ბიზნესის ადმინისტრირება
- ტურიზმი
- ინგლისური ფილოლოგია
- აგროინჟინერია
- საერთაშორისო ურთიერთობები
- საჯარო მმართველობა
- სასურსათო ტექნოლოგიები

საბაკალავრო პროგრამების არჩევითი მოდულები

- მენეჯმენტი
- ფინანსები
- საბუღალტრო აღრიცხვა
- ტურიზმი
- ჰიდრომელიორაცია
- სს მექანიზაცია
- სს ელექტროფიკაცია

ინგლისური ფილოლოგიისა და სასურსათო ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამებზე *სტუდენტს შეუძლია, აირჩიოს დამატებითი სპეციალობა 60 კრედიტის ფარგლებში (minor ბიზნესის ადმინისტრირებაში, ან ტურიზმში)*

სამაგისტრო პროგრამები

- მენეჯმენტი
- ფინანსები
- ტურიზმი
- სადაზღვევო საქმე
- სურსათის უვნებლობა
- მეცხოველეობის პროდუქტებისა და ნედლეულის საქონელმცოდნეობა

მოდულის არჩევითი კურსები – 60 ECTS კრედიტი, ან დამატებითი სპეციალობები (*minor*) – 60 ECTS კრედიტი.

შეთავაზებული დამატებითი პროგრამებიდან სტუდენტს შეუძლია, აირჩიოს აგრარული მიმართულები:

- **სურსათის ტექნოლოგია** – Food Technology - **0104**
- **მეცხოველეობის პროდუქციის ნედლეულის წარმოება და პირველადი დამუშავება** – Production and primary processing of raw animal products – **0103)**
- **ან სხვა სპეციალობის** *minor*

წლიური გადასახადი 2250 ლარი

მის.: ეგ. ნინოშვილის №55; mail: tbuniver.edu@gmail.com;
ტელ.: 296-01-04; 296-01-90; 296-90-33
www.tbuniver.edu.ge; acebook: თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი (ოფიციალური გვერდი)

შერონ სტოუნი, ორნელა მუტი და რობერტ დე ნირო თაღლითობაში არიან მხილებულნი

დღე-დღეზე სახელგანთქმული ჰოლივუდელი შერონ სტოუნი, რომელიც მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს საქართველოსაც სტუმრობდა, შესაძლოა, სასამართლოს წინაშე წარსდგეს.

საქმე ისაა, რომ ყავლაგასულ ვარსკვლავს ერთ-ერთი პიარ-სააგენტო თანხის მითვისებაში ადანაშაულებს, ანუ სააგენტომ ეკვადორში ღონისძიება გამართა, რომელშიც მონაწილეობა შერონსაც უნდა მიეღო. მართალია, აქტრისამ გასამრჯელო აიღო, მაგრამ ეკვადორში არ ჩავიდა.

შერონი ბრალდებას ჯერ არ გამოხმაურებია, თუმცა სავსებით შესაძლებელია, რომ ჰოლივუდელის ბიუჯეტი მალე 352 ათასი დოლარით შემცირდეს — პიარ-სააგენტო სტოუნს სწორედ ამ თანხას ედავება.

გარკვეული სამართლებლივი პრობლემები სახელგანთქმულ რობერტ დე ნიროსაც აქვს — აშშ-ის საგადასახადო სამსახური ირწმუნება, რომ ორგზის „ოსკაროსანმა“ ბიუჯეტს 6,4 მილიონი დოლარი დაუმალა და ამიტომაც, მის ერთ-ერთ სახლს, რომელიც ნიუ იორკში მდებარეობს, ყადაღა უნდა დაედოს.

„რობერტმა გადასახადი 26 თებერვალს დაფარა“, — თავს იმართლებენ 71 წლის ვარსკვლავის წარმომადგენლები და აქცენტს გაუგებრობაზე აკეთებენ.

ცნობისთვის: რობერტ დე ნირო რესტორნებისა და სხვა უძრავი ქონების მფლობელია, რაც, საერთო ჯამში, 200 მილიონადაა შეფასებული.

კიდევ ერთი ვარსკვლავი, რომელიც თაღლითობაშია შემჩნეული, იტალიელი ორნელა მუტი გახლავთ, რომელსაც საპატიმროში 8 თვის გატარება და, ამასთან, ჯარიმის სახით, 600 ევროს გადახდა მოუწევს.

ორნელამაც, როგორც ირკვევა, შერონივით ითაღლითა: 2010 წელს სპექტაკლზე, სადაც მთავარი როლი უნდა შეესრულებინა, არ მივიდა და, ჯარიმისგან თავი რომ დაეღწია, თეატრის ხელმძღვანელობას ყალბი სამედიცინო ცნობა წარუდგინა, ლარინგოტრაქეიტის შეტევა მქონდაო. სინამდვილეში კი, ორნელა რუსეთში, ვლადიმერ პუტინთან ერთად, საქველმოქმედო ვახშამზე იმყოფებოდა.

მსახიობმა, საპატიმროსთვის თავი რომ დაეღწია, 30 000 ევრო უკვე გადაიხადა.

მადონამ კისერი მოიტეხა

მსოფლიო პოპმუსიკის „დივას“ სკანდალები არ აკლია. ამჯერად კი, მადონამ — არც მეტი, არც ნაკლები — კისერი მოიტეხა. ინციდენტი „ბრიტიშ ავარდსის“ დაჯილდოვების ცერემონიაზე მაშინ მოხდა, როცა მომღერალი სცენაზე ადიოდა.

„კეფით დავეცი და კისერი დავიზიანე, სამ საათს თავზე დამყურებდნენ, რათა დარწმუნებულიყვნენ, სრულ ჭკუაზე ვიყავი თუ არა. ორი ვარიანტი მქონდა: ან უნდა გავგუდულიყავი, ან წავქცეულიყავი, მე მეორე ავირჩიე“, — ამბობს მადონა, რომელიც წაქცევის მიზეზად მანტიის ზონარს ასახელებს, რომელიც ყელზე მჭიდროდ ჰქონდა გაჭერილი.

ისე, ამბობენ, რომ კისრის მოტეხვა მადონას მორიგი პიარ-ტრიუკია და მეტი არაფერი.

მარგარეტ ტეტჩერის ოცი მცნება

მარგარეტ ტეტჩერი პირველი ქალი იყო, რომელმაც მონარქიულ ბრიტანეთში პრემიერის პოსტი დაიკავა. ამ თანამდებობაზე ის 11 წელი მუშაობდა და ამ ხნის განმავლობაში მსოფლიო პოლიტიკაში გადამწყვეტი სიტყვა არაერთხელ თქვა. ასე, მაგალითად, მარგარეტი რომ არა, ე.წ. ცივი ომი, ალბათ, არ დამთავრდებოდა. სხვათა შორის, ტეტჩერს „რკინის ლედი“ საბჭოთა ჟურნალისტებმა შეარქვეს.

ამბობენ, რომ მარგარეტმა წარმატებას იმ ოცი მცნებით მიაღწია, რომელსაც არასოდეს ღალატობდა.

ეს მცნებებია:

1. თუ რამის განხილვა გსურთ, მიმართეთ კაცს, თუ რამის გაკეთება — ქალს.
2. დაიმახსოვრეთ: უხასიათო ქალზე ამბობენ, უზრდელიაო, კაცზე კი, — კარგი ბიჭიაო.
3. უაზრობაა, სავარძელში ჩასვენებული საბრალო და რბილი სუბსტანცია იყო.
4. მამალი შეიძლება კარგად ყივის, მაგრამ კვერცხებს დედალი დებს.
5. ჩემმა კრიტიკოსებმა რომ ნახონ, თუ როგორ გადავდივარ ტემზაზე ფეხით, იტყვიან, ამას იმიტომ აკეთებს, რომ ცურვა არ იცისო.
6. უფასო ყველი მხოლოდ სათაგურშია.
7. თავაზიანობა ძალიან ძვირად ფასობს, თავხედობას კი, ფასი არ აქვს.
8. ნებისმიერ ქალს, რომელიც ოჯახის მეურნეობაში კარგადაა გარკვეული, ქვეყნის მართვაც შეუძლია.
9. დღეს ქალებისთვის თავის გამოჩენის უამრავი საშუალება არსებობს, ზოგი ჩვენგანი ქვეყნებსაც მართავს, მაგრამ სიმართლე რომ ითქვას, შუბზე მეტად „რედიკული“ გვიხდება.
10. გინდა ყელი გამოიჭრა? — არ მოხვიდე ჩემთან ჭრილობის შესახვევად
11. მხოლოდ კეთილი ზრახვები რომ ჰქონოდა, „კეთილი სამარიტელი“ არავის გაახსენდებოდა. მას ფულიც ჰქონდა.
12. ნებისმიერი ჩვენგანი ოდესმე ბებია გახდება.
13. სახლი ქალისთვის ცენტრი უნდა იყოს და არა — საზღვარი.
14. თანამოსაუბრეს, მასთან საერთო ენა რომ გამონახო, აუცილებელი არაა, ყველაფერში დაეთანხმო.
15. ჩვენი ფიქრების 90% იმას ეხება, რაც არასდროს მოხდება.
16. ჩემს პიროვნებაზე თავდასხმები მხოლოდ მახარებს — ეს იმას ნიშნავს, რომ მოწინააღმდეგეს პოლიტიკური არგუმენტები აღარ დარჩა.
17. კარგად შეისწავლე შენი მტერი და ერთ დღეს შეიძლება, ის მეგობარიც გახდეს.
18. ქვეყნის სიმდიდრისთვის საკუთარი ბუნებრივი რესურსების ქონა აუცილებელი არაა. ქვეყნის მთავარი რესურსი ადამიანია. სახელმწიფომ ხალხის ნიჭის განვითარებისთვის, უბრალოდ, ნიადაგი უნდა შექმნას.
19. ეკონომიკური თავისუფლების გარეშე, ყველა სხვა თავისუფლება მიუღწევადია.
20. იყო უძლიერესი — ეს იგივეა, იყო ნამდვილი ლედი.

„აიფონის“ სკანდალი ბუდისტურ ტაძარში

ჩინეთში, გუანდუნის პროვინციაში მდებარე ბუდისტურ ტაძარში, 31 წლის ჩინელმა ცუნ ჩუმ შესაწირ ყუთში, ფულის ნაცვლად, სმარტფონი ჩააგდო, მაგრამ ბერებმა ნივთი მაშინვე უკან დაუბრუნეს და განუმარტეს, რომ ტაძრის სარემონტო სამუშაოებისთვის ტელეფონი კი არა, ფული სჭირდებათ.

„ტელეფონის გამოყენება არ ვიციით“, — გამოტყდნენ ბუდისტი ბერები.

მას შემდეგ, რაც ეს ამბავი გახმაურდა, ითქვა, რომ ჩინელმა ბერებს დასცინა, თუმცა ცუნი ამბობს, რომ ბერების დაცინვა აზრადაც არ მოსვლია.

სხვათა შორის, ჩინეთში „აიფონ 6“ 970 დოლარამდე ღირს.

დეგრადაცია

კიევ-კიევ დარბიხარ და
ტანზეც მედგრად გაცვია,
შენს „ნაცობას“ და ანცობას
ჰქვია დეგრადაცია.

ალავერდი

თქვენთანა ვარ ალავერდი,
ყანწი ღვინით ავავსე,
რუსეთიდან გადავედით
ამერიკის ბალანსზე.

უსახელო

ადრე ჩვენთან მუშაობდა
ამერიკის რეზიდენტად,
ახლა, მალე აირჩევენ
უკრაინის პრეზიდენტად.
საქართველოს პასპორტს დახევს,
ჩვენთვის წვიმს და ჩვენთვის თოვს,
მე არ ვიტყვი გვარს და სახელს,
მოდით, ჰკითხეთ მეჩითოვს.

მგოსანი?

წესიერი და პატიოსანი,
ისე, ნამდვილად ბატი მგოსანი.

„ვარდოსნები“

„ამისტები“, „იმისტები“,
„ამისტები“, „იმისტები“,
მაგრამ მაინც არ დამკვიდრდა
სიტყვა „შევარდნაძისტები“.
ამ ვარდებით ვეღარ გავძლებთ,
დაგვამხეს და დაგვამტვრიეს,
ვარდი ედ-ვარდ შე-ვარდ-ნაძეს
არაფრით არ აპატიეს.

თბილისელ სექსმუშაკებს პროსტიტუციის ლეგალიზება არ უნდათ!

„ბიჭს რომ შევხედავ, ფასს აქიდან გამომდინარე ვამბობ. თუ ძალიან „ხიხოა“, რა თქმა უნდა, ბევრს ვთხოვ...“

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში პროსტიტუცია არალეგალურია, სექსმუშაკთა მომსახურებით მამაკაცთა 80% სისტემატურად სარგებლობს. სხვათა შორის, ლარის დავარდნამ სექსმუშაკთან ერთი საათის გატარების სტანდარტული ფასი ჯერჯერობით არ შეცვალა. ყოველ შემთხვევაში, მეკო, რომელიც ინტერვიუზე მხოლოდ იმ პირობით დამთანხმდა, რომ მისი „დისლოკაციის ადგილს“ არ გავამხელდი, ამბობს, რომ თბილისურ სექსინდუსტრიაზე დეფლაციას გავლენა არ მოუხდენია...

მეკო: – ფასები არ გაგვზრდია, მაგრამ კლიენტურა ძალიან შემცირდა და ამის გამო სიამოვნებაც, ალბათ, მალე გაძვირდება.

– მეკო, შენთან სტანდარტული ფასებია თუ განსხვავებული?

– ბიჭს რომ შევხედავ, ფასს აქიდან გამომდინარე ვამბობ. თუ ძალიან „ხიხოა“, რა თქმა უნდა, ბევრს ვთხოვ, მაგრამ თუ სიმპატიურია, მაშინ გადასახადი სტანდარტული, ან შეიძლება, ნაკლებიც იყოს... ისე, ვფიქრობ, რომ ჩემს საქმეს ძალიან კარგად ვაკეთებ და ვისაც არ მოსწონს, გავიდეს და 65 წლის ქალებს მიმართოს, გამოფენასთან რომ დგანან – ისინი მიხედავენ 15-20 ლარად. იმედია, შეამჩნიე, რომ აქ ყველაფერი სუფთაა და მოწესრიგებული.

– მომხრე ხარ, რომ შენი საქმიანობა კანონით არ იკრძალებოდეს?

– ეგ არ მადარდებს. უფრო სწორად, მირჩევნია, ასე იყოს, თორემ მერე „საკომისიოს“ უფრო მეტი გადახდა მომიწევს და მე ჩემი „ფეხები“ დამრჩება. ჰოდა, სტანდარტულ ფასსაც ყველა გააორმაგებს და კლიენტურაც აღარ იქნება.

– შენი მუშაობა ბოლო 3 წლის განმავლობაში გაუმჯობესდა თუ გაუარესდა?

– ახლა რო ვუყურებ, რაც ხდება, მაწყობს. ადრე, გარეთ რომ იდგნენ, მაგათ იჭერდნენ და ბარებში შესვლას ავალებდნენ, რომ ქუჩა სუფთა ყოფილიყო. ახლა კი, ისევ გარეთ გამოცვივდნენ და სულ 20-ლარიანი კლიენტურა ჰყავთ. ეგ „ხიხოები“ აქ აღარ მოდიან. სამაგიეროდ, ბარში უფრო ნორმალური ტიპები შემოდიან. წესიერსა და მოწესრიგებულს რომ ვხედავ, ძალიან მიხარია.

– ისე, მამაკაცთა უმეტესობა პროსტიტუციის ლეგალიზაციის მომხრეა.....

– მაგათ აწყობთ. ახლა, შეშინებულები რომ მოდიან, ნაცნობმა, ან პოლიციამ არ დაგვინახოსო, მერე, უფრო ლაღად იქნებიან, თუმცა მეორე მხარე ისაა, რომ სექსმუშაკებს, ალბათ, ექიმიც ეყოლებათ და „სიფილისებისა“ და ჰერპესების რისკიც შემცირდება, მაგრამ მე სუფთა ვარ და ისიც გითხარი, რომ ლეგალიზება დამაზარალებს.

– კლიენტს როგორ უმტკიცებ, რომ სუფთა ხარ?

– კაი, რა?! სახეზე მაინც შემომხედე, ან ვიზუალზე. ყველანაირად მეტყობა, რომ მოწესრიგებული ქალი ვარ და არ ვგავარ ვიღაც დაუბანელ „მანეთიშნიკებს“! ვისაც ჩემთან არ მოუნდება, ვისთანაც უნდა, იმასთან წავიდეს. 5 წელია, ამ საქმეს ვეწევი და ჯერ კლიენტურაში არ გამჭირვებია და იმედი მაქვს, არც გამიჭირდება. ასე რომ, ჩემზე არც ლარის პრობლემა იმოქმედებს და იმედი მაქვს, არც – „პროსტიტუციის“ დაკანონება.

ესაუბრა გიორგი ნემსიწვერიძე

დიზაინის საავტორო უფლებები დაცულია

ISSN 2298-0024

9 772298 002004 47922

მთავარი რედაქტორი: ჯანსულ ჩარკვიანი
მთ. რედაქტორის მოადგილე: ვანო პავლიაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
ჭაბუა ამირეჯიბი, მერაბ ბერძენიშვილი,
ბაჩანა ბრეგვაძე, თემო გოცაძე, ემზარ კვიტაიშვილი,
არმაზ სანებლიძე,

მედია-ჯგუფი: მარიკა კახაძე,
ნათია გოგიტიძე, ნათია ვერძეული,
ნათია ლებანიძე.
დიზაინერი და ფოტოკორესპონდენტი:
ზურა მეგრელიშვილი.

გაზეთი რეგისტრირებულია რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) მიერ. რეგისტრაციის №22851

მისამართი:
26 მაისის
მოედანი. №1
ტელ.: 272-63-90

E-Mail: qartulisityva@gmail.com

გაზეთი მოქმედებს თავისუფალი პრესის პრინციპით